852Ձ13.585

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 2 აგვისტო 1997 №89 (454) ფასი 50 თეთრი

VS

# საქმეს ძალიან, ძალიან ცუდი პირი უჩანს

## ფედერაციის ვერსია: „დინამოს“ პირველი ჯგუფიდან და ევროთასებიდან გაძევება ელის!

## «დინამოს» ვერსია: ჩვენს სიმართლეს კომპეტენტური იურისტები დაამტკიცებენ!

ქართული საფეხბურთო სამყარო ერთი შეხედვით თავისი ყოველდღიური ყოფით კი ცხოვრობს, მაგრამ საქმეებს ისეთი პირი უჩანს, მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი, აქამდე რომ არ მოგვსწრებია, ისეთი არეული და არაორგანიზებული გვექნება. რა გვაძლევს ამის თქმის საბაბს? პირველ ყოვლისა, ფედერაციის და ჩემპიონატის მონაწილეთა დამოკიდებულება ახალი სეზონისადმი: ბურთაობა ზუსტად 5 დღეში გაგვიჩაღდება, 31 ივლისს ფედერაციას გუნდების განაცხადების მიღება-დამტკიცება უნდა დაესრულებინა, საშეჯიბრო განყოფილებაში კი თითო-ოროლა კლუბის საბუთები თუა შესული და ისიც არასრული სახით. სხვა ბევრი მიზეზის ჩამოთვლაც შეიძლება, მაგრამ ახლა ამისთვის ვილას სცალია: არ არის გამორიცხული, ჩვენს ფეხბურთში ჯერაც არნახული და ერთობ დრამატული სკანდალი გაჩაღდეს. ვგულისხმობთ საქმეს, რომელსაც უკვე ასეც შეიძლება ეწოდოს: ფედერაცია და „მრეტები“ „დინამოს“ წინააღმდეგ. კონფლიქტის არსზე არაერთგან და არაერთხელ ითქვა და დაიწერა: ქინქლაძის სატრანსფერო ფულის გაყოფა შარად და ხათაბალად იქცა, თანაც მოხდა ამ შემთხვევაში არასასურველი კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია — ერთი შეხედვით ჩვენს შინაურ საქმეში ფიფა ჩაერია. მაგის და უეფას ამბავი კი ყველას მოეხსენება: თუ რამე დაიჟინეს, რომც ცდებოდნენ, ვერაფრით გადაათქმევინებ.

ფედერაციამ „აღნიშნული საკითხის ირგვლივ“ თავისი დასკვნა საკმაო ხანია გამოიტანა, ბეჭედიც დაასვა — მართალი „მრეტებიაო“ და პასუხი ფიფას გაუგზავნა — ვიკვლიეთ, ვიძიეთ და დავადგინეთ, რომ „დინამომ“ ქინქლაძის ტრანსფერით ნანახი ხეირის 50 პროცენტი „მრეტებს“ უნდა უწილადოსო. ამის მერე ფიფას სხვა არაფრის გაგონება აღარ უნდა — ფაქსებს ფაქსებზე აგზავნის, ფული გადაიხადეთ, თორემ შავ დღეს დაგაყრითო. ბოლო ფაქსში, 29 ივლისს რომ მოსულა ფედერაციაში, საბოლოო ვადად 15 აგვისტოა დათქმული, მერე კი, თუ ისე არ მოიქცევით, როგორც ჩვენ გეუბნებით, საქმეს ფიფას სადისციპლინო კომიტეტი განიხილავსო, უკანასკნელად გვაფრთხილებენ და, ერთმა ღმერთმა უწყის, რას გადაწყვეტენ და მოიმოქმედებენ ფიფას მსაჯულები...

ფედერაცია პირველ ჩვენებას არ ცვლის — ზემდგომ ორგანოს ვერაფრით ვაწყენინებთ, ისევ ის ჯობს, ჩვენები გავჯოხოთო. აქ ერთია უცილობლად საკითხავი: ჩვენი ფედერაცია ფიფადან მოსული ფაქსების დედნებს ნეტავ რას უშვრება? იქაური მოხელეების გარდა ეს დედნები თვალით არავის უნახავს. მხოლოდ თავიანთი გაზეთის მეშვეობით გვამცნობენ ხოლმე — არიქა, ფაქსი მივიღეთო! ფიფადან მოსული ეს წერილმუქარები ალბათ ფედერაციის პრეზიდენტის სეიფში ინახება. მოკლედ, ფედერაცია თავის უბრალოებას და სიმართლეს ღაღადებს და სახალხოდ აცხადებს, ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნით, ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ არავის დავზოგავთო.

რას აკეთებს ამ დროს „დინამო“? კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი პოზიცია საკმაო ხანია გამოხატა: „მრეტებთან“ პირნათელნი ვართ, ჩხაიძეს ჩვენგან თეთრიც არ ერგებაო. „დინამოს“ ზურგს სპორტის დეპარტამენტიც უმაგრებს და მთელ პასუხისმგებლობას ფედერაციას აკისრებს.

ერთი სიტყვით, თუ საქმეს დროზე თავი არ მოება, ფიფა უყურადღებობას არ გვაპატიებს და დაუსჯელებს არც „დინამოს“ დასტოვებს და არც ფედერაციას. არადა, ვადა ძალზე მცირეა დარჩენილი — 15 აგვისტოსთვის ფიფა საბოლოო პასუხს ელის.

ჩვენი მხრივ ესღა შეგვეძლო, კიდევ ერთხელ შეგვეწუხებინა ორივე მხარე და მათი კომენტარები შემოგვეთავაზებინა თქვენთვის. ორივე მხარეში ფედერაციას და „დინამოს“ ვგულისხმობთ, თორემ „მრეტების“ პრეზიდენტ ვაჟა ჩხაიძის გერმანიაში მოძებნა ნამდვილად ძნელი საქმეა.

*ნოდარ ანდრიაძე*, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: — ფედერაციამ ამ საქმესთან დაკავშირებით ყველა საინფორმაციო დუელი წააგო, მაგრამ მალე ყველა გაიგებს სიმართლეს. ფიფამ ბოლოჯერ გაგვაფრთხილა, ჩვენ კი „დინამოს“ ბოლო შანსი მივეცით. თანხა 15 აგვისტომდე უნდა გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციები გარდაუვალი იქნება. ეს ერთობ გულდასაწყვეტი ამბავი გახლავთ — განა „დინამო“ სხვისია, ეს კლუბი ხომ ქართული ფეხბურთის სიამაყეა, მაგრამ...

**— ყველაზე უარეს შემთხვევაში რა შეიძლება მოხდეს?**

— ყველაზე საშინელი ის არის, რომ „დინამო“ პირველი ჯგუფიდან ჩამოქვეითდება, რაც ავტომატურად ევროთასებიდან გუნდის გამოთიშვას მოასწავებს. სანქციები ცალკე ფიფადანაც იქნება, რომელსაც ჩვენ, ფედერაციაც ვერ ავცდებით.

„დინამოს“ ხელმძღვანელთა კომენტარი კი ასეთია:

— სიმართლე დინამოსკენაა. ეს საქმე მეტად კომპეტენტურ იურიდიულ სამსახურებს გადავეცით და ვინ მტყუანია, ვინ მართალი, ამას საზოგადოება უახლოეს ხანს შეიტყობს.

ამის შემდეგ ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ, მაგრამ ისიც საშიშარი გვაქვს, ამ ორომტრიალში და ქიშპობაში ფიფა და უეფა არ გავანაწყენოთ და ემანდ მთლად უფეხბურთოდ არ დავრჩეთ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# «ჩვენი» ლევერკუზენი ჰოლანდიელებთან აგებს

წუხელ



წლევანდელი ბუნდესლიგის პირველი გოლი ულფ კირსტენმა შეაგდო, თუმცა სეზონი „ლევერკუზენმა“ მაინც წაგებით დაიწყო

**წუხელ** ორი თამაშით ბუნდესლიგაში მორიგი სეზონი გაიხსნა. „შტუტგარტი“ შინ „მიუნხენ 1860“-თან 22-ე წუთზე დაწინაურდა ბალაკოვის გოლით, მთელი თამაშიც დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე სტუმარმა ვინკლერმა გაათანაბრა — 1:1. მეორე მატჩი კი ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო: თბილისის „დინამოს“ მეტოქე ლევერკუზენის „ბაიერი“ გელზენკირხენში უეფას თასის მფლობელ „შალკეს“ ეწვია.

მატჩის დებიუტი სტუმართათვის ისეთი გამოდგა, უკეთესს რომ ვერც ინატრებდა — კირსტენი რისი კირსტენი იქნებოდა, ლემანის საჩუქარი რომ ვერ შეერგო: შემთხვევით გარტყმული ბურთი სანწრაფოდ დაიმორჩილა და წინ გამოსულ მეკარეს ზურგსუკან, კარში ჩაუკიდა.

ეს გოლი წმინდა შემთხვევითი რამ იყო, რადგან არც აქამდე და არც ამის შემდეგ „ბაიერს“ კარგა ხანს სახიფათო მომენტი არ შეუქმნია. „შალკე“ მის კარს ძალუმად უტევდა, მაგრამ მიზანი დიდხანს ვერ გაისწორა და ვერც იხეირა. ნახევარდაცვის დახახმარებლად ხშირად წინ მიიწევდა გუნდის კაპიტანი ოლაფ ტონი, რომელიც პასებითა თუ შორი დარტყმებით ლევერკუზენული დაცვის შეცდენას ცდილობდა, მაგრამ მისმა მონდომებამ შედეგი მოგვიანებით გამოიღო. მანამდე კი ტონს ეს წინ-წინ სირბილი კინაღამ ძვირად დაუჯდა — ტაიმის ბოლოსკენ რამელოვმა ლემანს საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან დაურტყა და ამან კი მოიგერია, მაგრამ ემერსონს წამით რომ მიესწრო, ბურთი მარცხენა ძელს მარჯვენა მხრიდან ჩაუვლიდა. „შალკემ“ აქტიური რამელოვის შეჩერება სხვაგვარად რომ ვერ მოახერხა, უხეშობით სცადა. პირველ ტაიმში იგი ორჯერ — მარცხენა ფეხში და თავში მსუბუქად დაკოდეს. თავის მხრივ უხეშობას არც „ბაიერი“ თაკილობდა, მაგრამ ორივე გუნდი მაინც თამაშს უფრო ემალებოდა, ვიდრე მუშტი-კრივს.

მეორე ტაიმი „შალკეს“ მოძალებით დაიწყო. ერთ-ერთ მომენტში ოლაფ ტონმა კუთხურისას ბურთს ჰაერში ლამის კამარა შეაკვრევინა, ჰაინენი ბურთზე ვერ გამოვიდა და „შალკეს“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა იოჰან დე კოკმა იხეირა: სანამ მეტოქის ორი მცველი მის თანაგუნდელს იჭერდა, თავით ჰაინენს აუღებელი დაურტყა. არადა, ულფ კირსტენი თავის მეკარეს შემოსწყრა, მოწოდების სიმაღლეზე რატომ არ გამოდიო. კრისტოფ დაუმი კი, აქაო და მასპინძლებმა შეტევისას წესი დაარღვიესო, არბიტრმა ვაგნერმა ძლივს დააოკა. აქედან ხუთი წუთიც ძლივს იყო გასული, რომ „შალკეს“ კარში არდანიშნული პენალტისთვის კირსტენი და ტონი ისე წაიკიდნენ, ამათთან ბაქსტერ-ანჩაბაძის ჩხუბი ჩიტების ჭიკჭიკს წააგავდა, თუმცა მსაჯმა ორივე სახელოვანი ფეხბურთელი დაინდო — არც არაფერი დამინახავსო. სამაგიეროდ, ლატალთან უხეშობისთვის მალე კრისტიან ვიორნსი გააფრთხილა.

67-ე წუთზე „შალკეს“ ნახევრიდან გათამაშებული თითქოსდა უწყინარი საჯარიმოს დროს „ბაიერის“ უკანა ხაზი, სამი ნომინალური მცველით რომ თამაშობდა, მეორედ შეცდა უხეშად და ეს წაგებადაც დაუჯდა: ექს-ეინდჰოვენელი რენე აიკელკამპის პასი კიდევ ერთ ჰოლანდიელ მარკო ვან ჰუგდალემს მიუვიდა, ამან კოვაჩი და ნოვოტნიც უკან მოიტოვა და მარჯვენა კუთხეში გაიტანა.

„ბაიერს“ გასათანაბრებლად მაინც დიდი დრო ჰქონდა, მაგრამ ლემანმა დებიუტში დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად თვითგვემაც არ ითაკილა — ჯერ ბაინლიხის პასით მასთან პირისპირ დარჩენილ კირსტენს აჯობა, მერე ბაინლიხისვე შორეული და უძლიერესი საჯარიმო დარტყმა აიღო.

„ლევერკუზენმა“ ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჰაინენი, რობერტ კოვაჩი, ჰაპე (პაულო რობერტო 75), ვიორნსი, ნოვოტნი, მეიერი (ლოტნერი 87), ლენჰოფი, ბაინლიხი, რამელოვი, კირსტენი, ემერსონი (ნიკო კოვაჩი 71)

წერილი ლევერკუზენის „ბაიერის“ შესახებ და ინტერვიუ თბილისში ჩამოსულ კრისტოფ დაუმთან იხილეთ მეშვიდე გვერდზე

**მეორე ბუნდესლიგა.** ფორტუნა (კიოლნი) — მეპენი 2:2, დიუსელდორფი — ურდინგენი 1:1, ზანქტ პაული — გიუტერსლოჰ 0:0.

წუხელვე ასევე ორი მატჩით **საფრანგეთის** ახალი ჩემპიონატიც დაიწყო. ორივე მატჩის ბედი ბოლო წუთზე გატანილმა გოლებმა გადაწყვიტა: „ტულუზამ“ 1:0 მოუგო „რენს“, „ბორდომ“ კი ასეთივე ანგარიშით — „მონაკოს“.

# ATHENS'97

## საინტერესო დღეს იწყება

ყველაზე დინამიკური შეჯიბრების, იმისთანასი, სადაც ბევრი რამ სწორედ რომ წამის მეათედებზე ჰკიდია — მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის გუშინდელი ცერემონიალი ფერადოვანი კი, მაგრამ ერთობ სტატიკური, პომპეზური, მდორე ტემპისა, ოდენ მეტწილად ძველი და ნაკლებად თანამედროვე მუსიკით და ქორეოგრაფიით გაჯერებული გამოდგა. მოკლედ, თავი ოპერაში გეგონებოდა და აკი ბოლოსკენ ცნობილ საოპერო დამა მონსერატ კაბალიეც ამღერეს, რომლის წკრიალა ხმას 1992 წელს ფრედი მერკურიმ თავისი შეუწყო და ორივემ ბარსელონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი დაამშვენა. ბერძნებმა იქნებ ამითაც მიანიშნეს ათენის ოლიმპიურ ამბიციებზე ანუ 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენზიაზე. მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის და ვინ იცის, რა მოხდება, დღეს კი გადაჭრით იმის თქმა შეიძლება, რომ მძლეოსანთა VI მსოფლიოს ჩემპიონატის მაცქერალნი ბევრ საინტერესოს ნახავენ,

*„სარბიელის“ მკითხველებს კი ათენში საგანგებოდ მივლინებული ჩვენი კორესპონდენტი ილია ბაბუნაშვილი გააცნობს წერილებს.*

იხილეთ მეათე გვერდი

# ფოთი ნორვეგიაში წასვლას გადარჩა

UEFA CUP

**გუშინ ჟენევაში უეფას თასის მეორე შესარჩევი წრის წილისყრა შედგა**

ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) — მალმიო (შვედეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — ვორსკლა (პოლტავა, უკრაინა)
ქსამაქსი (შვეიცარია) — ვიკინგი (ნორვეგია)
როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი) — ოდრა (ვოძისლავი, პოლონეთი)
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)
რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ბობი (ბრნო, ჩეხეთი)
ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) — სელტიკი (შოტლანდია)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ვაილე (დანია) — ჰაპოელი (ფეთაჰ ტიკვა, ისრაელი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ბრანი (ნორვეგია)
გორიცა (სლოვენია) — ბრიუგე (ბელგია)
პ.ა.ო.კ. (სალონიკი, საბერძნეთი) — სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი)
რეიკიავიკი (ისლანდია) — ოფი კრეტა (საბერძნეთი)
იაბლონეცი (ჩეხეთი) — ორებრო (შვედეთი)
აპოლონი (ლიმასოლი, კვიპროსი) — მუსკრონი (ბელგია)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
უიპეშტი (უნგრეთი) — ორჰუსი (დანია)
ალანია (ვლადიკავკაზი, რუსეთი) — დნეპრი (უკრაინა)

*თამაშები 12 და 26 აგვისტოს გაიმართება. ამ წყვილებში გამარჯვებული 18 გუნდი, აგრეთვე ინტერტოტოს გათამაშებიდან გასული 3 გუნდი და ჩემპიონთა თასის მეორე შესარჩევი წრის 16 დამარცხებული, მათ შორის, ალბათ, თბილისის „დინამოც“, შემდეგ წრეში უკვე განთესილ უძლიერეს კლუბებს შეუერთდებიან.*

**დღევანდელი „სარბიელი“ თორმეტგვერდიანია და ფასიც შესაბამისი აქვს**

# რევაზ ძოძუაშვილი: განტვირთვა ყველას სჭირდება, მაგრამ...

წელს ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველებმა არაქართულ გუნდებშიც ითამაშეს. ბელარუსის ჩემპიონი — მოზირის მ.პ.კ.ც. ლევან ბერიშვილის 2 გოლის წყალობით შემდეგ წრეში გავიდა, ისევე, როგორც რიგის „სკონტო", სადაც ქართველთა დიდი ლეგიონია. ლატვიელთა კონსულტანტი რეზო ძოძუაშვილი ჩვენებური სამეულის თამაშით კმაყოფილი იყო:

— ჩალაძემ, სილაგაძემ და რეხვიაშვილმა მშვენივრად ითამაშეს. ლატვიელები მათ მეტად ემადლიერებიან. ესაა, რომ მეორე შეხვედრაში ჩალაძე მცირედ დაშავდა, თუმცა, სერიოზული არაფერია. მალტელებთან სილაგაძე საუკეთესო იყო. ამ თამაშებამდე მოლდოვის ჩემპიონ „კონსტრუქტორულში" შემომთავაზეს მთავარ მწვრთნელად მუშაობა. „სკონტოს" პრეზიდენტი გუნტის ინდრექსონი ამის წინააღმდეგია და მეც გაუმართლებლად მიმაჩნია ახლა გუნდის მიტოვება. მით უფრო, რომ შემდეგი შეხვედრა „ბარსელონასთან" გველის. ეს ქართველი ბიჭებისთვისაც დიდი სკოლა იქნება. თანაც, ვინ იცის, ვინ როგორ გამოავლენს თავს და ვის როგორი წინადადება ელოდება.

ალბათ, ამ ცნობითაც დაინტერესდებით: ლიეპაიას „ოლიმპიასა" და „ვენდსპილსის" ქართველი თავდამსხმელები ივანე ჯულელი და 16 წლის ცეზარ ხუროძე ლატვიის ვიცე-ჩემპიონ რიგის „დაუგავაში" ითამაშებენ. სამშაბათს კი „სკონტოს" ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დათო გვარამაძე დაემატება.

**— ბატონო რეზო, ორიოდე სიტყვით ნაკრებზეც ვთქვათ. შევიტყვეთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ ნაკრების მწვრთნელებს იმ მოთამაშეთა დასჯა მოსთხოვა, რომლებსაც პოლონეთიდან გამომგზავრებისას თვითმფრინავში ღრეობას აბრალებენ...**

— აქ ორი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ. ეს ყველაფერი უკვე სეზონის დასასრულს მოხდა და მოთამაშეებმა ჩათვალეს, რომ ჩვეულებრივზე თავისუფლად შეეძლოთ მოქცეულიყვნენ. ვერც გაამტყუნებ — მათ ხომ პოლონეთის შემდეგ კარგა ხანი აღარ უწევდათ თამაში, წელიწადში ერთხელ, მძიმე სეზონის ბოლოს განტვირთვის უფლება კი ყველას აქვს. ამგვარად, ეს ბრალდება არასერიოზულია.

ევროპაში ასე მსჯელობენ: მთავარია, ფეხბურთელმა მოედანზე თავი კარგად გამოავლინოს, თამაშისთვის როგორ მოემზადება, ეს უკვე მისი საქმეა. თუმცა, არის მეორე ფაქტორიც: როდესაც მწვრთნელი ხედავს, რომ მოთამაშე არასაკადრისად იქცევა და თამაშსაც ნელნელა უკლებს, ნაკრებს უნდა ჩამოაშოროს, ანაც დასაჯოს. თვითმფრინავში მომხდარზე არაფერს ვიტყვი, ეს მაინც მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია. რას მოიმოქმედებს ყიფიანი, ამის თქმა კი მიჭირს.

**მერაბ მამულაშვილი**

## შელია მალე ითამაშებს

საქართველოს ეროვნული გუნდის და ვლადიკავკაზის „ალანიას" მცველი მურთაზ შელია ამ სეზონში ტრავმებმა გააწამა. არავინ იცის, რამდენი მატჩი ჩაატარა მურთაზმა დაწყლულებული ფეხით, მაგრამ მერე ტკივილი გაუსაძლისი შეიქნა. ოპერაცია აუცილებელი გახდა და 22 ივნისს მას ფეხი გაუჭრეს. წყლული დაუამეს და ფეხში ლითონის ფირფიტებიც ჩაუდეს. ამის მერე მურთაზი გერმანიაში გაემგზავრა, საარბრიუკენელ ექიმებს გაესინჯა და განმეორებითი ოპერაცია გაიკეთა. გერმანელმა დასტაქრებმა ფირფიტები ამოაცალეს და ჯანზე ხარო, უკან გამოუშვეს. შელია თბილისში 15 ივლისს დაბრუნდა, ორი კვირა მოიცადა, ექიმებს კიდევ გაესინჯა და გულიც დაიმშვიდა. ჩვენებური ოთხშაბათს ეროვნულ სტადიონზე ვნახეთ, „დინამო" — „კრუზეიდერსის" თამაშზე. სიარულის დროს უკვე აღარ კოჭლობდა.

— ექიმებმა ვარჯიშის ხვალიდან განახლების უფლება მომცეს. მოკლედ, ისევ ვიწყებ — გვითხრა შელიამ.



ვაჟა ქოთილაძის ფოტო

# გია თავაძე: გურია ჯერაც გზაგასაყარზეა

**აბა, ვინ იფიქრებდა, ლანჩხუთის „გურიას", მერვე ეროვნული ჩემპიონატის სამუალედო ფინიშთან მეშვიდე რომ მივიდა, მერე ისე გაუჭირდებოდა, დარჩენა-არდარჩენა ბოლოსწინა ტურში გაუხდებოდა გასარკვევი. არადა, სწორედ ასე იყო. ლანჩხუთელებს მათსავით დაჩაჩანაკებულ ზესტაფონის „მარგვეთთან" რომ არ ეხეირათ, ახლა, ალბათ, პირველი ჯგუფიდან გამოგლოვილნი იქნებოდნენ. მეტიც იყო მოსალოდნელი. შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, „გურია" საერთოდ გამქრალიყო ქართული ფეხბურთიდან, არსებობა შეეწყვიტა. არ ვაჭარბებთ. ამის სიმპტომები ნამდვილად შეინიშნებოდა, რაც „გურიას" მწვრთნელმა გია თავაძემაც დაგვიდასტურა:**

— წინა გათამაშების პირველი წრე ცუდად არ დაგვიმთავრებია. შედეგის გაუმჯობესების პერსპექტივაც კი იკვეთებოდა, მაგრამ მეორე წრის სტარტზე გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. ნაწილი ფეხბურთელებისა წავიდა, ახლების მოწვევა მოგვიხდა, დარჩენილთ და ახლებსაც ხელშეწყობა, მატერიალური დაინტერესება უნდოდა. თავიდან დაგვპირდნენ კიდეც დახმარებას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. მეტსაც ვიტყვი, ყველამ ზურგი შეგვაქცია. თამაშის სტიმული აღარ იყო. შედეგიც მოვიმკეთ. კინაღამ გავვარდით.

**— ერთხელ კი აიცილეთ კატასტროფა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ითქვა, „გურია" დაიშალაო...**

— ასეთი მითქმა-მოთქმა უსაფუძვლო არ ყოფილა. ჩემპიონატი რომ დასრულდა „გურია" ფაქტობრივად დაცარიელდა. მოწვეული ფეხბურთელები უკლებლივ გაგვექცნენ, მათ რამდენიმე ადგილობრივიც მიჰყვა, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. თვენახევრის განმავლობაში დარჩენილი მოთამაშეებიც ვერ შევკრიბეთ. იღბლად, რაიონში იგრძნეს მოახლოებული საფრთხე და აქტივის კრებაც მოიწვიეს გუნდში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. როგორც რაიონის გამგებელმა კარლო გუჯაბიძემ ბრძანა, ლანჩხუთი უფეხბურთოდ ვერ დარჩება და საამისოდ ყველას თავისი წილის გაღება სთხოვა. უკვე მეორე დღეს, 17 ივლისს, გრიგოლეთის ბაზაზე ათი კაცი ძლივს შევკრიბეთ.

**— გასინჯვაზე სამ ათეულზე მეტი ფეხბურთელი გყოლიათ. დავიჯეროთ, ასე მოკლე დროში გამოკეთდა საქმე...**

— როგორ ვთქვა, საბოლოოდ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. კლუბს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ზაურ ფირცხალაიშვილი რაიონში საქმიანი კაცის რეპუტაციით სარგებლობს. მას დიდი სურვილი აქვს, „გურია" ფეხზე დააყენოს. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროც გვპირდება დახმარებას, მაგრამ არ მინდა, მოვლენებს გავასწრო. ვნახოთ, რა გამოვა.

**— ე.ი. „გურია" ჯერაც გზაგასაყარზეა?**

— ასე გამოდის. თუმცა, საქმეს უფრო უკეთესობისკენ უჩანს პირი. ახალი გუნდის შექმნასაც ამ იმედით შევუდექით.

**— ცვლილებებზე გვითხარით...**

— უკვე იცით, წინა ჩემპიონატის დასრულებისთანავე „გურია" ყველა მოწინავე ფეხბურთელმა დატოვა. სიდამონიძე და გელაძე „მერანში" წავიდნენ, თოლორდავა — „ოდიშში", ყანჩაშვილი, თუ არ ვცდები — „მორკინალ-კოდაკოში". დანარჩენების ადგილსამყოფელი, სიმართლე რომ გითხრათ, არც კი ვიცი. კიდევ ჩვენებური ებრალიძე ჰყავთ წაყვანილი ზუგდიდში.

გასინჯვაზე ძირითადად მეორე ჯგუფის გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელები გვყავდა. რამდენიმე დავიტოვეთ: ტყიბულის „მეშახტეში" ნათამაშევი ქუთაისელი მეკარე ვარდანიძე, გაბუნია „ტორპედო-2"-დან, კრასოვსკი ფოთის მეორე გუნდიდან, ძმები ზაზა და ზურაბ აიანიდები ხობის „ოლიმპიიდან", ჭელიძე „სამტრედიიდან". მივიღეთ აგრეთვე ქობულეთელები — მეკარე პაატა გაბუნია და „მეტალურგში" ნათამაშევი ბერიძე. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენთან დარჩებიან ბულუხია, თიბილაშვილი, ინიაშვილი და ქუნთელია. მათი კოლხეთიდან საბოლოოდ გადმოყვანის საკითხი ორ-სამ დღეში გაირკვევა. თუ საქმე დადებითად გადაწყდა, ამოვისუნთქავთ — ამ შემადგენლობით, სულ ცოტა, შეიდეულში მოვხვდებით.

**— გუნდი მოუმზადებელი რომ არის?**

— ვარჯიში მართლაც დიდი დაგვიანებით დავიწყეთ, სამ კვირაში გუნდის სრულფასოვნად მომზადება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ვცდილობთ, დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. საკონტროლო თამაშებს ვატარებთ. შევხვდით „ლოკომოტივს" (1:0, 1:2), „სამტრედიას" (5:0), „ოდიშს" (0:3), „ოლიმპიას" (4:1). თსუ-სთან და „ტორპედოსთანაც" ვაპირებთ ძალის მოსინჯვას.

**— სტარტზე ნამეტანი ცუდი კალენდარი გაქვთ...**

— მართალია. „მერანი", „ტორპედო", „ოდიში", „ბათუმი", „კოლხეთი" — ურთულესი თამაშებით ვიწყებთ, მაგრამ რა გაეწყობა, ფარხმალს წინასწარ არ დავყრით. უნდა ვიბრძოლოთ. სხვა გზა არა გვაქვს. ღრმად მწამს, თუ სათანადო ხელშეწყობა გვექნება, „გურია" თანდათან მოიკრებს ძალას და თავს არავის დააჩაგვრინებს.

**იუზა ძაძიტაძე გრიგოლეთიდან**

## ყაველა ციურიხშია, ნემსაძე ვიზას ელის

გუშინ, შვეიცარიის სამუშაო ვიზის კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, მოსკოვიდან ციურიხში გაფრინდა მიხეილ ყაველაშვილი. მას ციურიხელთა თავკაცებთანაც უსაუბრია, რომლებსაც მიშა „გრასჰოპერის" დღევანდელი მატჩისთვის დაუბარებიათ. შესაძლოა, ყაველაშვილმა დღეს „კალიების" მაისური პირველად მოირგოს. ეს ამბავი ჯერ კიდევ მოსკოვში შეყოვნებული გია ნემსაძისგან შევიტყვეთ, რომელსაც სამუშაო ვიზა ჯერაც არ მიუღია. გია ციურიხში, ალბათ, ორშაბათს ჩაფრინდება.

## სიდამონიძე მრეტი აღარ არის

კახა სიდამონიძეს, რომელმაც ინტერტოტოზე „მერანში" ითამაშა, „მრეტებთან" ხუთწლიანი კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა. შეგახსენებთ, რომ სიდამონიძე ახლადჩამოყალიბებულ საქართველოს ნაკრებში 1992 წელს მიიწვიეს, მაშინ „მრეტებში" თამაშობდა. მას შემდეგ თავს ბევრი უბედურება გადახდა და ძველებურადაც ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ „მერანის" მწვრთნელყოფილი თემურ მახარაძე ენდო, ინტერტოტოზე თავის გამოვლენის შანსი მისცა. არ უმტყუნა. შედეგმაც არ დაახანა. ევროპული თამაშების შემდეგ მისით ბერძნული „ათინაიკოსი", „დოქსა ვირონა", ავსტრიული „რიდი", აგრეთვე რამდენიმე ქართული და რუსული გუნდი დაინტერესდა. სიდამონიძეს კი ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია.

## დილადან ლადაში

ვაჟა თარხნიშვილი, ვინც ბოლო დრომდე „დილაში" ლიბეროობდა, გორიდან აბარგებულა და უკვე ახალი გუნდიც მოუძებნია. იგი რუსეთის პირველი ლიგის დიმიტროვგრადის „ლადა-გრადს" აუყვანია. ეს საკითხი მას შემდეგ გადაწყვეტილა, რაც მეექვსე ადგილზე მყოფმა „ლადა-გრადმა" შინ 0:2 წააგო ლიპეცკის „მეტალურგთან". ორივე გოლი დაცვის ცენტრში დაშვებულ უხეშ შეცდომებს მოჰყოლია.

# რა ელის მეორე ჯგუფს?

ფეხბურთის ფედერაციამ მერვე ეროვნული ჩემპიონატის შედეგების შეჯამებისა და მეცხრეს ჩასატარებლად სამზადისის დაგეგმვის შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ჩემპიონატის პირველი და მეორე ჯგუფები არ იკმარა (თითქოს ამაში მონაწილე გუნდები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი გვყავდნენ და მუდამ უფულობა არ აზრჩობდეთ), მესამე ჯგუფიც ჩამოაყალიბა და იქ გამწესებულთ, ფაქტობრივად, თამაში მიუსაჯა. ახლა საქმე ასე დადგა: გაერთიანებულ მეორე ჯგუფში თამაში არავის სურს. უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების გაერთიანება შეცდომა გახლდათ. ამაზე ფედერაცია თავის დროზე უნდა დაფიქსირებულიყო. არადა, ყველაფერი ნაჩქარევად გაკეთდა — შეკოწიწდა 18 გუნდი და კალენდარიც სასწრაფოდ შედგა. მერე კი მოხდა ის, რაც ყველას აფიქრებდა და აკი შრომა ტყუილუბრალოდ წყალში ჩაიყარა. მაინც რა მოხდაო ასეთიო, იკითხავთ. რა და, მეორე ჯგუფში პირველობა ჯერ არ დაწყებულა, „დინამო 2", „კახეთი", „იმერეთი" და „სქური" უკვე უარზე არიან, მანდ მთამაშებლები არა ვართო. ამბობენ, მალე ამათ „საპოვნელაც" შეუამხანაგდებაო. ამ კლუბებმა მეორე ჯგუფში თამაში ტყუილუბრალოდ ფულის ფლანგვად მიიჩნიეს და მესამეში თამაში ირჩიეს. კიდევ ვინ გამოაკლდება დანავსულ მეორე ჯგუფს, ღმერთმა უწყის. ფედერაციამ სასწრაფოდ შეადგინა ახალი კალენდარი, რომელსაც ამ დღეებში აღმასკომი კი დაამტკიცებს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ახალი კალენდარიც შესაცვლელი ანაც ახლად შესადგენი გახდება. ამ დავიდარაბას ხომ არ აჯობებდა, მეორე ჯგუფში ტერიტორიული პრინციპი აღვედგინა. სპეციალისტებიც გუნდების ორ ზონად დაყოფის მომხრენი არიან, აღმოსავლეთი და დასავლეთი ჭკუასთან უფრო ახლო იყოო. ახლა ჯერი ფედერაციაზეა — ისე არ მოხდეს, მეორე ჯგუფი ობრად დაგვრჩეს.

## ბათუმამდე ქობულეთში

ადრე გაცნობეთ, „ბათუმის" ფეხბურთელები — მუჯირი, ტულუში და უჯმაჯურიძე უცხოეთის კლუბებში რომ გაემგზავრნენ გასასინჯად. ახლა კი ისიც შევიტყვეთ, რომ მუჯირს და ტულუშს ისრაელის რომელიღაც კლუბთან გაუფორმებიათ კონტრაქტი, უჯმაჯურიძეს კი კვიპროსელებთან. არც ერთი კლუბის სახელი დანამდვილებით არ ვიცით, ისეთიც ვერავინ ვნახეთ, დაზუსტებული ინფორმაცია რომ მოეწოდებინა. ის კი ეჭვგარეშეა, რომ ტულუში 14 აგვისტოს „არარატთან" ითამაშებს. არც უჯმაჯურიძის თამაშია გამორიცხული, ხოლო მუჯირი დისკვალიფიკაციის გამო პირველ შეხვედრას გამოტოვებს, ისევე, როგორც მალხაზ მახარაძე. სამაგიეროდ, „ბათუმში" უკვე ვარჯიშობენ და, ალბათ, ევროტურნირებზე ითამაშებენ სოლოლაშვილი და ასპინძელაშვილი. ამ დღეებში კვიპროსიდან ჩუხუას დაბრუნებასაც ელიან. თუმცა, ეს ფეხბურთელები საბოლოოდ დარჩებიან თუ არა, ცოტა ხანში გაირკვევა. „ბათუმთან" ერთად ემზადებიან „ბათუმი-2"-ის ფეხბურთელებიც: რომანაძე, სიამაშვილი, აფხაზავა და ჩახუნაშვილი. ბათუმელები გუშინ ქობულეთში უნდა ჩასულიყვნენ, სადაც „არარატთან" პირველ შეხვედრამდე შეკრების მოწყობას აპირებენ. სხვა სიახლე არ არის — გუნდში დარჩენილი ბიჭები ჯანზე არიან და მოუთმენლად ელიან სომხებთან თამაშს. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ძალიან გაუჭირდეთ.

## ნოზაძე ტორპედოში დაბრუნებულა

ტომსკში წასული ნოზაძე და გიორგობიანი სამშობლოში დაბრუნდნენ. ამით, შესაძლოა „ტორპედომ" იხეიროს, რომელთან ერთადაც გუშინ და გუშინწინ ნოზაძემ ივარჯიშა. გუშინვე ქუთაისელთა პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ გვითხრა ნოზაძე ჯერ არ მინახავსო. ისინი ალბათ დღეს შეხვდებიან ქუთაისში. ნოზაძეს „გურიასთან" ხვალინდელ თამაშში ერთხელაც შეავლებენ თვალს და და მეორე ცდაზე იქნებ საბოლოოდაც მორიგდნენ. გიორგობიანი კი „სამგურალს" შეეშველება.



გოგი ასვლედიანის სვეტი

## ჩვენ ვეძებთ სიმბოლოს

ამასწინათ, სარდაფში ვიქექებოდი და იქ ოდინდელი, ხრუშჩოვისდროინდელი „ცისკრების" მოზრდილი შეკვრა ამოვაჩინე. ამ ჟურნალების ქექვისას (რაც თავისთავად დროის მეტად საინტერესო ტარებაა) წავაწყდი ახლო წარსულის ცნობილი და საუცხოო სპორტული ჟურნალისტის ვლადიმერ მდივნის წერილს ანდრო ჟორდანიას შესახებ.

ანდრო ჟორდანიას სახელი ჩვენი ფეხბურთისთვის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმბოლოა. მის სამწვრთნელო ცხოვრებაზე რომ საერთოდ არაფერი ვთქვათ, მისივე წიგნი, „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე" ეყოფოდა, ამ სიმბოლოდ რომ ქცეულიყო.

მდივნის წერილი-მოგონება კი მაინც სხვა მხრივ იყო საინტერესო. იქ იყო გაკვრითი მონათხრობი 20-იან წლების ქართულ ფეხბურთსა და ფეხბურთელების შესახებ. ამათ შორის მთავარი ანდრო ჟორდანია ყოფილა, იმ ეპოქის უპირველესი ვარსკვლავი. უაღრესად ტექნიკური და ჭკვიანი მოთამაშე.

ასე განსაჯეთ, 50-იან წლებამდე, ქუთაისსა და მთელს იმერეთში, მაკრატელათი დარტყმას „ჟორდანიას უდარი" ერქვაო, გვიამბობს ვლადიმერ მდივანი.

ახლა ყოველივე ამას რატომ ვიხსენებ: ანდრო ჟორდანიას ფიგურა ლამის საუკუნის განმავლობაში გასდევს ქართულ ფეხბურთს. მისი ცხოვრების გზა რთული იყო, გვარიც კი უშლიდა ხოლმე ხელს. მის ხასიათზე ჩვენამდე, ახალ თაობამდე, ლეგენდებმა მოაღწია. მის მიერ აღმოჩენილ ფეხბურთელთა სიას ეს სვეტი კი არა, შაბათის ნომერიც არ ეყოფა. ზოგჯერ მას გაჭირვების ტალკვესსაც ეძახდნენ, რადგან გაფარჩაკებულ გუნდს ჩაიბარებდა და მოკლე ხანში უბრუნებდა სიამაყეს.

ჟორდანია სამჯერ, ჯამში შვიდ წელიწადს იყო „დინამოს" მწვრთნელი. სამჯერ ჩაიბარა კრიზისული გუნდი, სამჯერ მოაპოვებინა ბრინჯაო და ორჯერ თასის ფინალში გაიყვანა. მან შეაბიჯებინა უმაღლეს ლიგაში თბილისის „სპარტაკს", რომლის ვარსკვლავებითაც მალევე გადააკომპლექტეს ფლაგმანი „დინამო", მანვე დააყენა, როგორც ოსტატთა გუნდი, ქუთაისის „ტორპედო". ისვე შველოდა ამ „ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისას...

ახლა კი, სულ შემთხვევით, გადავშალე ამ საოცარი კაცის ცხოვრების ერთი საინტერესო ფურცელიც — „ანდრო ჟორდანია — ფეხბურთელი".

დიახ, ის საუცხოო ფეხბურთელი გახლდათ. ოცი წლისაც არ იყო, როცა მთელს საქართველოში ამ თამაშის პოპულარიზატორად, მისი საუკეთესო თვისებების მაჩვენებლად გვევლინებოდა.

მე არ მინახავს ჟორდანიას გუნდები, ფეხბურთის ყურება მაშინ დავიწყე, როცა „დინამო" „ტვენტეს" მასპინძლობდა. მითუმეტეს, არც ჟორდანიას ფეხბურთელობა ვიცი.

მაგრამ მე ვხვდები, ვინ იყო ეს კაცი.

მე ვიცი —

ანდრო ჟორდანია ქართული საფეხბურთო ფიქრის სიმბოლოდ რჩება.

„დინამოელთა" საფეხბურთო ბაზა ოფიციალურად ატარებს მის სახელს, არ არის ძველი ჟურნალისტი, თბილად, საუცხოოდ რომ არ მოიგონოს ეს კაცი.

და რაც მთავარია, კიდევ ერთი, თავში ნახსენები წიგნი — რომლის ანალოგიც ქართულ საფეხბურთო მწერლობაში არ მოიძებნება.

და მაინც,

ოთხშაბათის ცხელ საღამოს ვერელ და ვაკელ ქომაგებთან ერთად ვიჯექი ვაკის ერთ პატარა და გემრიელ დუქანში. გახსენებაზე, ჩვენს შორის უხუცესმა თქვა, ეს ჩვენი თბილისი კედელზე მიკრული დაფების ქალაქია, ყველა დოცენტის შთამომავლობა თავს მოვალედ რაცხს, სახლს დაფა მიაკრას, აქ ესა და ეს ცხოვრობდაო.

ანდრო ჟორდანიას არ ჰყავდა შთამომავლობა. მისი ოჯახი, მისი ცხოვრება ფეხბურთი იყო.

ბოლოს ის ვაკეში, მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ ცხოვრობდა. ცნობილ „მწვანე ველის" სახლში.

გუშინ ამ სახლთან ჩამოვხტი ტაქსიდან. სამი ღირსეული მოღვაწის ხსოვნის დაფა ამშვენებს მის კედელს — პიანისტის, ბიოლოგის და მწერლისა.

არ არის მხოლოდ ერთი — ქართული საფეხბურთო ფიქრის სიმბოლოსი, კაცისა, რომლის ცხოვრებაც ფეხბურთი იყო.

კაცისა, რომელსაც ფეხბურთი ხელოვნებად მიაჩნდა.

# ვისია, ვისია მსაჯი ბუტენკო?!

გუშინწინ ფოთიდან დაბრუნებულს გულმა აღარ მომითმინა და ამ პატარა წერილის დაწერა გადავწყვიტე. ვიფიქრე, მშვიდად, უემოციოდ, ფაქტებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ გავაგებინებ მკითხველს, რა მოხდა „კოლხეთი“ — „დინამოს“ მატჩისას-მეთქი, მაგრამ როგორ ავხსნა ის სიტუაცია, რომ ქართველებს სასწაულებრივად არ უმართლებდათ? ვეცდები, ყველაფერზე თანმიმდევრულად მოგითხროთ.

მატჩის წინა დღეს ფოთში თავსხმა წვიმა იყო, ამიტომაც მინსკიდან სენაკში ჩამოფრენილმა და იქიდან ქობულეთის „ინტურისტში“ მიმავალმა მეტოქემ მხოლოდ „ფაზისის“ სტადიონის ვიზუალურად დათვალიერება ამჯობინა. სტუმრები მოედანზე რომ მივიდნენ, უკვე აღარ წვიმდა, მაგრამ ანატოლი ბაიდაჩნიმ მაინც თავი შეიკავა ვარჯიშისგან: ბიჭებო, შეხედეთ, გაზონი რა მშვენივრად გამოიყურება, ხვალ აქ უნდა ვითამაშოთ და მოდით, დღევანდელი ვარჯიშით მინდორს ნუ გავაფუჭებთო — უთხრა ფეხბურთელებს. მათაც დაუჯერეს მწვრთნელს და ქობულეთს გაეშურნენ, სადაც პლაჟზე კროსი გამართეს. მატჩის დღესაც დილით იგივე გაიმეორეს და ისევ ფოთს დაუბრუნდნენ, სადაც საკმაოდ ოპტიმისტურად განწყობილი მასპინძლები დახვდნენ. მათ 24 საათით ადრე ნამიან მინდორზე მსუბუქად ევარჯიშათ სოსო ფილიას ხელმძღვანელობით. მოკლედ, კოლხებს ღირსეული რევანშის წყურვილი კლავდათ, სტუმრები კი ოდნავ შეფიქრიანებულნი გამოიყურებოდნენ, მაგრამ თავიანთ ზრახვებს არ მალავდნენ — ორი მატჩის ჯამში მაინც ჩვენ დაგვრჩება გამარჯვებაო, ამბობდნენ. ეს იყო მატჩამდე. ხოლო თავად თამაშზე და მსაჯობაზე, რომელიც ბევრი ფოთელის აზრით არაობიექტური იყო, ახლა მოგახსენებთ.

როგორც წინა „სარბიელში“ ვწერდით, შეხვედრა სტუმრების აშკარა უპირატესობით დაიწყო. ბურთს სულ ისინი ფლობდნენ, ფოთელები კი სტატისტებივით ადევნებდნენ თვალს. „დინამოს“ ლიბერო შილო პირველად მხოლოდ მეხუთე წუთისთვის ჩაერთო თამაშში. აქედან მოყოლებული, მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 32-ე წუთიდან დაწყებული მეორე გატანილ გოლამდე კი მოედნის სრული ბატონ-პატრონები მასპინძლები იყვნენ. ნამდვილად შეუძლებელია ყველა იმ მომენტის აღწერა, როდესაც კოლხებს გოლი უნდა შეეგდოთ. შეეგდოთ კი არა... წარმოიდგინეთ, დაახლოებით სამ-ოთხჯერ მეკარის ცხვირწინ მდგარი მასპინძლები ხან ევნევიჩს მოარტყამდნენ ბურთს, ხანაც საერთოდ აცილებდნენ კარს. ფოთიდან მომავალი ვცდილობდი, როგორმე ამ მატჩის ანალოგიური გამეხსენებინა. საბოლოოდ ვიფიქრე, „დინამო“ — „ლინფილდის“ თბილისურ შეხვედრას ჰქონდა საერთო ფოთის თამაშთან-მეთქი. ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა, მაგრამ „დინამოსაც“ და „კოლხეთსაც“ იმდენი მომენტი გაუცუდდათ, ორი კი არა, ხუთი ამდენი უნდა შეეგდოთ.

ფოთელებს ფატალურად არ უმართლებდათ. ყველაფრის კულმინაცია ბოლო წუთები გახლდათ — მსაჯმა მასპინძლების სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა: საჯარიმოდან მეტრი, მეტრნახევრის მოშორებით. წარმოიდგინეთ, ტრიბუნებზე რა ამბავი ხდებოდა — ზოგი ყვიროდა, ზოგს ენა ჩაუვარდა, რამდენიმემ კი თვალები დახუჭა. ფოთი გოლის მოლოდინში გახლდათ, მაგრამ დარტყმული მეკარემ მოიგერია. ამ დროს მეკარის საჯარიმოში რა მოხდა, ძნელი სათქმელია. ამბობენ, დათო მახარაძემ სუფთა გოლი გაიტანა, რადგანაც ევნევიჩს ბურთი ხელთ არ ეპყრაო. სხვებმა — მახარაძე მეკარეს დაეტაკა და ჯარიმა იყოო. ბუტენკომაც სწორედ ეს გადაწყვეტილება მიიღო.

კიდევ ორ ეპიზოდს გავიხსენებ: ჯერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა ევნევიჩს და ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ჟურაველმა, შემდეგ მიქაბერიძის ასპროცენტიანი მომენტი: ფლანგიდან ჩაწოდებული აბრაგანი, როგორც ტრიბუნიდან ჩანდა, „ტურამ“ ხელით გაისწორა, მსაჯს არ ჩაუსტვენია, კარამდე სულ რაღაც სამი მეტრიდან კი ფოთელმა ააცილა. უამრავთაგან ეს ორი მომენტი შეგნებულად ავირჩიე ბუტენკოს ობიექტურობა-არაობიექტურობაზე რომ მეთქვა სიტყვა. ჩემი აზრით, არბიტრმა მართლაც ნორმალურად იმსაჯა. ყველაზე გასაკვირი კი ისაა, რომ მსაჯი ოდნავი სიმპათიით იყო განწყობილი მასპინძლებისადმი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. მატჩის შემდეგ ზოგიერთი იმ თანხასაც ასახელებდა, რომელიც მინსკელებს თითქოსდა ბუტენკოსთვის გადაეხადათ. ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კოლოსკოვის ძმაკაცია და ბუტენკომაც ამიტომ „დაგვწვაო“, ამბობდნენ. ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია. მიქაბერიძის ხელით თამაში მსაჯმა ვერ დაინახა, რომ შეემჩნია, ყვითელი არ ასცდებოდაო, ერთმა გავლენიანმა პიროვნებამ თქვა. კი მაგრამ, ეს ეპიზოდი 40 მეტრიდან თუ ჩანდა კარგად, არა მგონია, ბუტენკოს მხედველობა ჰქონდეს დაქვეითებული, თანაც ისე, ორი თუ სამი მეტრიდან ხელი და მკერდი ვერ გაარჩიოს ერთმანეთისგან. თუმცა, მეორეცაა — იქნებ, საერთოდ არ უთამაშია ხელით მიქაბერიძეს და ამიტომაც არ ჩასტვინა მსაჯმა? იქნებ, ტრიბუნიდან ჩანდა ასე? ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ იმ ერთი კაცის ეჭვების გასაფანტად დავსვი ეს აუცილებელი კითხვები. ახლა მეორე შემთხვევა — ევნევიჩს ბურთი ხელიდან რომ გაუვარდა, ის გოლი რომ გასულიყო, მსაჯი არ ჩათვლიდა, ჯარიმას გამოიგონებდაო. ვერ გამიგია, უეფას თასის თამაში, ბოლო-ბოლო, საქართველოს ჩემპიონატია? ბნელა? როგორ არ ჩათვლიდა, როცა დაახლოებით ერთი წუთი ამ მომენტამდე ჯარიმა საერთოდ არ დანიშნულა და სადავო ეპიზოდი არ ყოფილა. რომ ყოფილიყო, გასაგებია. შეიძლება, ფიფას ახალი სამსაჯო წესების თანახმად, მართლაც მოეგონა არბიტრს — იქ, ამან იმას რომ უბიძგა, ჯარიმა იყოო — მაგრამ მსგავსი, ხომ ვთქვი, არაფერი ყოფილა, უსაფუძვლოდ კი ბუტენკო რამეს თუ გამოიგონებდა, მაშინ აღარც საერთაშორისო მატჩებისას ყოფილა საშველი და ეგაა.

მოკლედ, კაცი ვერ დამარწმუნებს, მინსკის „დინამო“ შემდეგ ეტაპზე მსაჯმა გაიყვანაო. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში მატჩის უკანასკნელ წუთზე ჯარიმას არ ნიშნავენ. შეიძლება, 90-ე წუთი არც იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემს საათზე წუთნახევარი გადაცილებული გახლდათ. ალბათ, ბუტენკოს წამზომიც იგივე დროს აჩვენებდა. ჰა, ჰა, 10-15 წამი სხვაობა ყოფილიყო. თუმცა, ღმერთმა უწყის, მსაჯი რას ფიქრობდა. ბუტენკომ ისეთი ჯარიმა დანიშნა, სავსებით შესაძლებელი იყო, ღალანიძეს გოლი შეეგდო. ახლა მოდით, მითხარით და დამარწმუნეთ, მსაჯი მინსკელებისა იყოო. ხომ შეიძლებოდა, ღალანიძის დარტყმულს გოლი მოჰყოლოდა. საინტერესოა, არბიტრი მაშინ როგორ უშველიდა „დინამოს“? ალბათ, ვერაფრით, რადგანაც საამისო დრო აღარ იყო. ხელახლა დაარტყმევინებდა იმ მოტივით, თითქოს ცხრამეტრიანი დისტანცია არ იყო დაცული? არა მგონია, მას ეს გაეკეთებინა, რადგანაც ჯარიმის შესრულებამდე ორი თუ არა, ერთი წუთი მაინც იმას მოანდომა, მინსკელები ცხრა მეტრის მოშორებით დამდგარიყვნენ. და თუ რუსი არბიტრი ასეთი უგონოა, ხალხს აბრმავებს და რასაც უნდა, იმას აკეთებს, მაშინ ალალი ყოფილა მასზე და მის თანაშემწეებზე შესვენებაზე მათი მისამართით ნასროლი სხვადასხვა საგნები. ვეჭვობ, ასე იყოს — გაეტანა ღალანიძეს ის ჯარიმა და ვნახავდით, მერე რაღას იტყოდნენ. ალბათ იმას, მსაჯობა ძალიან ობიექტური იყოო.

აქ დავამთავრებ, თორემ ვატყობ, ფოთელებს ძალიან ვაწყენინებ. ისე, რაც ზემოთ დავწერე, ცხადია, ჩემი ნაფიქრალია, სხვისაზე კი ვერაფერს გეტყვით. იმედი მაქვს, ოპონენტები, რომლებიც იმ დღეს მრავლად იყვნენ, მშვიდად, ემოციების გარეშე განსჯიან ყველაფერს, „დინამოსთან“ თამაშის ფირსაც ნახავენ და იქნებ მაშინ მაინც დამეთანხმონ.

**ქობა ინასარიძე**

**ფოთი — თბილისი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

ერთხელაც ვუბრუნდებით „დინამოსა“ და „კოლხეთის“ მონაწილეობით გამართულ ოთხშაბათის ევროპულ თამაშებს



მახარაძემ, მიქაბერიძემ და „კოლხეთში“ ბოლოჯერ მოთამაშე დარასელიამ ბუტენკოს ვერაფერი შეასმინეს

# კრუზეიდერსის თბილისური არდადეგები

როცა ამ წერილს წაიკითხავთ, „დინამო“ — „კრუზეიდერსის“ მატჩი კარგა ხნის მორჩენილი იქნება. ჩრდილოირლანდიელები სამშობლოში გაფრინდნენ, დინამოელებმა კი უკვე ლევერკუზენზე დაიწყეს ფიქრი. როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, თბილისელთა თავკაცობა, ალბათ, ოთხშაბათის მატჩის სათამაშო ტაქტიკის არჩევა-განხილვაში იყო. გაინტერესებთ, ამ დროს თავს როგორ გრძნობდნენ ჩვენი სტუმრები? მაშ, მომისმინეთ.

თამაშის დღეს, დილიდან, მე და ჩემი კოლეგა ერეკლე კეკელაშვილი „მეტეხს“ მივადექით. და პირდაპირ გეტყვით: ჩრდილოირლანდიელებმა ნამდვილად მოგვხიბლეს თავიანთი უშუალობითა და იუმორის დიდი გრძნობით.

სასტუმროში მისვლისას „კრუზეიდერსის“ პრეს-ატაშემ ჯონ სმიტმა და მწვრთნელმა რობერტ სრინიმ მოგვეხელთეს. ვიფიქრეთ, ტაქტიკა-კომბინაციებით ყურებს გამოგვიჭედავდნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — მათ მომავალი მატჩის შედეგი ისე ანალებდათ, როგორც მე და თქვენ პაკისტან-ინდოეთის კრიკეტის ტესტის შედეგი. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, საქართველოთი დაინტერესებულ სტუმრებთან ქვეყნის ავკარგზე, ბუნებაზე, ხელოვნებაზე, ნავთობის ტრანსკავკასიურ გზასა და სასმელზე ვისაუბრეთ. ამ უკანასკნელზე რომ ჩამოვარდა სიტყვა და ერეკლემ უთხრა, სუფრაზე ბოთლ ვისკის ვსვამო, თვალები შუბლზე აუვიდათ და იქვე ცხრა ათეულ წელს მიტანებულ ჩრდილოირლანდიელზე მიგვითითეს — თუ ეგრე გააგრძელეთ, ერთ წელიწადში ამას დაემსგავსებითო. სასმელმა სტუმრებს თანამემამულე ჯორჯ ბესტი გაახსენა და გვითხრეს, უნიჭიერესი კაცი იყო, მაგრამ ალკოჰოლმა დაღუპაო. შუა საუბარში ვიყავით, ქალმა რომ ჩაგვიარა, სრინიმ კი შეგვაპარა, ისე, ქართველებს ლამაზი ქალები გყოლიათო. მერე ამ ორმოცდაათს მიტანებულმა კაცმა მამაშვილურად დაგვმოძღვრა — მეგობარი ქალი ცოლობამდეა კარგი, თორემ შეუღლების შემდეგ ძნელი ასატანიაო. სხვათა შორის, ფრანგები მომწონსო, დასძინა. ამის თქმა იყო და გვერდზე ფრანგი ქალიშვილი ჩამოჯდა, მასაც საქართველო აინტერესებდა. სრინიმ ყურადღება მისკენ გადაიტანა და შეეცადა, თავი მოეწონებინა, მაგრამ ელენის ბოიფრენდის გამოჩენამ რობერტის ნაჯაფარი ქარს გაატანა. იქვე ჯონ სმიტმა მკითხა, ქალაქში ხელიხელ გაყრილი ბიჭები შევნიშნე, შეხვედრისას კი კაცები ერთმანეთს კოცნიან, რა, თქვენთან „ცისფერები“ მრავლად არიანო? კითხვამ ცოტა დამაბნია, მაგრამ მალე მოვისაზრე და მივუგე, ქართველები ცოტანი ვართ და ამიტომაც ერთმანეთისადმი მოზღვავებული სიყვარული გვჭირს-მეთქი. მალე ნომრიდან დაბრუნებული სრინი ირლანდიური შოკოლადით გაგვიმასპინძლდა. შემდეგ ახალი სასაუბრო თემა წამოიჭრა — მუსიკა. ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ. ვკითხეთ, „სფაის გერლზი“ თუ მოგწონთო. მან რიხიანად გადაიხარხარა და გვიპასუხა, მთელს ბრიტანეთში კაცს ვერ ნახავთ, მათთან ღამის გატარებაზე უარი რომ თქვასო.



დავით მუჯირმა ჩრდილოირლანდიელებს სამი გოლი გაუტანა

მალე ბელფასტში ზოიძის კარში გოლის გამტანი ბაქსტერი შემოგვიერთდა. მას რომ ვკითხეთ, თბილისში გოლის შეგდებას თუ აპირებდა — გავიტან, თუ ბურთმა ჩემამდე მოაღწიაო. შეგირდის პასუხი რომ მოისმინა, მწვრთნელმა იხუმრა, მავისი არ ვიცი და მე სამ გოლს გავიტან, ოღონდ შესვენებისას, კარში რომ არავინ იქნებაო. იქვე სრინიმ დინამოელთა წინააღმდეგ სავარაუდო შემადგენლობა დაასახელა. მასში მე და ერეკლეც შეგვიყვანა — თქვენიანების აქილევსის ქუსლი კარგად იცით, იქნებ გამოგვადგეთო... ვინც თამაში ნახა, ეცოდინება, რომ სტუმართა ერთ-ერთმა მწვრთნელმა სიტყვა აღარ შეასრულა.

მოგვიანებით „ლევერკუზენის“ მწვრთნელი კრისტოფ დაუმი გამოჩნდა. სმიტმა კვლავ იხუმრა: ალბათ, ჩვენი ფეხბურთელები ძლიერ მოეწონა, რომელიმე მათგანს აუცილებლად იყიდის. ხუმრობა იქით იყოს და, სრინი გამოგვიტყდა, „კრუზეიდერსს“ ფული არ აქვს, თორემ გოგიჩაიშვილის და კეჟაძის შესაძენად არაფერს დავიშურებდითო.

მოკლედ, თითქმის ექვსსაათიანი გულახდილი საუბრის შემდეგ ჩინებულ გუნება-განწყობილებაზე მყოფნი სტუმრებს მომავალი შეხვედრის იმედით დავემშვიდობეთ. ამ უსახელო და სუსტი კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელის რობერტ სრინის ნათქვამმა კი, ქართველები და ჩრდილოირლანდიელები ცოტანი, მაგრამ ჯიგრები ვართო, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ადამიანის პატივსაცემად სრულიადაც არ არის საჭირო, იგი ვინმე ცნობილი, სახელგანთქმული პიროვნება იყოს.

**ლაშა გოდუაძე**

## ჩემპიონთა თასი. მეორე შესარჩევი წრე

13 და 27 აგვისტო

- ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — დინამო (თბილისი)
- ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მ.პ.კ.ც. (მოზირი, ბელარუსი)
- ბეშიქთაში (თურქეთი) — მარიბორი (ბრანიკი, სლოვენია)
- კოშიცე (სლოვაკეთი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)
- ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) — კროაცია (ზაგრები, ხორვატია)
- სიონი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი)
- ბარსელონა (ესპანეთი) — სკონტო (რიგა, ლატვია)
- მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)
- სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)
- ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — ჯაზი (პორი, ფინეთი)
- გიოტებორგი (შვედეთი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
- ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) — პარმა (იტალია)
- ბრონდბიუ (დანია) — დინამო (კიევი, უკრაინა)
- აუსტრია (ზალცბურგი, ავსტრია) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)
- ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი) — სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)
- ანორთოსისი (კვიპროსი) — ლიერსი (ბელგია)

# სირცხვილნაჭამი „დინამო“

CHAMPIONS LEAGUE — UEFA CUP

## ევროთასების განმეორებითი მატჩების მიმოხილვა

ამ სეზონის ევროთასების პირველი მიმოხილვა, წინა ხუთშაბათს რომ გაგაცანით, ჩემპიონთა თასის მატჩით: „პარტიზანი“ — „კროაციათი“ დავიწყეთ, მაგრამ სანამ ამ მეტად პრინციპული წყვილის ამბავს შეგატყობინებთ, ისლანდიელთა მიერ რუმინელთა ძლევის ამბავს მოგითხრობთ.

კარგად გემახსოვრებათ, რომ წინა ოთხშაბათს რეიკიავიკში, ამავე სახელწოდების ნახევრადპროფესიონალურმა კლუბმა, ყველასთვის მოულოდნელად, მასზე გაცილებით ძლიერი ბუქარესტის „დინამო“ სძლია — 2:0. რუმინეთში მარცხი თავის მოჭრად აღიქვეს. კლუბის პრეზიდენტმა, ქვეყნის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კორნელ დინუმ საპასუხო მატჩს აღარ დაუცადა და გუნდის თავკაცი, სეხნია ტალნარი დაითხოვა, ფეხბურთელებს კი დაემუქრა, თუ ამათ ვერ მოვუგეთ, ჯარიმებს მერე ნახავთო. მოკლედ, ბუქარესტის მატჩის წინ დინამოელებს უკანდასახევი გზა მოეჭრათ, მაგრამ „რეიკიავიკმა“ ოსტატურად ითამაშა და ამპარტავან რუმინელებს შანსი არ დაუტოვა. ბუქარესტში, როგორც შინ, საუცხოოდ ითამაშა დადასონმა და ამჯერად ორი გოლი გაიტანა, თანაც — 22 წუთში. ამას ნამდვილად არ ელოდნენ მასპინძლები. თავგამეტებითაც ეკვეთნენ ისლანდიელებს, მაგრამ ერთი გოლის მეტს ვერაც გამორჩნენ. ტრიბუნებიდან სეტყვასავით წამოვიდა ლანძღვა-გინება. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა საქვეყნოდ შეირცხვინეს თავი: წააგეს გუნდთან, რომელსაც ევროტურნირებზე ნათამაშევ 23 მატჩში ორჯერ მოეგო, ბურთების შეფარდება კი სულაც 23-89 ჰქონდა!

ამ თასზე რუმინელთა მეორე წარმომადგენელმა „ოცელულმა“ „დინამოს“ ბედი გაიზარდა — ახალბედა სლოვანური კლუბის, „გორიცას“ მსხვერპლი შეიქნა.

სანამ ეს ორი რუმინეთის ფეხბურთის სახელს ლაფში სვრიდა, ჩემპიონთა თასის 1986 წლის გამარჯვებული „სტიაუა“ სოფიაში მედგრად დაუდგა იქაურ ცსკას და შემდეგ ეტაპზე გავიდა. აქვე ერთ ამბავსაც გეტყვით: განმეორებით მატჩამდე ოთხიოდე დღით ადრე „სტიაუამ“ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მიზეზი ეს იყო: კლუბის ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან კუთვნილზე გაცილებით მეტის, მილიონი დოლარის მითვისება. რუმინეთის ფეხბურთის მამებმა „სტიაუას“ ზრახვები რომ გაიგეს, იმ დღესვე საჯაროდ განაცხადეს, ამ საქმეში მართლები ვართ, „სტიაუას“ ახლა ფინანსურად უჭირს და ფულს გვედავება, რითაც ფედერაციას ჩირქს სცხებსო. მიუხედავად ამ განცხადებისა, „სტიაუა“ არ შედრკა და საქმის თაობაზე აცნობა სპორტის მინისტრს სორინ სტანესკუს, რომელმაც სიმართლის დასადგენად საქმეში სათანადო ორგანოები ჩარია. ამათ ფეხბურთის ფედერაციას სატრანსფერო გადასახადებიდან მიღებული თანხების დოკუმენტები მოსთხოვეს, რაზეც სასტიკი უარი მიიღეს.

ახლა კი თავად ჩემპიონთა თასის მატჩზე. სოფიის სტადიონი გაჭედილი არ იყო, მაგრამ არც ცარიელი შეხვედრია თამაშს. ბულგარელებს სტუმრად გატანილი სამი გოლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ რუმინეთის ბოლო ხუთწლეულის უცვლელმა ჩემპიონებმა ანგელ იორდანესკუს თავკაცობით ტაქტიკურად სწორად ითამაშეს და საწადელიც აისრულეს. პირველი ნაბიჯი კი გამარჯვებისკენ დენის სერბანმა გადადგა. ეს მწითური ყმაწვილი 35-ე წუთზე ელვისებურად შეიჭრა მასპინძელთა დაცვაში, ორი ბულგარელი გააბითურა და მეკარე ილიან ვასილიევს აულებელი დაურტყა. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მასპინძლებს გოლიც ჰყოფნიდათ, მაგრამ ძალზე უნიათოდ ირჯებოდნენ. ის კი არა, მეორე ტაიმში სტუმარმა ლურინტუ რეჯენკამპფმა 47-ე წუთზე 30 მეტრიდან ვასილიევს მეორედ გაუტანა. მოკლედ, „სტიაუამ“ მშობლიური ფეხბურთი სრული კრახისგან იხსნა და შემდეგ ეტაპზე გააღწია, სადაც „პარი სენ ჟერმენი“ ელის. ალბათ, რუმინელები ფრანგებთან ვერას გახდებიან და სხვა ჩემპიონებთან ერთად უეფას თასზე გადაინაცვლებენ. თუმცა, ვინ იცის...

ხორვატებსა და სერბებს შორის ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ომი 1991 წელს დაიწყო და ორი წლის წინ დასრულდა, მაგრამ ივნისის დასაწყისში ჟენევაში ევროთასების წილისყრამ იგი კვლავ განაახლა, ამჯერად — საფეხბურთო მინდვრებზე. პირველი მატჩის შესახებ ბევრი გიამბეთ, ახლა კი ზაგრებში გამართულ არანაკლებ საინტერესო საპასუხო შეხვედრაზე მიდგა ჯერი. სტადიონზე ახლაც მრავლად იყვნენ პოლიციელები და სხვადასხვა ჯურის სამართალდამცავები, მაგრამ მათი ჩარევა სულაც არ გამოდგა საჭირო — საყვარელი გუნდის თამაშიც მოხიბლული ფანები მატჩის ჩაშლას არ აპირებდნენ. ზაგრების „მაქსიმირის“ 35-ათასიანი სტადიონი ამ ათწლეულში პირველად გაივსო. თითქმის ყველა ხორვატს ლურჯ-თეთრი ზოლებით მოეხატა სახე. შეხვედრა მართლაც კარგი სანახავი გამოდგა „კროაციას“ უწყვეტი შეტევებისა და თავბრუდამხვევი იერიშების წყალობით, რასაც სერბებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. სილვიო მარიჩმა, რომელმაც პირველ შეხვედრაში რამდენიმე მომენტი გააცუდა, ნავსიან მე-13 წუთზე შეარხია კრალის კარის ბადე. ამან სერბები ძლიერ დააბნია. ხუთი წუთი არ გასულიყო, კრალიმ მეორედ რომ გამოიტანა ბურთი კარიდან — ამჯერად იგორ ცვიტანოვიჩის დარტყმის მერე. ამ გოლს ერთი ამბავი მოჰყვა: აღგზნებულმა ფანებმა „ვუკოვარ, ვუკოვარო“, შემოსძახეს — ვუკოვარი ის ქალაქია, ხორვატებმა დიდი ბრძოლების შემდეგ რომ წაართვეს სერბებს. ასეთ ფსიქოლოგიურ წნეხს კი სტუმრებმა ველარ გაუძლეს და შესვენებამდე კიდევ ორი გოლი გაუშვეს, რაც, ფაქტობრივად, დასასრული იყო. მეორე ტაიმში ვნებათაღელვა არ დამცხრალა, მაგრამ მასპინძლებმა სტუმრები „დაინდეს“ და მხოლოდ ერთი გოლი გაუტანეს. რეალური საგოლე მომენტი მეორე ტაიმში სერბებმაც შექმნეს, მაგრამ 76-ე წუთზე დეიან ვუკიჩევიჩის პენალტი მაყურებელთა მხარდაჭერით ფრთაშესხმულმა ლადიჩმა მოიგერია, ის კი არა, დამატებითი დარტყმულიც აიღო. მსაჯის საფინალო სასტვენმა მთელი ზაგრები შეძრა — გამარჯვებით გამოწვეული სიხარული დილამდე გაგრძელდა. ხორვატმა ჟურნალისტებმა „პარტიზანის“ მარცხი ხორვატიის არმიის მიერ 1995 წელს 180 ათასი სერბის დატყვევებას და კუთვნილი მიწების დაბრუნებას შეადარეს. შეხვედრის შემდეგ ხორვატთა ცრემლმორეულმა პრეზიდენტმა ტუჯმანმა განაცხადა, მართლაც კარგი გუნდია „კროაცია“, ვინც უნდა დაგვიდგეს წინ, ყველას კუდით ქვას ვასროლინებთო. ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე კი „კროაციას“ ჩვენებური თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ დაუდგება.

რახან სიტყვა ბრიტანეთზე ჩამოვარდა, შოტლანდიელების საგმირო საქმეებზეც ვიტყვით ორიოდ სიტყვას. პირველი მატჩები „რეინჯერსმა“, „სელტიკმა“ და „დახდი იუნაიტედმა“ საერთო ჯამში 16:1 მოიგეს. სქოთებმა საწყალი მეტოქენი არც განმეორებით შეხვედრაში დაინდეს და პირველი ბრწყინვალედ გაასრულეს: 6 შეხვედრიდან ყველა მოიგეს, არცერთი გოლი არ გაუშვიათ, 36 კი გაიტანეს.

**ლაშა გოდუაძე**



**ფეხბურთის რუკასთან**

**ჩინეთის** ნაკრები, გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მონაწილეობა რომ განუზრახავს, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, აგვისტოში ათდღიან შეკრებას გაივლის ბრიტანეთში. ჩინელებს აზიის შესარჩევ ჯგუფში პირველი თამაში ირანელებთან აქვთ 13 სექტემბერს, მანამდე კი ინგლისის ჯერჯერობით უცნობ სამ გუნდს შეხვდებიან.

**იტალიის „ფიორენტინას“ ფორვარდი ფრანჩესკო ბაიანო ინგლისის „დერბი ქაუნთიში“ გადაბარგდა მილიონ 100 ათას დოლარად. იგი ამ კლუბის მეორე აპენინელი ფეხბურთელი იქნება ექს-მილანელი სტეფანო ერანიოს შემდეგ. ბაიანომ, ვისაც „ფიორენტინამდე“ „ნაპოლიში“, „ემპოლიში“ „პარმაში“, „აველინოსა“ და „ფოჯაში“ უთამაშია, ახალ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**შოტლანდიის** „სელტიკმა“ ხუთშაბათს ფრანგი სტეფან მეი შეიძინა „რენიდან“ მილიონ 100 ათას დოლარად. 28 წლის მცველმა ახალ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი დადო. მეი, რომელსაც ადრე „ოსერსა“ და პსჟ-ში უთამაშია, „სელტიკის“ ახალი მწვრთნელის, ჰოლანდიელი ვიმ იანსენის მეოთხე შენაძენია შოტლანდიელების — კრეიმ ბარლის, დარენ ჯეკსონისა და შვედი ჰენრიკ ლარსონის შემდეგ.

**ესპანეთში 12 ოქტომბერს გაიმართება რასიზმის წინააღმდეგ მიმართული ამხანაგური ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები ითამაშებენ. მონაწილეობას მიიღებს სამი გუნდი, რომლებსაც დიეგო მარადონა, ერიკ კანტონა და ჟორჟ ვეა უკაპიტნებენ. მატჩები კი ნაცვლად 90 წუთისა, 40 წუთს გასტანს.**

**ბრაზილიელი** სელიო სილვას ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას ვერა და ვერ დაადგა საშველი. ალბიონელები თავიდან ყაბულს იყვნენ, მცველში 5 მილიონი დოლარი გადაეხადათ, ძაგრაძ აღმოჩნდა, რომ ტრანსფერის შემთხვევაში სელიო სილვა პრემიერლიგაში ვერ ითამაშებდა, რადგან მას ნაკრებში სათანადო რაოდენობის მატჩები არ ჰქონდა ჩატარებული.

**საფრანგეთის პსჟ-ს პრეზიდენტმა მიშელ დენიზომ განაცხადა, „მილანი“ ლეონარდოს გადაყვანას რომ ლამობს, არაფერი გამოუვაო. იტალიელები მზად იყვნენ, ბრაზილიელში 11 მილიონი დოლარი გადაეხადათ, მაგრამ პარიზელებმა ლეონარდოს დაკარგვა არ ისურვეს.**

**ბულგარეთის** ნაკრების მცველი ტრიფონ ივანოვი, რომელსაც 1995 წელს თბილისშიც უთამაშია, ვენის „რაპიდიდან“ ამავე ქალაქის „აუსტრიაში“ გადავიდა. 32 წლის ივანოვმა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, „აუსტრიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ავსტრალიელი ნედ ზელიჩის „ოსერიდან“ ვენის „რაპიდში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოულოდნელად წუხელ გარიგება ჩაიშალა. 26 წლის ზელიჩი ადრე დორტმუნდის „ბორუსიაში“ „ქუინზ პარკ რეინჯერსსა“ და ფრანკფურტის „აინტრახტში“ თამაშობდა.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბ „პორტსმუთში“ ავსტრალიის ნაკრების ნახევარმცველი კრეიგ ფორესტის გადასვლას ვარაუდობენ. თუ გარიგება მოხდა, მაშინ ფორესტი კალაჩისა და ენისის შემდეგ „პორტსმუთის“ მესამე ავსტრალიელი მოთამაშე იქნება.

**აშშ-ს ნაკრები 7 აგვისტოს ბალტიმორის „მემორიალ სტედიუმზე“ ამხანაგურ მატჩში ეკვადორს ეთამაშება.**

**უნგრეთის** ნაკრებისა და ბუდაპეშტის „ვაშაშის“ მეკარე შაბოლიმ საფარი ავსტრიულ „ზალცბურგში“ აპირებს გადასვლას. გუნდებმა უკვე მოილაპარაკეს. ოფიციალურ ტრანსფერს უნგრეთის ნაკრებში ექვსჯერ ნათამაშევი საფარის ხელმოწერაღა აკლია.

**ინგლისის „ლივერპულის“ ფორვარდი რობი ფაულერი ერთ-ერთ ნორვეგიულ კლუბთან ამხანაგური მატჩისას დაშავდა. იმ შეხვედრაში ინგლისელებმა იმარჯვეს — 3:1. ორი რობიმ გაიტანა, მაგრამ მერე თავად იგი გაიტანეს მინდვრიდან. პრემიერლიგის პირველ ტურში „ლივერპული“, ალბათ, უფაულეროდ ითამაშებს.**

**ინგლისის** ნაკრების კაპიტანის — ალან შირერის დაშავებას, ეტყობა, „ნიუკასლში“ დიდი არეულობები მოჰყვა. ჯერ იყო და კლუბი ფერდინანდის ტრანსფერის ჩაშლას ცდილობდა, ახლა კი ლესის საქმესთან რომ ვერაფერი გააწყო, ადგა და პიტერ ბერდსლის „ბოლტონში“ გადასვლა შეაფერხა. „ბოლტონსა“ და „ნიუკასლს“ შორის შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ ჯორდების გუნდის ხელმძღვანელებმა ბერდსლის ასეთ მომენტში გაყიდვა მიზანშეუწონლად ჩათვალეს.

**ისრაელის ნაკრების ნახევარმცველი იცხაკ ზოხარი შესაძლოა ახალ სეზონს ინგლისში შეხვდეს. 26 წლის ებრაელით, რომელიც ახლა ბელგიის „ანტვერპენში“ თამაშობს, სერიოზულადაა დაინტერესებული პრემიერლიგაში აღზევებული „კრისტალ პალასი“.**

**გერმანელი** კარლ-ჰაინც რიდლე, ამ დღეებში დორტმუნდის „ბორუსიიდან“ „ლივერპულში“ რომ გადავიდა, ბუქმეიქერების აზრით ბომბარდირობის მეცხრე ფავორიტად იქცა ფაულერის, რაიტის, ფერდინანდის, სოლსკიაერის, შირერის, ტომასონის, ძოლას, კოლიმორის, კოულის და შერინგემის შემდეგ.

**ინგლისის საუკეთესო მწვრთნელად „როთმანზ ფუტბოლ იარბუქმა“ „უიმბლდონის“ თავკაცი ჯო კინერი დაასახელა. იმავე გამოცემის აზრით, პრემიერლიგის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელები ალან შირერი და ჯანფრანკო ძოლა არიან.**

**გერმანულმა** მანქანათმშენებელმა ფირმამ „ფოლსკვაგენმა“, რომელიც უდიდესია ევროპაში, გადაწყვიტა აქტიურად ჩაებას ფეხბურთში. ეს უდიდესი კომპანია ახალ სეზონში თავისივე ქალაქის გუნდ „ვოლფსბურგს“ უსპონსორებს. კლუბი წლეულს პირველად ითამაშებს ბუნდესლიგაში.

**ინგლისში მატჩების გაყალბების საქმეში მონაწილე გრობელაარის, ფაშანუს, სეგერსის და ჰენგ სუან ლიმის სასამართლო ორი დღით შეწყდა. მართლმსაჯულები იმ კვირაში ექვმიტანილთ ან სასჯელს გამოუტანენ, ანაც მათ უდანაშაულობას დაამტკიცებენ.**

# ბონჯორნო CALCIO

კაცს თუ ფეხბურთი გიყვარს, შეუძლებელია, იტალიის ჩემპიონატი არ გაინტერესებდეს. თვით ჩემპიონატებს შორის სამთვიანი შესვენებისას, რომ აღარაფერი ვთქვათ გაგანია საფეხბურთო სეზონზე, იმდენი საინტერესო ამბავი ხდება, გვერდის ავლა შეუძლებელია, ამიტომ კვლავ აპენინებზე მომხდარ ამბებსა თუ ცვლილებებზე მოგითხრობთ. ამჯერადაც საუბარი „იუვენტუსით“ დავიწყოთ.

სკუდეტოს მფლობელებმა ახალი სეზონისთვის მზადება თითქმის თვეა, რაც დაიწყეს. ამ ხნის განმავლობაში კლუბში უამრავი ცვლილება რომ მოხდა, ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. ამჯერად შემოგთავაზებთ ნაწყვეტებს ტურინელთა მწვრთნელის მარჩელო ლიპის ინტერვიუდან, რომელიც საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა მისცა. თავიდან ლიპიმ კარსმომდგარ პირველობაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ სერია A ჯერაც უძლიერესია და იქ თამაში უფრო ჭირს, ვიდრე სხვა ქვეყნების ჩემპიონატებში. „რონალდო სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც მარადონას, პლატინის, ვან ბასტენს და სხვა ვარსკვლავებს გახსენებს. მართალია, მათგან განსხვავებით ბრაზილიელს იტალიაში ჯერ არაფრისთვის მიუღწევია, მაგრამ მის ნიჭს თუ გავითვალისწინებთ, ბევრი რამ არის მოსალოდნელი. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამის მისაღწევად მას ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს.“ რონალდოს მერე ლიპიმ ახალ სეზონზე ისაუბრა, წელს უმძიმესი ჩემპიონატი იქნებაო: „სკუდეტოს შენარჩუნებისთვის კი ვიბრძოლებთ, მაგრამ „მილანის“, „ინტერის“, „პარმას“ და „ლაციოს“ სახით დიდი მოწინააღმდეგეები გვეყოლება“. სასხვათაშორისოდ ჩემპიონობის კანდიდატებად ლიპიმ „სამპდორია“ და „ბოლონიაც“ დაასახელა. მოგვიანებით, ყველა ზემოთნახსენებ გუნდზე თავისი შეხედულებების გამოთქმას რომ მორჩა, ისევ „იუვენტუსს“ მიუბრუნდა. თქვა, რამდენიმე კაცი კი გავყიდეთ და ვიყიდეთ, მაგრამ გუნდის ტაქტიკა თითქმის უცვლელი დარჩება, შემადგენლობის ძირფესვიანად გადახალისებასაც მოვერიდებიო. ახალწვეულ ფონსეკასა და პეკიაზე განაცხადა, რომ მათ ჯერ კიდევ ნეაპოლში მუშაობისას წვრთნიდა და მოხარშულებს იცნობს: „ფონსეკამ ბოლო ხანებში ფორმა დაკარგა, მაგრამ უწყვეტი ვარჯიშის მერე, დარწმუნებული ვარ, ძველებურად ათამაშდება. აი, ფაბიოს რაც შეეხება, მას მეტად იმედისმომცემ ფეხბურთელად ვთვლი და თუ ჩვენთან გაუმართლა, არ არის გამორიცხული, მალდინიმ ნაკრებში მიიწვიოს. ინძაგის იმედიც მაქვს. მართალია, იგი ფიზიკურად ვიერის დარი არ არის, მაგრამ არანაკლებ ძლიერი ფორვარდია, თანაც სწრაფი. „პიპოს“ (ინძაგის მეტსახელია) და ფონსეკას წყალობით ჩვენი თავდასხმა უფრო სწრაფი გახდება, რაც ძალიან სასურველია.“

„იუვემ“ მორიგი ამხანაგური მატჩი ხუთშაბათს გამართა. მათი მეტოქე სწორედ ის „ვალ დაოსტა“ იყო, რამდენიმე დღის წინ 6:1 რომ გაანადგურეს. ამჯერად სოფლელები მაგრად დადგნენ და ჩემპიონებს პირველ ტაიმში გოლი არ გაატანინეს — 0:0. ამან ლიპის დელ პიეროსა და ინძაგის შეცვლა აფიქრებინა. მათ ნაცვლად შესულმა ამორუზომ და პადოვანომ ორი უპასუხო ბურთი შეაგდეს. შეცვლამ ინძაგი გააღიზიანა, თუმცა, მწვრთნელზე კი არა, საკუთარ თავზე გაბრაზდა: რა არის, გოლი ვერ გამაქვსო.

სანამ „იუვე“ კომპლექტდება, ნელნელა ახლოვდება სერიოზული თამაშებიც. ხვალ ტურინელები ჩეზენაში „ნიუკასლს“ უმასპინძლებენ, 19 აგვისტოს სილვიო ბერლუსკონის თასზე „მილანს“ შეხვდებიან, მალე კი „ვიჩენცასთან“ სუპერთასსაც გაითამაშებენ.

სანამ „იუვენტუსში“ დარჩენილი ფეხბურთელები ალპებში ვარჯიშობენ, ქაჩალმა ატილიო ლომბარდომ ალბიონს მიაშურა. ერთი კვირის წინ „სამპდორიას“ ყოფილი წევრი „კრისტალ პალასის“ თავკაცობას ხელფასზე ვერ შეუთანხმდა და სამშობლოში ბრუნდებოდა, მაგრამ 31 წლის ატილიოს სტივ კოპელი კვლავ შეეხმიანა, ფეხბურთელი მოთაფლა, რამდენიმე დღით თავისთან დაიტოვა, მერე კი განაცხადა — შევთანხმდით, ლომბარდო პრემიერლიგაში ითამაშებს, უბრალოდ ერთი-ორი საკითხი აფერხებს საქმის დასრულებასო.

რა გამოვა ამ საქმიდან, არავინ იცის. მანამდე კი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა „ბოლონიას“ სთხოვა, ეგებ ბაჯოს ერთი მაისური როგორმე გამიხერხოთო. ბლერი დღეს ჩადის ბოლონიაში. იგი იტალიის პრემიერს და მის მოადგილეს უნდა შეხვდეს.

ნეაპოლში კი ადგილობრივი გუნდის „სან პაოლოს“ სტადიონზე ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის მერიამ და კლუბმა საერთო ენა გამონახეს და ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

და ბოლოს, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვე კია დარჩენილი, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, სერია A-ს პირველ ტურში მოთამაშე წყვილები გაგვეგო: იუვენტუსი — ლეჩე, ატალანტა — ბოლონია, ბარი — პარმა, ემპოლი — რომა, ინტერი — ბრეშია, ლაციო — ნაპოლი, პიაჩენცა — მილანი, სამპდორია — ვიჩენცა, უდინეზე — ფიორენტინა.

**ლაშა გოდუაძე**

# ხვალ «უემბლიზე»

ხვალ „უემბლიზე“ დიდი მატჩია. ასეთი რანგის თამაშები ამ სახელგანთქმულ ნაგებობას არასდროს ჰკლებია, მაგრამ მაინც, ახალი სეზონი ხვალინდელი მატჩით იხსნება: „ჩერითი შილდისთვის“, ანაც ჩვენებურად სუპერთასისთვის ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და თასის მფლობელი „ჩელსი“ შეეცილებიან.

„ჩერითი შილდი“ 1908 წლიდან თამაშდება. მონაწილეობს ჩემპიონი და თასის მფლობელი, მაგრამ თუ მოხდა და გუნდმა „დუბლი“ შეასრულა, მაშინ მეორე მონაწილე ვიცე-ჩემპიონი იქნება. ასე მოხდა შარშან, „მანჩესტერმა“ ორივე ჯილდო რომ მოიგო, ამ პრიზისთვის კი „ნიუკასლი“ გაანადგურა 4:0.

მანჩესტერელები ეგრეთ წოდებული „კანტონას ეპოქის“ მერე ამ დიდებული ფრანგის გარეშე პირველ სეზონს იწყებენ. ეს მათთვის მე-17 „ჩერითი შილდი“ იქნება, წინა 16-ში კი 14-ჯერ იმარჯვეს. მანჩესტერელთა მეტოქე გაცილებით მოკრძალებული შედეგების მქონე, მაგრამ არისტოკრატული „ჩელსია“, გუნდი, რომლის აღმავლობაც ბოლო წლებში დიდად იგრძნობა.

გეხსომებათ, მაისში იტალიელების წყალობით ლონდონელებმა თასი მოიგეს. ახლა კი შეეცდებიან, 1955 წლის მერე პირველად მოიგონ „ჩერითი შილდი“. მაშინ ისტორიაში პირველად და ერთადერთხელ გაჩემპიონებულმა „ჩელსიმ“ „ნიუკასლს“ 3:0 მოუგო. მას მერე ერთადერთხელ, 1970 წელს ითამაშა თასის მფლობელის რანგში და „ევერტონთან“ 1:2 წააგო. ახლა მისი მესამე ფინალია. მართლაც ძალიან საინტერესოა, რას მოუტანს იგი „ჩელსის“, რომლიც ამბიციები დღითიდღე იზრდება.

# მოსკოვს მოქრთამვის არ სჯერა

რუსეთის საფეხბურთო სამყაროს ახალი გასარჩევი საქმე გაუჩნდა. ქვეყნის საფეხბურთო ლიგის აღმასრულებელი დირექტორის, ვიტალი კრიჩეტოვის ოფიციალური განცხადებით, მას ხელთ აქვს უტყუარი მასალები იმის თაობაზე, რომ 23 ივლისს სოჭში ადგილობრივი „ჟემჩუჟინა“ და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ მატჩის გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ იყო ცნობილი (ის შეხვედრა სოჭელებმა 3:1 მოიგეს).

ცხადია, თანამდებობის პირის ასეთ განცხადებას რუსეთის საფეხბურთო სამყაროში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ქვეყნის ფეხბურთის კავშირიც იმ დღესვე დაინტერესდა ამ ჯერაც იდუმალებით მოცული საქმით. კავშირის თავკაცების საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ამ ორგანიზაციის და ამავდროულად მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი უძღვებოდა, გადაწყდა საქმეში გარეული მხარეების მოსკოვში მიწვევა. კლუბებს ამის შესახებ ოფიციალურად ეცნობათ. ნოვოროსიისკელები დაყაბულდნენ ქვეყნის დედაქალაქში ჩასვლას, მაგრამ სოჭელებმა შორს დაიჭირეს. „ჟემჩუჟინას“ მწვრთნელმა არსენ ნაიდენოვმა კრიჩეტოვის ნათქვამი ურყო, რუსეთის საფეხბურთო კავშირს ბრალი დასდო პროვინციული კლუბების დაჩაგვრაში და ბოლოს დასძინა, მოსკოვში კლუბის არცერთ წარმომადგენელს არ მივავლენთ, რადგან არავისთან არაფერი გვაქვს გასაყოფ-გასარჩევიო. საპასუხოდ ნაიდენოვმა და მისმა თანამეინახეებმა ტოლსტიხის წერილი მიიღეს, ორშაბათს მოსკოვში იყავით, თორემ საქმეს უთქვენოდაც მოვუვლით, დაგაჯარიმებთ, ეს კი თქვენთვის იქნება ცუდიო.

ორშაბათამდე, კავშირის მიერ დათქმულ ვადამდე, მოსკოვში ჩასასვლელად სოჭელებს კიდევ აქვთ დრო. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ეს რუსეთში მატჩების შედეგის გაყალბების პირველი შემთხვევა როდია. მსაჯის მოქრთამვები და სხვა ამგვარი საბჭოთა კავშირის დროსაც ბლომად იყო. რუსეთში კი შარშანაც დაამტკიცეს პირველი ლიგის ვლადიკავკაზის „ირისტონის“ მაქინაციები და ქვედა ლიგაში მოისროლეს.

# ბერლინის „ჰერტას“ ფიქრები...

სეზონის მიწურულს მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩს, პირველ ბუნდესლიგაში გადასასვლელად რომ გაიმართა, წარმოუდგენლად ბევრი — 75 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამდენი ფანი თვით „ბაერნ“ — „ბორუსიის“ შეხვედრას არ დასწრებია. გერმანული ფეხბურთის ორი ბერმუხის — „კაიზერსლაუტერნისა“ და „ჰერტას“ მატჩმა ბუნდესლიგის საგზური ბერლინელებს მოუტანა, რამაც „ჰერტაში“ დიდი ფულის ინვესტირება გამოიწვია. ერთი სიტყვით, ახალ სეზონს ბერლინში დიდი აჟიოტაჟით ელიან. პირველ ტურში „ჰერტას“ მეტოქე ჩემპიონთა თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია“ იქნება. „ჰერტას“ წარმომადგენელმა გერდ გრაუსმა თქვა, შარშან ჩვენს თამაშებს 25 ათასი კაცი ესწრებოდა, იმედია, ბუნდესლიგაში გადასვლა ვითარებას სასიკეთოდ შეცვლისო. მან მაყურებელთა რაოდენობის გაზრდა იგულისხმა, წინასწარ ციფრიც დაასახელა — ასე, 30 ათასი კაცი თითო თამაშზე. მაყურებელთა დასწრება კი კარგია, მაგრამ გუნდმაც ხომ უნდა ითამაშოს. გულშემატკივართა გულის აცრუება კი, „ჰერტას“ შესაძლოა ძვირად დაუჯდეს. „წლეულს ჩვენი მიზანია ლიგაში დარჩენა. რა თქმა უნდა, მე-15 ადგილზე გასვლით და ბუნდესლიგაში დარჩენით უკმაყოფილო ვიქნრები, ეს არც ისე სახარბიელოა, მაგრამ მგონი, მთლად ასეთი წყალწაღებულებიც არ ვართ“ — განაცხადა გრაუსმა. მართლაც, გუშინდელი ფეხბურთის მიძინებული ლომი, რომელმაც თავის დროზე თბილისის „დინამო“ დაამარცხა უეფას თასზე, გერმანიის ჩემპიონი იყო შორეულ 1930 და 1931 წლებში, 1963 წელს ბუნდესლიგის დამაარსებელთა შორის იყო, მას მერე კი არც ერთი გერმანული ჯილდო არ მოუგია. „ჰერტას“ ზრახვები რომ სერიოზულია, ამაზე ნორვეგიელი კეტილ რეკდალის, კამერუნელი ალვანო ჩამის და გუნდის ლეგიონერთა შორის ყველაზე ცნობილი, ჰოლანდიელი ბრაიან როის გადაბირებაც მეტყველებს. ასე რომ, „ჰერტას“ ახალ სეზონში დიდი მიზნები დაუსახავს, მიუხედავად გრაუსის მოკრძალებული სიტყვებისა, ბუნდესლიგაში დარჩენა გვწადიაო.

ზემოთ წამძღვარებული სათაური ასე შეიძლება გაგრძელდეს: „...მედალოსანი ვიქნები!“

*გერმანელებმა, ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიის“ მცველი იურგენ კოლერი წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.*



## „კაპიტალი“ და... ოქროს ბურთი

იურგენ კოლერი დაიბადა 1965 წლის 6 ოქტომბერს ლამბსჰაიმში.

*სიმაღლე:* 186 სმ. წონა: 84 კგ.

*ზოდიაქოს ნიშანი:* სასწორი

*თმის ფერი:* მუქი ყავისფერი.

*თვალის ფერი:* მწვანე

დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ მექანიკოსის კურსებზე სწავლობდა, მაგრამ თავი მიანება.

*საყვარელი ფერი:* წითელი.

*ცხოვრობს* დორტმუნდში.

*მშობლები:* მამა — ალფრედი იურგენის დაბადებამდე გარდაიცვალა, დედა — ელფრიდა. მეუღლე არა ჰყავს, სამაგიეროდ ჰყავს 4 წლის ქალიშვილი ლაურა.

*მანქანა:* „მერსედესი — 500 SEL“ „ფერარი“.

*ჰობი:* ჩოგბურთი და მუქთახორობა.

*კარიერა:* „ლამბსჰაიმი“ (1975-1980), „მანჰაიმი“ (1980-1987), „კიოლნი“ (1987-1989). მიუნხენის „ბაიერნი“ (1989-1991), „იუვენტუსი“ (1991-1995), 1995-დან დორტმუნდის „ბორუსიაშია“. ნაკრებში ჩაატარა 91 მატჩი და გაიტანა ერთი გოლი. ნაკრებში პირველად ითამაშა დანიის წინააღმდეგ, კოპენჰაგენში 1986 წლის 14 სექტემბერს (2:0 გერმანიამ მოიგო).

*მიღწევები:* მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი, ევროპის 1996 წლის ჩემპიონი, 1997 წლის ჩემპიონთა თასის და 1993 წლის უეფას თასის მფლობელი, გერმანიის 1990 და 1996 წლების ჩემპიონი.

იტალიის 1992 წლისა და გერმანიის 1997 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

*ძლიერი მხარეები:* აქვს გაწონასწორებული ხასიათი. თამაშის დროს ბრძოლისუნარიანობა გამოარჩევს.

*სუსტი მხარეები:* ძალიან მიმნდობი ადამიანი. თამაშის დროს ტექნიკურად მოიკოჭლებს.

*ტრავმები:* მარჯვენა ფეხის ქვედა კუნთის ორმხრივი დაზიანება, ამავე ფეხზე დაზიანებული ჰქონდა ბარძაყის კუნთიც.

*ჩვევა:* ფეხსაცმელს ყოველთვის პირველად მარჯვენა ფეხზე იცვამს.

ყველაზე მეტად „ბორუსიისა“ და „იუვენტუსის“ ქომაგები ხიბლავენ, რადგან ისინი ფეხბურთელს იმითაც აფასებენ, როგორი ადამიანია იგი.

*ბოლო წიგნი,* რომელიც წაიკითხა, კარლ მარქსის „კაპიტალი“ იყო.

## ავსტრია

მე-5 ტური. ტიროლი — ლინცერი 3:0; ადმირა — ზალცბურგი 2:1; რიდი — ლუშტენაუ 1:1; რაპიდი — გრაცერი 1:1; შტურმი — აუსტრია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:3 | 11 |
| გრაცერი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 10 |
| აუსტრია | 5 | 2 | 3 | 0 | 5:0 | 9 |
| ადმირა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| ლუშტენაუ | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| რაპიდი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| რიდი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:7 | 6 |
| ზალცბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |
| ლინცერი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |
| ტიროლი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:11 | 3 |

# ხრისტო ავად გამხდარა

ორი კლუბის ევროთასებიდან გამოთიშვა ბულგარეთის სპორტულმა სამყარომ მტკივნეულად აღიქვა და ახლა იმედებს ქვეყნის თასის მფლობელ სოფიის „ლევსკიზე“ ამყარებს. მანამდე კი...

...უეფას თასის შესარჩევ წრეში ნორვეგიის „ბრანთან“ დამარცხებამ ბურგასის „ნეფტოხიმიკს“ სპონსორი, მძლავრი ნავთობმომპოვებელი კომპანია დააკარგვინა. ასეთი დანაკლისი, შესაძლოა, კლუბს ძვირად დაუჯდეს, არადა, სწორედ ამ კომპანიის შემწეობით აიგო ბურგასში შესანიშნავი სტადიონი, მილიონ დოლარამდე ინვესტიციაც მისი წყალობა იყო. უსპონსოროდ დარჩენილი კლუბის პრეზიდენტმა ხრისტო პორტოჩანოვმა განაცხადა, გუნდის საარსებოდ თანხა რამდენიმე თვეს თუ გვეყოფა, მერე კი ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელის და კაპიტნის რადოსტინ კიშიშევის გაყიდვა მოგვიწევსო.

სანამ ევროპაზე შერცხვენილი გუნდები გაკოტრების საფრთხის წინაშე დგანან, ქვეყნის ნაკრები გამალებით ემზადება ისრაელთან 20 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის. ცნობილი გახდა, რომ ხრისტო სტოიჩკოვი მაღალი სიცხის გამო ბარსელონის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. მიუხედავად ამისა, ნაკრების მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა იგი მაინც მიიწვია, მასთან ერთად კი გამოიძახა: მეკარეები: ზდრავკო ზდრავკოვი, დიმიტარ პოპოვი, მცველები: ტრიფონ ივანოვი, ანატოლი ნანკოვი, ივაილო პეტკოვი, ივაილო იორდანოვი, გიორგი ანტონოვი, გოშო გინჩევი, სტანიმირ გოსპოდინოვი, გიორგი მარკოვი, ნახევარმცველები: ზლატკო იანკოვი, რადოსტინ კიშიშევი, დანიელ ბორიმიროვი, იორდან ლეჩკოვი, ილია გრუევი, ფორვარდები: კრასიმირ ბალაკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ლუბომირ პენევი, ემილ კოსტადინოვი, გიორგი დონკოვი.

# სამხრეთამერიკელებს რომ სჩვევიათ

## ლიბერტადორესის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

**„სპორტინგ კრისტალი“ (პერუ) — „რასინგი“ (არგენტინა) 4:1 (პირველი მატჩი 2:3)**

1:0 ბონეტი (5), 1:1 დელგადო (35), 2:1 რივერა (42), 3:1 ბონეტი (55 პ) 4:1 სოლანო (73)

**„კოლო კოლო“ (ჩილე) — „კრუზეირო“ (ბრაზილია) 3:2 (0:1) პენალტები 4:5**

1:0 ბესეი (10), 1:1 მარსელო (29), 2:1, 3:1 ბესეი (47, 51), 3:2 კლეისონი (64)

პერუელებმა არგენტინელებთან იძალეს და 1972 წლის შემდეგ „სპორტინ კრისტალი“ ამ ქვეყნის პირველი კლუბი გახდა, კონტინენტის უდიდესი ტურნირის ფინალში რომ გავიდა. იმ წელს „უნივერსიტარიო“ მაშინ უძლეველ „ინდეპენდიენტესთან“ დამარცხდა, მას შემდეგ კი პერუს წარმომადგენელს ფინალში თამაში აღარ ღირსებია.

გადაუღებელი წვიმისა და სტადიონზე მომხდარი არეულობის გამო თამაში საათნახევრით გვიან დაიწყო. თავად მატჩი კი ისეთი გამოდგა, სამხრეთამერიკელებს რომ სჩვევიათ — დაძაბული და აყალმაყალით სავსე. მსაჯმა პირველად რომ ჩასტვინა, მინდორზე 22 ფეხბურთელი იყო, საბოლოოდ კი მხოლოდ 20 დარჩა. გუნდებმა თითო კაცი მოისაკლისეს.

მეორე შეხვედრაში, რომელიც არანაკლებ დაძაბულად წარიმართა, სამ კაცს უჩვენეს წითელი ბარათი. „კრუზეიროს“ სილვიო და „კოლო-კოლოს“ ბრაზილიელი მცველი ევერსონი მეორე გაფრთხილების გამო გააძევეს, „კრუზეიროსვე“ ფორვარდის ელივენტონის გაგდება კი უცნაური ფაქტმა გამოიწვია: ერთ მომენტში ელივენტონი აუტის ჩასაწოდებლად რომ გაემართა, ხულიგანმა ჩილელმა ტორსედორესმა რაღაც საგანი მოარტყა, ფორვარდმა არც აცია, არც აცხელა და იმავე საგნით ზურგა დაუბრუნა. მატჩის ბედი კი პენალტებმა გადაწყვიტა. ევროპაში მიღებული სტუმრად გატანილი გოლის წესი რომ ამერიკაშიც მოქმედებდეს, შემდეგ ეტაპზე „კრუზეირო“ გავიდოდა.

ლიბერდატორესის თასის მფლობელი ორი მატჩის ჯამში (6 აგვისტოს ლიმაში და 13 აგვისტოს ბელუ ორიზონტიში) გაირკვევა.



ეს სწორედ ის სიუდოსეული „ნანტია“, სადაც კარემბუ, პედროსი, უედეკი, მაკელელე, ნდორამი, ლოკო, კაზაგრანდე ბრწყინავდნენ

# ნანტი — გზა მწვერვალებისკენ

საწყალი „ნანტი“. ბოლო წლებია, აქ თამაში ფეხბურთელებისთვის დიდ კლუბებში მოხვედრის საუკეთესო საშუალებად იქცა. მას შემდეგ, რაც „ნანტმა„ ორი წლის წინ ბრწყინვალედ იმარჯვა შინაურ ასპარეზზე, ევროპის ბობოლა კლუბებს რამდენიმე ფრანგი თვალში მოუვიდათ და უპრობლემოდაც გადაიბირეს — შეთავაზებულ დიდ თანხაზე პატარა „ნანტმა“ უარი ვერაფრით თქვა. ორი წლის წინ „ნანტიდან“ ჟან-კლოდ სიუდოს აღზრდილი კრისტიან კარემბუ და პატრის ლოკო წავიდნენ. შარშან სხვა კლუბებში გადაბარგდნენ ნიკოლა უედეკი და რეინალდ პედროსი, დანარჩენებიც მათ მიჰყვნენ, ეს კი საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელს ჟან-კლოდ სიუდოს მობეზრდა და მიატოვა კიდეც კლუბი.

უმწვრთნელოდ „ნანტი“ დიდხანს არ დარჩენილა. კლუბს რეინალდ დენიუ გაუძღვება, კაცი, რომელიც აქამდე კლუბის მომავალ ვარსკვლავებთან მუშაობდა. შარშან „ნანტმა“ ორნახევარი მილიონი დოლარი იზარალა, წლეულს კი 9 მილიონი მოგება დაგეგმა. ამიტომ დენიუ ევროპულ სატრანსფერო სეზონში ხელგაშლილად ველარ ივაჭრებს. არც ისე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ რეინალდმა გადაწყვიტა თავისი აღსაზრდელებისთვის ნდობა გამოეცხადებინა და ერთბაშად ხუთ ახალგაზრდას გააფორმებინა კონტრაქტი. მერე კი განაცხადა, მაგ ბიჭებს ვიცნობ, დიდი მომავალი აქვთ და სჯობს მწვერვალისკენ მიმავალ გზას წელსვე დაადგნენო. გული მიგრძნობს, მათთვისაც და კლუბისთვისაც ასე იქნება უკეთესიო.

დენიუ ახალი სეზონის წინ იმედიანად კია განწყობილი, მაგრამ ერთხელ, სიუდოზე საუბრისას თქვა, ჟან-კლოდი დიდი მწვრთნელი იყო, მან ბევრი რამ გადაიტანა, მე კი, თუ პირველსავე სეზონში მოთამაშეებს გამიყიდიან, ამას ვერ შევეგუები და მომავალში მწვრთნელად ვერ ვიმუშავებო.

# ჭეშმარიტი ნანტელი კოკო



ჟან კლოდ სიუდო

*დაიბადა 1938 წლის 24 მაისს მორტენჯ სუ სერვში. საფეხბურთო კარიერის მთელ მანძილზე „ნანტში“ თამაშობდა. ოთხჯერ იყო საფრანგეთის ნაკრებში. როგორც ფეხბურთელმა, ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონობა — 1965 და 1966 წლებში, მწვრთნელობისას კი ამდენჯერვე იმარჯვა 1983-სა და 1995-ში.*

ფეხბურთის ყველა ქომაგს ემახსოვრება „ნანტის“ შარშანდელი სეზონის გმირობა. სხვებთან შედარებით ამ პატარა გუნდმა, პირველობის დაწყებიდან ექვსი კვირის მერე ლიგაში დარჩენისთვის რომ ღვრიდა ოფლს, სასწაული მოახდინა — ზედიზედ 30 შეხვედრაში ქედი არავის მოუხარა და სულ რაღაც სამი ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე და ჩემპიონთა თასზე გასულ დედაქალაქის პსჟ-ს. ჩემპიონატის დასაწყისში ჩავარდნა უმეტესობამ ფეხბურთელთა საზღვარგარეთ და სხვა კლუბებში გადახვეწით ახსნა, თუმცა, წარმატების სათავედ ერთსულოვნად დასახელდა ექვს ათეულ წელს მიტანებული მწვრთნელი ჟან-კლოდ სიუდო, იგივე კოკო. მას ცოტაღა დააკლდა 1995 წელს მისივე „ნანტის“ დამყარებული რეკორდი — 32 წაუგებელი შეხვედრა რომ გაემეორებინა, თუმცა, თავად რეკორდზე არ ნაღვლობს და მხოლოდ იმაზე სწყდება გულ, რომ ჩემპიონთა თასზე ვერ გავიდა.

...კოკოს რაც თავი ახსოვს, სულ „ნანტს“ ქომაგობდა. საფეხბურთო სამყაროში მოღვაწეობისას კი ყვითელ-მწვანე ზოლებიანი მაისურის გარდა არც ერთი ფორმა არ ჩაუცვამს და რაც მთავარია, ამ გუნდის მოთამაშეების გარდა არავინ გაუწვრთნია. კოკომ „ნანტში“ თამაში 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ურიგოდ არ ბურთაობდა, ორჯერ გაჩემპიონებაშიც ლომის წილი დაიდო. აი, ბუცების ლურსმნებზე ჩამოკიდების დრო რომ დადგა, უფეხბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოიდგინა, გულმა კი სხვაგან არ გაუწია და მანაც მეტად საპასუხისმგებლო საქმეს — „ნანტისთვის“ მომავალი თაობის მომზადებას მოჰკიდა ხელი. მან ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი გამოზარდა, საფეხბურთო ცხოვრებას შეაჩვია, მწვერვალებისკენ მიმავალი გზა გაუკვლია. 1981 წელს კი კლუბის თავკაცობამ მეტად მძიმე მისია — „ნანტის“ უპირველესი თავკაცობა ჩააბარა. კოკოც არ შედრკა. იმ დროისთვის საშუალოდ გუნდში ის მიეიწყებული შემტევი სტილი დანერგა, რომლის წყალობითაც ნოვატორმა ხოსე არიბასმა „ნანტს“ საუკუნის შუაწლებში ორჯერ ოქროს მედლები მოაგებინა. კლუბში გატარებულმა ცვლილებებმა შედეგი გამოიღო და კოკომ, ორი წლის განმავლობაში დღე-ღამის სწორების შემდეგ, გუნდს ნანატრი ჩემპიონობა მოაპოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ მეორედ გაჩემპიონება გუნდმა მხოლოდ 12 წლის შემდეგ შეძლო, „ნანტს“ სიუდოსეული იერი არ დაუკარგავს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის უპირველესთა შორის იყო. მოკლედ, პროვინციული „ნანტი“ ლიდერთა მარაქაში რომ გაერია, ამაში მთავარი „დამნაშავე“ სწორედ სიუდოა. სწორედ მასზე თქვა ცნობილმა მაქსიმ ბოსისმა, ნანტი კოკოს გარეშე ვერ წარმომიდგენიაო: „პირადად მე სიუდო სხვა გუნდის მწვრთნელად ვერ წარმომიდგენია. განა იმიტომ, რომ სხვაგან ვერ იმუშავებს, არა, უბრალოდ იგი „ნანტისთვისაა“ დაბადებული. იგი უნარჩუნებს კლუბს იმ ლაღ და სანახაობრივ ფეხბურთს, რითაც „ნანტი“ ასეა განთქმული. დარწმუნებული ვარ, სიუდოს დანთებული კელაპტარი „ნანტში“ ყოველთვის ენთება. თუნდაც მისი გუნდში არყოფნის პერიოდში, რაც, ვგონებ, ჯერ კიდევ შორსაა“.

აქ კი ბოსი შეცდა. კოლექტიური ფეხბურთის მქადაგებელმა სიუდომ, რომლის „ნანტმა“ სხვადასხვა წლებში ბევრი სახელოვანი გუნდი იმსხვერპლა, კლუბში 40 წლის ყოფნის შემდეგ დასვენება ირჩია. ამქვეყნად ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს მთავრდება. გასულ პარასკევს კი ის დღე გათენდა, როცა სიუდოსა და „ნანტის“ ურთიერთობას წერტილი დაესვა.

...კოკო წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

# ტიგანას წავა?

გუშინ, საფრანგეთში, რომელმაც საზღვარგარეთ უამრავი ფეხბურთელი გაყიდა, ახალი ჩემპიონატი დაიწყო. ნიჭიერთა გადინებამ ყველაზე მეტად ჩემპიონი, „მონაკო" დააზარალა. სულ ბოლოს მან ბრაზილიელი სონი ანდერსონი მისცა „ბარსელონას", თუმცა ისიც სათქმელია, რომ სამთავროს გუნდს ასე ძვირად აქამდე არავინ გაეყიდა. ამბობენ მონაკოელებმა ანდერსონში 16,5 თუ 20 მილიონი დოლარი აიღესო. კიდევ საფრანგეთის ჩემპიონი დასტოვეს ბელგიელმა ენცო შიფომ, შვეიცარიელმა მარკო გრასიმ და დანიელმა დან პეტერსენმა. მათ საფრანგეთის ჩემპიონატიც კი დასტოვეს. სანაცვლოდ „მონაკომ" ცნობილთაგან მხოლოდ ჩადელი იაფეტ ნდორამი იყიდა. ეს რაც უცხოელებს შეეხებოდა, მაგრამ „მონაკომ" ფრანგებიც ხომ გაჰყიდა: პატრიკ ბლონდო — „შეფილდ უენსდეიში", ემანუელ პეტი და ჟილ გრიმანდი — „არსენალში".

ფული „მონაკომ" მართლაც ბევრი მიიღო, მაგრამ მწვრთნელს ალბათ მალე დაკარგავს. ჟან ტიგანა ნიჭიერთა გასხვისებით უკმაყოფილო დარჩა და დაიმუქრა, სამთავროში დიდხანს აღარ დავრჩებიო.

კი მაგრამ, ვინ იყიდეს ფრანგებმა? ვინ და ცნობილი ფეხბურთელები, მაგრამ ვარსკვლავები არა. ვარსკვლავები ინგლისსა და ესპანეთში მიდიან.

ფრანგებმა იყიდეს მილანელი მარკო სიმონე, რომელიც „პარი სენ ჟერმენში" გადავიდა და დაიბრუნეს ფრანგი ლორან ბლანი, „ბარსელონადან" „მარსელში".

სიმონეს გარდა პარიზელებმა „ლიონისგან" ნაყიდი ფლორიან მორისი და ფრანკ გავაც შეიერთეს და სეზონს კვლავ ფავორიტებად ხვდებიან. აღარ არის დრო, ჩემპიონები რომ გახდნენ? 1995 წელს „ნანტს" ჩამორჩნენ, 1996 წელს „ოსერს", 1997-ში კი „მონაკოს".

„მარსელი" ქვედა ლიგაში ჯახირის შემდეგ შარშან პირველ დივიზიონს დაუბრუნდა. ახლა, კიდევ ერთი ნაბიჯის წინ გადასადგმელად, მათ „ბორდოდან" მწვრთნელი როლან კურბისი გადაიბირეს.

„ოსერიც" ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, ოღონდ გასული სეზონის ბომბარდირი სტეფან გივარში უნდა შეინარჩუნოს.

კურბისის და „მილანში" გაყიდული იბრაჰიმ ბას გამოკლების მიუხედავად, „ბორდოსაც" დიდი ამბიციები აქვს. სხვა თუ არაფერი, 14 ახალი მოთამაშე იყიდა.

„სტრასბური", მოგეხსენებათ, დიდმა ფირმამ, IMG-მაკკორმეკმა იყიდა. ამიტომაც ელიან მის აუტსაიდერთაგან გალიდერებულ გუნდად ქცევას.

პირველობის მონაწილე გუნდების მოკლე განხილვის შემდეგ ურიგო არ იქნებოდა, პირველ ტურში დაწყვილებულ მეტოქეებზე გვეთქვა ორიოდ სიტყვა. საწყისი ტურის პირველი ორი შეხვედრა — „ტულუზი" — „რენი" და „მონაკო" — „ბორდო" წუხელ გაიმართა, დანარჩენი თამაშები კი დღეს შედგება. ჰოდა, ჩვენც რამდენიმე წყვილის საჩემპიონატო ამბიციებზე გავისაუბროთ.

რა შეიძლება ითქვას პსჟ — „შატორუზე"? ის, რომ პარიზელები აშკარა ფავორიტები არიან და მათი პრეზიდენტი მიშელ დენიზო კარგა ხანი თავკაცობდა „შატორუს". ბოლო წლებში აღზევებული ეს გუნდი ლამის იყო პარიზელთა ფარმ-კლუბად იქცა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს მისგან საუკეთესო ფეხბურთელები მიდიან, „შატორუმ" მაინც შეძლო ლიდერთა მარაქაში გადასვლა. დღევანდელ თამაშებს შორის უდაოდ საინტერესო „ნანტი" — „ბასტიას" შეხვედრა იქნება. მასპინძლებმა ბოლო სეზონების ჩვეულებას არ უღალატეს და უამრავი მოთამაშე გაყიდეს. ამას დიდებული მწვრთნელის ჟან-კლოდ სიუდოს წასვლაც დაერთო, მაგრამ „ნანტი" მაინც ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად რჩება. რაც შეეხება „ბასტიას", კორსიკელებმა ანტონ დრობნიაკი და ლუბომირ მორავჩიკი მოისაკლისეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, „ბასტია" მაინც მომხიბვლელ გუნდად რჩება. „მარსელი" — „ლე ავრის" წყვილში გამარჯვებას მასპინძლებს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ შარშან აქ სტუმრებმა იმარჯვეს. დღეს „ლე ავრის" წინააღმდეგ ამ კლუბის ორი ყოფილი წევრი — ფრედერიკ ბრანდო და ტედი ბერტინი ითამაშებენ, თუ რა თქმა უნდა, მარსელელთა მწვრთნელმა როლან კურბისმა ინება. ეს შედარებით საინტერესო წყვილებს შეეხებოდა. მათთან ერთად სხვა გუნდებიც არიან, რომელთაგან ჩემპიონობას თუ არა, უკეთეს შემთხვევაში ლიდერთა გამწკრივებას მაინც უნდა ველოდოთ.

**პაპუნა ქედია**

### ოსერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ლილიან კომპანი | კანი | უცნობია |
| წავიდა: | მუსა საიბ | ვალენსია | 3,5 მილიონი |
| | ლილიან ლასლანდი | ბორდო | 2,5 მილიონი |
| | ტარიბო ვესტი | ინტერი | 3,4 მილიონი |

### ბასტია

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | პიერ-ივ ანდრე | რენი | უცნობია |
| | რენე პეტერსენი | სენტ ტრიუდენი | უცნობია |
| | პატრიკ ვაიზერი | კიოლნი | უცნობია |
| წავიდა: | ანტონ დრობნიაკი | ლანსი | 3 მილიონი |
| | ლუბომირ მორავჩიკი | სიონი | უცნობია |
| | პიერ ლორანი | ლიდს იუნაიტედი | უცნობია |
| | პატრიკ ვალერი | ბლეკბერნი | უცნობია |
| | ჟან-ჟაკ ეიდელი | სიონი | უცნობია |

### ბორდო

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სტენლი მენცო | ლიერსი | მუქთი |
| | რიკარდინიო | პარანა | 2 მილიონი |
| | ლილიან ლასლანდი | ოსერი | 2,5 მილიონი |
| | ნიშა საველიჩი | ბელგრადის პარტიზანი | 2 მილიონი |
| | დავიდ ჯემალი | კანი | უცნობია |
| | კოკო მუსამპა | აიაქსი | უცნობია |
| წავიდა: | იბრაჰიმ ბა | მილანი | 6,8 მილიონი |
| | სტეფან ზიანი | ლანსი | 2,2 მილიონი |
| | ბერნარ ლამბურდი | ჩელსი | 2,5 მილიონი |
| | ჟილბერ ბოდარი | ლიერსი | 360 ათასი |
| | პატრიკ კოლეტერი | მარსელი | 1,1 მილიონი |
| | ანტონი ბანკარელი | გინგამი | უცნობია |
| | დიდიე ტოლო | სიონი | უცნობია |
| | სირილ დომორო | ბორდო | 2,7 მილიონი |

### კანი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ლეროი ეხტელდი | ჰერენვენი | უცნობია |
| | გრეგორი ვიმბი | ნანსი | უცნობია |
| წავიდა: | დავიდ ჯემალი | ბორდო | უცნობია |
| | ლილიან კომპანი | ოსერი | უცნობია |

### შატორუ

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | დამირ შაქარი | ბელგრადის პარტიზანი | უცნობია |
| | ანტონი ბანკარელი | ბორდო | უცნობია |
| წავიდა: | სტეფან კარნო | მონაკო | უცნობია |

### ლე ავრი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სირილ პოჟე | პარი სენ ჟერმენი | უცნობია |
| | ტიერი დე ნეფი | ნიცა | უცნობია |
| წავიდა: | კრისტოფ რევო | პარი სენ ჟერმენი | 3,2 მილიონი |
| | კაბა დიავარა | მონაკო | უცნობია |
| | ფრედერიკ ბრანდო | მარსელი | უცნობია |

### ლანსი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ანტონ დრობნიაკი | ბასტია | 3 მილიონი |
| | სტეფან ზიანი | ბორდო | 2,2 მილიონი |
| წავიდა: | დავიდ რეჟი | კარლსრუე | 495 ათასი |
| | აბუბაკარ კამარა | მარსელი | 2,1 მილიონი |
| | საშა რიეკოვი | კიოლნი | უცნობია |

### ლიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | პატრის კარტერონი | რენი | უცნობია |
| წავიდა: | ფრენკ გავა | პარი სენ ჟერმენი | უცნობია |
| | ფლორიან მორისი | პარი სენ ჟერმენი | 6,5 მილიონი |

### მარსელი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ლორან ბლანი | ბარსელონა | 1,75 მილიონი |
| | პატრიკ კოლეტერი | ბორდო | 1,1 მილიონი |
| | მილადინ ბეჩანოვიჩი | ლილი | 1,6 მილიონი |
| | კლოდ მაკელელე | ნანტი | 2,2 მილიონი |
| | აბუბაკარ კამარა | ლანსი | 2,1 მილიონი |
| | სირილ დომორო | ბორდო | 2,7 მილიონი |
| | სერჟ ბლანი | მონპელიე | უცნობია |
| | ფრედერიკ ბრანდო | ლე ავრი | უცნობია |
| წავიდა: | ივან ფრანკეჩინი | პარმა | უცნობია |
| | ჟერომ ალონსო | სენტ ეტიენი | უცნობია |
| | იორდან ლეჩკოვი | ბეშიქთაში | უცნობია |

### მონპელიე

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ნენად ჯოდიჩი | ზემუნი | უცნობია |
| | არნო დოს სანტოსი | მონაკო | უცნობია |
| წავიდა: | ჟან-მანუელ ტიეტი | სევილია | უცნობია |
| | სერჟ ბლანი | მარსელი | უცნობია |
| | ფაბიენ ლეფევრი | მონაკო | უცნობია |




### მეცი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ვლადან ლუკიჩი | სიონი | უცნობია |
| | დენი ბოფინი | ანდერლეხტი | უცნობია |
| წავიდა: | სტეფან ადამი | ჰარტსი | უცნობია |
| | ფრედერიკ არპინონი | სტრასბური | უცნობია |
| | დავიდ ტერიე | ვესტ ჰემი | 1,25 მილიონი |

### მონაკო

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | იაფეტ ნდორამი | ნანტი | 4,2 მილიონი |
| | სტეფან კარნო | გინგამი | მუქთი |
| | კრისტოფ პინიოლი | ნანტი | 2,7 მილიონი |
| | ფაბიენ ლეფევრი | მონპელიე | უცნობია |
| | კაბა დიავარა | ლე ავრი | უცნობია |
| | როდრიგეს და კოშტა | მადეირა | უცნობია |
| წავიდა: | პატრიკ ბლონდო | შეფილდ უენსდეი | 3 მილიონი |
| | სონი ანდერსონი | ბარსელონა | 20 (?) მილიონი |
| | ენცო შიფო | ანდერლეხტი | 1,8 მილიონი |
| | დან პეტერსენი | ანდერლეხტი | უცნობია |
| | ემანუელ პეტი | არსენალი | 4,1 მილიონი |
| | ჟილ გრიმანდი | არსენალი | 4,1 მილიონი |
| | მარკო გრასი | სიონი | 2,7 მილიონი |
| | არნო დოს სანტოსი | მონპელიე | უცნობია |

### ნანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სტეფან ლიერი | კანი | 1,2 მილიონი |
| | მუსტაფა ნდიაიე | სენტ ეტიენი | უცნობია |
| წავიდა: | კლოდ მაკელელე | მარსელი | 2,2 მილიონი |
| | იაფეტ ნდორამი | მონაკო | 4,2 მილიონი |
| | კრისტოფ პინიოლი | მონაკო | 2,7 მილიონი |

### პარი სენ ჟერმენი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | მარკო სიმონე | მილანი | 5,9 მილიონი |
| | ფლორიან მორისი | ლიონი | 6,5 მილიონი |
| | ფრენკ გავა | ლიონი | უცნობია |
| | კრისტოფ რევო | ლე ავრი | 3,2 მილიონი |
| | მარკო პანტელიჩი | ირაკლისი | უცნობია |
| წავიდა: | ბენუა კჟე | ინტერი | 2,9 მილიონი |
| | სირილ პოჟე | ლე ავრი | უცნობია |
| | დელი ვალდესი | ოვიედო | 1,6 მილიონი |

### რენი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | იუსუფ როსი | რაჯა კასაბლანკა | 2 მილიონი |
| | აბდელქარიმ ჯცინანი | რაჯა კასაბლანკა | 1,3 მილიონი |
| | ბერნდ ჰობში | ვერდერი | უცნობია |
| წავიდა: | კიეტილ რეკდალი | ჰერტა | 580 ათასი |
| | სილვენ ვილტორი | ბორდო | უცნობია |
| | პიერ-ივ ანდრე | ბასტია | უცნობია |
| | სტეფან მეი | სელტიკი | 1,1 მილიონი |

### სტრასბური

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ფრედერიკ არპინონი | მეცი | უცნობია |
| | კრისტოფ კინე | ეკერენი | უცნობია |

### ტულუზი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ერნესტ მტავალი | მამელოდი სანდაუნზი | უცნობია |

ტრანსფერის თანხები კვლავ ამერიკულ დოლარებშია მოცემული. რაც შეეხება ჩემპიონატის ქვემოთ მოცემულ კალენდარს, აქ ტურის ძირითადი თარიღია ნაჩვენები, ტრადიციულად კი საფრანგეთში ტური სამ, ხანაც ოთხ დღედ არის გაწელილი.

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბასტია | | 05.09 | 08.08 | 04.10 | 21.11 | 28.03 | 19.12 | 25.10 | 20.09 | 21.02 | 18.04 | 09.05 | 07.03 | 21.01 | 04.02 | 08.11 | 05.12 | 22.08 |
| 2 | ბორდო | 10.01 | | 07.03 | 13.12 | 08.10 | 12.09 | 08.11 | 26.09 | 29.11 | 02.08 | 13.02 | 25.10 | 30.08 | 12.11 | 16.08 | 24.01 | 28.03 | 25.04 |
| 3 | გინგამი | 29.11 | 17.10 | | 02.08 | 12.09 | 25.04 | 04.10 | 30.08 | 07.04 | 31.10 | 10.01 | 20.09 | 13.12 | 21.02 | 12.11 | 16.08 | 04.02 | 13.03 |
| 4 | კანი | 13.02 | 22.08 | 09.05 | | 18.04 | 25.10 | 21.11 | 28.03 | 21.01 | 05.09 | 08.11 | 04.02 | 08.10 | 05.12 | 20.09 | 07.03 | 08.08 | 19.12 |
| 5 | ლანსი | 25.04 | 21.02 | 21.01 | 12.11 | | 16.08 | 04.02 | 13.12 | 31.10 | 17.10 | 30.08 | 05.09 | 02.08 | 13.03 | 07.03 | 29.11 | 20.09 | 04.10 |
| 6 | ლე ავრი | 31.10 | 21.01 | 21.11 | 13.03 | 05.12 | | 22.08 | 09.05 | 21.02 | 04.10 | 08.08 | 19.12 | 07.04 | 20.09 | 17.10 | 12.11 | 05.09 | 04.02 |
| 7 | ლიონი | 30.08 | 07.04 | 13.02 | 25.04 | 26.09 | 13.12 | | 10.01 | 02.08 | 16.08 | 08.10 | 07.03 | 24.01 | 31.10 | 29.11 | 12.09 | 25.10 | 12.11 |
| 8 | მარსელი | 13.03 | 04.02 | 19.12 | 31.10 | 22.08 | 02.08 | 05.09 | | 17.10 | 21.01 | 05.12 | 08.08 | 12.11 | 07.04 | 21.02 | 25.04 | 04.10 | 20.09 |
| 9 | მეცი | 24.01 | 08.08 | 08.11 | 12.09 | 28.03 | 08.10 | 09.05 | 07.03 | | 19.12 | 25.10 | 18.04 | 26.09 | 22.08 | 10.01 | 13.02 | 21.11 | 05.12 |
| 10 | მონაკო | 08.10 | 09.05 | 28.03 | 10.01 | 07.03 | 13.02 | 05.12 | 12.09 | 30.08 | | 24.01 | 08.11 | 25.10 | 21.11 | 13.12 | 26.09 | 18.04 | 08.08 |
| 11 | მონპელიე | 12.11 | 04.10 | 05.09 | 07.04 | 19.12 | 29.11 | 21.02 | 16.08 | 13.03 | 20.09 | | 21.01 | 25.04 | 04.02 | 31.10 | 02.08 | 22.08 | 17.10 |
| 12 | ნანტი | 02.08 | 13.03 | 24.01 | 26.09 | 10.01 | 30.08 | 17.10 | 29.11 | 12.11 | 07.04 | 12.09 | | 16.08 | 04.10 | 25.04 | 13.12 | 21.02 | 31.10 |
| 13 | ოსერი | 17.10 | 19.12 | 22.08 | 21.02 | 09.05 | 08.11 | 20.09 | 18.04 | 04.02 | 13.03 | 21.11 | 05.12 | | 08.08 | 04.10 | 28.03 | 21.01 | 05.09 |
| 14 | პსჟ | 12.09 | 18.04 | 08.10 | 16.08 | 25.10 | 24.01 | 28.03 | 08.11 | 13.12 | 25.04 | 26.09 | 13.02 | 29.11 | | 30.08 | 10.01 | 07.03 | 02.08 |
| 15 | რენი | 26.09 | 05.12 | 18.04 | 24.01 | 08.11 | 07.03 | 08.08 | 08.10 | 05.09 | 22.08 | 28.03 | 21.11 | 13.02 | 19.12 | | 25.10 | 09.05 | 21.01 |
| 16 | სტრასბური | 07.04 | 20.09 | 05.12 | 17.10 | 08.08 | 18.04 | 21.01 | 21.11 | 04.10 | 04.02 | 09.05 | 22.08 | 31.10 | 05.09 | 13.03 | | 19.12 | 21.02 |
| 17 | ტულუზი | 16.08 | 31.10 | 26.09 | 29.11 | 24.01 | 10.01 | 13.03 | 13.02 | 25.04 | 12.11 | 13.12 | 08.10 | 12.09 | 17.10 | 02.08 | 30.08 | | 07.04 |
| 18 | შატორუ | 13.12 | 21.11 | 25.10 | 30.08 | 13.02 | 26.09 | 18.04 | 24.01 | 16.08 | 29.11 | 07.03 | 28.03 | 10.01 | 09.05 | 12.09 | 08.10 | 08.11 | |

# ჩვენი მეტოქე ლევერკუზენი

TSV Bayer 04 Leverkusen

**თბილისში ახლა „ლევერკუზენზე" ფიქრობენ, ლევერკუზენში კი — თბილისზე. ისე, სრულიად გერმანიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს ჩემპიონთან დუელს — მოიგებენ და პირველი ქვეყანაც გახდება, ჩემპიონთა ლიგაში სამი გუნდით რომ ითამაშებს. ჩვენი შანსები მართლაც მცირეა. იმედი ერთია — 13 რიცხვი გერმანიაში კარგად გვაქვს დაცდილი. ჰოდა, სანამ 13 აგვისტო მოვა, მომავალ მეტოქეს და მის მწვრთნელსაც ახლოს გავეცნოთ.**

ᲙᲘᲓᲔᲕ იტყვიან, მწვრთნელმა რა ქნას, თუ ფეხბურთელი ხეირიან პასს ვერ აწვდის და კარში ზუსტად ვერ არტყამსო. რა უნდა ქნას და ზუსტად ის, რაც კრისტოფ დაუმმა ლევერკუზენის „ბაიერში" ქნა. ლევერკუზენი არ იყო, 1995-96 წლების სეზონში ბუნდესლიგიდან რომ ვარდებოდა? და ლევერკუზენი არაა, 1996-97 წლების იმავე ლიგის ვიცე-ჩემპიონი რომ გახდა? დიახ, „ბაიერი" მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ამიტომაც ხვდება თბილისის „დინამოს".

ახლა ლევერკუზენში „დინამოზე" ფიქრობენ, მაშინ კი — რა „დინამო", რის „დინამო", რის „იუვენტუსი" — ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „კაიზერსლაუტერნთან" ფრეზე ოცნებობდნენ. საუბარია მათთვის ავადმოსაგონარ 1995-96 წლების პირველობაზე. იმ, ბოლო შეხვედრაში რომ წაეგოთ, ლევერკუზენელები დღეს, დიდი-დიდი, ბუნდესლიგას დაბრუნებოდნენ, ჩემპიონთა თასზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. ახლა არ იკითხავთ, „კაიზერთან" თამაში როგორ წარიმართა? ჩეხმა პაველ კუკამ მეორე ტაიმის მე-15 წუთზე ჩვენი წერილის გმირებს გოლი გაუტანა და მათ დამთავრებამდე რვა წუთით ადრელა მოახერხეს გაქვითვა. ალბათ მასპინძლობამ უშველათ. ასე იყო თუ ისე „ლევერკუზენი" გადარჩა, „კაიზერსლაუტერნმა" კი მეორე ბუნდესლიგაში გადაინაცვლა.

ახლა ვიკითხოთ, რა გაუჭირდა ასეთი გუნდს, რომელიც ბოლო ათწლეულში მუდმივად მაღალი ადგილისთვის იბრძოდა, 1988 წელს უეფას თასი მოიგო, 95-ში კი იმავე შეჯიბრების ნახევარფინალში გახლდათ გასული. საქმე ისაა, რომ „ბაიერში" ურთიერთობები აიწეწა. შუა სეზონში დაუსრულებელი ამბოხით ცნობილი ბერნდ შუსტერი გააგდეს გუნდიდან და მასვე მიაყოლეს დიქტატორად ქცეული მწვრთნელი ერიხ რიბეკი. შედეგად, შემოდგომიდან გაზაფხულამდე ლევერკუზენელებმა მხოლოდ რვაჯერ გაიმარჯვეს. გაძევებულ რიბეკს იმ წელიწადს მისი ასისტენტი პეტერ ჰუმანი ცვლიდა.

და აი, მტანჯველი სეზონის შემდეგ, ლევერკუზენის „ულრიხ ჰაბერლანდის" სტადიონზე მივიდა კაცი, სახელად კრისტოფ დაუმი. დაუმმა „შტუტგარტში" მუშაობისას 1992 წელს გუნდი ჩემპიონი გახადა, შემდეგ თურქეთში წავიდა და 1995-ში „ბეშიქთაშს" იქაური ტიტული მოაგებინა. ო, მისი ხელში ჩაგდება იოლი საქმე არ გახლდათ: მას ეპატიჟებოდნენ „კიოლნი", „შტუტგარტი", „ვერდერი", „მიონხენგლადბახი"... ბოლოს „ლევერკუზენმა" იმარჯვა.

დაუმი დიდი მწვრთნელია, მაგრამ ცოტა უცნაური კაცია. „შტუტგარტში" რომ მუშაობდა, ჩემპიონთა თასის შეხვედრაში ინგლისურ „ლიდსთან", რატომღაც, ნებადართულზე ერთით მეტი უცხოელი ათამაშა, რისთვისაც 1:4 წაგებული მატჩი 0:3-ად გაუფორმეს და ვინაიდან შინ „შტუტგარტს" 3:0 ჰქონდა მოგებული, მესამე მატჩი დაუნიშნეს. ის შეხვედრა ბარსელონაში „შტუტგარტმა" წააგო. კიდევ, დაუმი ემოციურია. 80-იან წლებში, „კიოლნს" რომ ედგა სათავეში, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მიუნხენის „ბაიერნს" ლანძღავდა და „ომს" აჩაღებდა. სამაგიეროდ, იგი უზადო ტაქტიკოსია და ფეხბურთელების საბრძოლველად განწყობაც ვირტუოზულად იცის. ის საქმეში გულს დებს. ტელევიზორში ხშირად აჩვენებენ, როგორ კარნახობს მოთამაშეებს შეხვედრათა მსვლელობისას. როდესაც მისი გუნდი გოლს გაიტანს, სიხარულს ვერ მალავს, დახტის. კრისტოფ დაუმი მწვრთნელადაა დაბადებული, მას გამარჯვება შეუძლია. აი, რას ამბობს „შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი გვიდო ბუხვალდი ყოფილ ხელმძღვანელზე:

„დაუმი ბუნებით მძლეა. ეჭვი არ მეპარება, რომ ის ლევერკუზენშიც დიდ წარმატებებს მიაღწევს. მან „კიოლნი", „შტუტგარტი" და „ბეშიქთაში" ძლიერ, მებრძოლ გუნდებად აქცია. ცხადია, „ბაიერშიც" ამავეს იზამს. იგი ისე ეპყრობა მოთამაშეებს, რომ ისინი თავდადებით პასუხობენ."

მაშ ასე, 1995-96 წლების მტანჯველი სეზონის შემდეგ „ბაიერში" კრისტოფ დაუმი მივიდა და ახალი პირველობა ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიის" 4:2 ძლევით დაიწყო. პირველსავე მატჩში გუნდმა თავდაჯერებითა და დიდი ჟინით ითამაშა. მართალია, მეორე წრის პირველი შეხვედრა ლევერკუზენმა დორტმუნდში წააგო, მაგრამ საბოლოოდ ამ უძლიერეს და სახელოვან გუნდს გაასწრო და წინ მხოლოდ „ბაიერნი" გაუშვა.

როგორ მოახერხა დაუმმა გუნდის ასე გარდასახვა? როცა გუნდში მივიდა, მყისვე შეამჩნია, რომ ფეხბურთელებს ცეცხლი და შემართება აკლდათ: „ბაიერიდან" გუნდი უნდა დამეყენებინა, აქ ფეხბურთელთა შესაძლებლობებზე არ იყო საუბარი. მე გულის ნაწილი უნდა ჩამედო და მოთამაშეებისთვის ბრძოლის ჟინი გამეღვივებინა" — ამბობს დაუმი.

დაუმი ჩინებული ფსიქოლოგია. ამ საგანში მას მწვრთნელის ლიცენზიაში უმაღლესი შეფასება — 1 მიუღია.

„ვინც ფსიქოლოგიას ფლობს, არაერთი საშუალება აქვს, გუნდი წარმატებებისათვის განაწყოს" — თვლის დაუმი. ამაში მას გუნდის კრებები ეხმარება. ერთ-ერთი მატჩის წინ ფრაიბურგში, სადაც ლევერკუზენელებს ჯერ არ გაემარჯვათ, დაუმმა ფეხბურთელებს მიმართა: „შეიცანით თქვენი შესაძლებლობები. რისთვის ვიბრძვით? იმისთვის ნამდვილად არა, რომ აქ გაგვანადგურონ. არა, ამისთვის არ ჩამოვსულვართ. ეს რომ გვინდოდეს, ფრაიბურგში დეპეშით გამოვგზავნიდით სამ ქულას. ითამაშეთ ისე, თითქოს ეს თქვენი ბოლო მატჩია. ამ სეზონში ბოლოჯერ გვძლევათ შანსი, დაამარცხოთ ფრაიბურგელები. გადით მინდორზე და მოიპოვეთ სამი ქულა". „ბაიერმა" ამ მატჩში წარმატებას მიაღწია.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაუმი თეორიულ მეცადინეობას, რომელსაც კვირაში სამჯერ ატარებს. თავისი ფეხბურთელებისგან მწვრთნელი ფეხბურთის ტელევიზიით ყურებასაც მოითხოვს, საერთაშორისო დონის შეხვედრის გამოტოვება კი მკაცრად ისჯება.

გასული სეზონის წინ ლევერკუზენში დიდი ეჭვი გაჩნდა: ვინ გაიტანს გოლებს? ამ საქმის დიდოსტატმა რუდი ფიოლერმა ხომ ფეხბურთელობას თავი დაანება და კლუბში რომელიღაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. პასუხი კრისტოფ დაუმმა იცოდა — გოლებს ვეტერანი ულფ კირსტენი და ბრაზილიელი პაულუ სერჟიო გაიტანენ.

გაიტანეს კიდეც. კირსტენი 22 გოლით სულაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რაც შეეხება პაულუ სერჟიოს, მისი შეტევა თბილისის „დინამოს" აღარ ემუქრება — ბრაზილიელი 3,8 მილიონ დოლარად იტალიაში, კერძოდ კი „რომაში", გადავიდა.

რაკი სიტყვამ ტრანსფერები მოიტანა, ისიც ვთქვათ, კიდევ ვინ წავიდა „ბაიერიდან". „დიუსელდორფში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა მცველი მაიკ რიტპიტში, მეკარე ლარს ლესე 417 ათას დოლარად ინგლისურ „ბარნსლის" გადასცეს, კიდევ ერთი ბრაზილიელი, ოღონდ ნახევარმცველი ზე ელიასი კი 5,9 მილიონად მილანის „ინტერს" აახლეს.

გასულ სეზონში ლევერკუზენელთა თამაში საგრძნობლად გამოაკეთა „კარლსრუეს" ყოფილმა წევრმა, თავისუფალმა მცველმა *იენს ნოვოტნიმ*. 1974 წლის 11 იანვარს დაბადებული ნოვოტნი, საყოველთაო აზრით, გერმანიის ყველაზე პერსპექტიული ლიბეროა. იგი ღონიერია და სწრაფი. განსაკუთრებით საშიშია, როდესაც მეტოქის ნახევარზე ბურთით შეიჭრება ხოლმე. საგანგებოდ აქებენ დანიელ მარცხენა ნახევარმცველს *იან ჰაინცეს*. ჰაინცე ახალგაზრდა არაა, 1963 წლის 17 აგვისტოსაა დაბადებული, მაგრამ ცნობილია ტექნიკითა და მძლავრი მოქმედებებით. 1988 წელს მან ჰოლანდიურ „ეინდჰოვენთან" ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ახლა კი მოკლედ სხვა მოთამაშეებიც დავახასიათოთ.

*დირკ ჰაინენი*, მეკარე (3.12.1970) — 1980 წლიდან ლევერკუზენშია. ძირითად შემადგენლობაში თამაში 1995-96 წლების სეზონში დაიმსახურა. ძლიერია ხაზზე, კარგად იგერიებს პენალტებსაც. არაა გამორიცხული, მომავალში ნაკრების კარიც ანდონ.

*მარკუს ჰაპე*, მცველი (11.02.1972) — გუნდშია 1991 წლიდან. რთული თამაშით არ გამოირჩევა, ძალიან ძლიერია პერსონალური მეურვეობისას. საჰაერო ბრძოლებისას, თავის თუ მეტოქის საჯარიმოსთან, დიდ ყურადღებას იმსახურებს. თამაშობდა 21 წლამდელთა ნაკრებში.

*კრისტიან ვიორნსი*, მცველი (10.05.1972) — ბოლო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე რომ არ წაიყვანეს, გასაოცარი გახლდათ. 1992 წლის ევროპის პირველობაზე კი სულ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ნაკრებში ხუთჯერ ნათამაშევი. სრულყოფილი მცველია, განსაკუთრებით ორთაბრძოლებშია ძლიერი. ბურთთან მსუბუქად მოქმედებს.

*რობერტ კოვაჩი*, მცველი (6.04.1974) — დაბადებულია ხორვატიაში. ადრე მეორე ბუნდესლიგის „ნიურნბერგში" გამოდიოდა.

*რენე რიდლევიცი*, ნახევარმცველი (18.07.1973) — დაბადებულია ყოფილ გდრში. უთამაშია კოტბუსსა და ბერლინის „დინამოში". 21 წლამდელთა გუნდში რეგულარულად იწვევდნენ. ცნობილია მარჯვენა ფეხით შესრულებული დარტყმებით.

*კარსტენ რამელოვი*, ნახევარმცველი (21.03.1974) — იმედისმომცემი ახალგაზრდაა, ფეტკარივით მუშა, კარგი გამთამაშებელი. თამაშობდა 21 წლამდელთა ნაკრებში. იყო ბერლინის სამოყვარულო გუნდ „ჰერტას" წევრი, როდესაც „ჰერტამ" ქვეყნის თასის ფინალში გააღწია, სადაც სწორედ „ლევერკუზენთან" წააგო.

*ჰანს-პეტერ ლენჰოფი*, ნახევარმცველი (12.07.1963) — ბელგიურ „ანტვერპენში" შვიდწლიანი კარიერის შემდეგ 1994-ში „ბაიერში" გადავიდა. სულ თავიდან „კიოლნში" თამაშობდა. სქემური თამაშის ოსტატია. „ანტვერპენის" შემადგენლობაში 1993 წელს თასების თასის ფინალში ითამაშა.

*ნიკო კოვაჩი*, ნახევარმცველი (15.10.1971) — მოძრავი ნახევარმცველია, რობერტის ძმა.

*ანდრეას ნოიენდორფი*, ნახევარმცველი (9.02.1975) — მწითური, აგრესიული ბერლინელია. თამაშობდა 21 წლამდელთა ნაკრებში.

*ულფ კირსტენი*, თავდამსხმელი (4.12.1965) — ყოფილი გდრ-ელი ლევერკუზენში 1990 წელს გადავიდა. მანამდე დრეზდენის „დინამოში" გამოდიოდა. 1993 წელს ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ნებისმიერ მეურვესთან გამკლავება შეუძლია. ნაკრებში ერთხანს აღარ აჰყავდათ, მაგრამ ბოლო დროს ბერტი ფოგტსმა მისკენ პირი იბრუნა.

*ერიკ მეიერი*, თავდამსხმელი (2.08.1969) — თავით კარგად მოთამაშე ჰოლანდიელია. „ლევერკუზენამდე" „სიტარდში", „ანტვერპენში", „მაასტრიხტში", „ეინდ-ჰოვენსა" და „ურდინგენში" თამაშობდა.

*მარკუს ფელდჰოფი*, თავდამსხმელი (29.08.1974) — კაფანდარა, მწვავე თავდამსხმელია, რომელსაც გადამწყვეტი გოლების გატანა ეხერხება.

ამრიგად, ჩვენ ვახსენეთ ფეხბურთელები, რომლებიც „ბაიერში" ერთიხანია თამაშობენ და ისინიც, ვინ წლეულს გუნდი დასტოვა. ცხადია, ლევერკუზენელებმა ახლებიც შეიძინეს:

*დირკ ლოტნერი* — 275 ათას დოლარად კიოლნის „ფორტუნასგან" შეიძინეს.

*შტეფან ბაინლიხი*, ნახევარმცველი (13.01.1972) — ადრე თამაშობდა ინგლისურ „ასტონ ვილაში", ბერლინის „ბერგმან ბორსიგში", ბერლინის „დინამოსა" და როსტოკის „ჰანზაში". მისი სატრანსფერო თანხა 3,63 მილიონი დოლარი გახლავთ.

*ემერსონი* — ბრაზილიელი, რომელიც „გრემიომ" 4,4 მილიონ დოლარად გაყიდა.

*იორგ შმადტკე*, მეკარე (16.03.1964) — „ფრაიბურგიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა „ბაიერში".

ბოლოს, შევახსენებთ, რომ დინამოელთა მოწინააღმდეგემ ამასწინათ დამთავრებულ გერმანიის ლიგის თასის პირველსავე თამაშში პენალტებით 5:6 წააგო „კარლსრუესთან" და შეჯიბრებას გამოეთიშა. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2. ბაინლიხის და კირსტენის გოლებით ორივეჯერ ლევერკუზენელები იყვნენ წინ, მაგრამ საბოლოო მარცხს ვერ გადაურჩნენ.

**ბაჩუნა ძიძია**




# უტყვი მეტყველი

ᲠᲝᲪᲐ დავალება მივიღე, კრისტოფ დაუმისაგან ინტერვიუ ამეღო, „შპორტბილდები" მოვიძიე და მწვრთნელის შესახებ მასალების ამოკრებას შევუდექი. ჟურნალიდან მოპოვებულმა ოდნავ გულგრილად განმაწყო. მივხვდი, რომ დაუმი ტიპიური გერმანელია, რომელმაც წესრიგისა და ძლიერი ხასიათის მეშვეობით შეძლო გერმანიისა და თურქეთის ჩემპიონი გამხდარიყო, წლეულს კი ბუნდესლიგის სანუკვარი ჩემპიონთა სინის მოსაპოვებლად სულ ცოტა დაჰკლებოდა. ყურები მაინც არ ჩამომიყრია და ხუთშაბათს დილას მას სასტუმრო „მეტეხში" მივაკითხე. ნომერში ტელეფონით შევეხმიანე და ინტერვიუ ვთხოვე. მანამდე, ჩემი კოლეგის ამგვარი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. იგი დაუმს ინგლისურად დაელაპარაკა, რითაც მწვრთნელის გულისწყრომა გამოიწვია. ჩემმა დამტვრეულმა გერმანულმა თუ „მოხიბლა" დაუმი, ყურმილი უხეშად რომ არ დამიკიდა, მაგრამ პირად შეხვედრაზე მაინც უარი განმიცხადა. მითხრა, ხუთი-ექვსი კითხვა წერილობით მომეწოდებინა და თან ფაქსის ნომერიც დამერთო, პასუხი რომ გამოეგზავნა. ფაქსზე ნუ დაიხარჯებით, პასუხები აქვე ცნობათა ბიუროში დატოვეთ-მეთქი — ვუპასუხე. კითხვები ჩამოვწერე და სტუმარი რომ არ შემეწუხებინა ქვემოთ ჩამოსვლით, გადავწყვიტე თავად ამეტანა. მივაშურე 740-ე ოთახს. „ხელს ნუ შემიშლით" — ეწერა კარებზე. ჰოლში დავბრუნდი. ცოტა ხანში დაუმიც გამოჩნდა, შეკითხვები აიღო და კვლავ გაუჩინარდა. შემდეგ დაბრუნდა და ცნობათა ბიუროსთან შეყოვნდა. მივედი და გავეცანი — ის ჟურნალისტი ვარ, ძალიან რომ შეგაწუხეთ-მეთქი. მასალა ქსეროქზე გადააღებინა, ერთ-ერთი ეგზემპლარი მომცა და მითხრა, ცუდი კალიგრაფია მაქვს, გარჩევა ხომ არ გაგიჭირდებაო. გარჩევით გავარჩევ, მაგრამ პირადად მსურდა საუბარი-მეთქი, შევბედე. კვლავ იუარა, ყველა კითხვაზე წერილობით გიპასუხე, მეტს ვერაფერს გეტყვი, გერმანიაში რომ ჩამოხვალ, იქ მოგცემ საფუძვლიან ინტერვიუს, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვსო. არ მწყენია. შევეგუე ბედს და ამ მოკლე ინტერვიუს დავჯერდი...

**— თქვენ ირლანდიაში უკვე ნახეთ „დინამოს" მატჩი. რა აზრის ხართ თბილისელთა თამაშზე?**

— „დინამო" ძალიან ძლიერი, საერთაშორისო დონის გუნდია. პერსპექტიული ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს, ტაქტიკურად კარგად არიან მომზადებულნი.

**— გერმანიის ჩემპიონატი კარს მოგადგათ, თქვენ გუნდი მიატოვეთ და თბილისში ჩამობრძანდით, რათა დინამოელთა თამაში გენახათ... ეს მიზანშეწონილია?**

— მე არაფრის გამოტოვება არ მსურს. „დინამო" სახიფათო მეტოქეა, მასთან ყურადღების მოდუნება არ ივარგებს.

**— წელს ვინ იქნება გერმანიის ჩემპიონატის ფავორიტი?**

— მიუნხენის „ბაიერნი", დორტმუნდის „ბორუსია", „შტუტგარტი", ლევერკუზენის „ბაიერი" და რომელიმე გუნდი, რომელსაც არავინ ელის.

**— რატომ ვერ შეძელით წლეულს ჩემპიონობის მოპოვება?**

— ჩვენი გუნდი ახალგაზრდა და გამოუცდელია. მიუნხენის „ბაიერნმა" გამოცდილებით გვაჯობა.

**— რას ფიქრობთ ჩემპიონთა ლიგაზე?**

— ევროპული ლიგის დარი შეჯიბრია, რომელშიც ახლა 24 გუნდი თამაშობს.

**— თქვენს გუნდში რომელ ფეხბურთელებს გამოყოფდით?**

— უმთავრესი ჩემთვის გუნდის ერთიანი და ძლიერი თამაშია.

**— რა აზრის ხართ ქართულ ფეხბურთზე?**

— შოთა და არჩილ არველაძეების თამაშს ვიცნობ და გაოცებული ვარ მათი ოსტატობით. ქართულ ფეხბურთს კარგი მომავალი აქვს.

**— გთხოვთ, ორიოდე სიტყვით მიმართოთ „სარბიელის" მკითხველს.**

— მინდა, სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადაგიხადოთ და ბედნიერება, თავისუფლება და სამუშაო ადგილების სიმრავლე ვისურვოთ. სპორტი უფრო დააკავშირებს გერმანიასა და საქართველოს, გააღრმავებს მეგობრულ ურთიერთობებს. ამაში დარწმუნებული ვარ.

დაიბადა 1953 წლის 24 ოქტომბერს ოელსნიცში.

ჰყავს მეუღლე ურსულა და ორი შვილი.

განათლება: აქვს ინგლისურის სპეციალისტის და მწვრთნელის დიპლომები.

ფეხბურთელის კარიერა: დუისბურგის „აინტრახტი" (1972-1975), „კიოლნი" (1975-1981).

სამწვრთნელო კარიერა: 1981-1985 იყო „კიოლნის" ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელი, 1985-1986 — „კიოლნის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე, 1986-1990 — მთავარი მწვრთნელი. 1990-1993 წლები „შტუტგარტში" გაატარა, 1994-1996 სტამბულის „ბეშიქთაშში". 1996 წლიდან ლევერკუზენის „ბაიერშია".

მოკლედ, რედაქციაში არცთუ ხელდამშვენებული დავბრუნდი, მაგრამ თავის გასამართლებლად უკვე მზად მქონდა ზემოთ ნახსენები „შპორტ.ბილდის" ერთი წერილი, სადაც ჟურნალისტებმა მწვრთნელის ერთი, არაფრით გამორჩეული სამუშაო კვირა აღწერეს. ვფიქრობ, ის ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს და თან იმასაც მიხვდებიან, თუ რატომ იყო კრისტოფ დაუმთან დაუგეგმავი საფუძვლიანი გასაუბრება თითქმის გამორიცხული.

ორშაბათი, 21 აპრილი: ღამის თორმეტი საათიდან ორამდე შტუტგარტიდან შინ მიემგზავრება. დღის პირველ საათზე კვლავ სტადიონზეა და სამ საათამდე ვარჯიშს ადევნებს თვალყურს. ოთხიდან რვა საათამდე კლუბის ახალგაზრდა ფეხბურთელებს ესაუბრება, ათის ნახევრიდან პირველის ნახევრამდე კი კიოლნში ჟურნალისტთა შეკრებას ესწრება.

სამშაბათი, 22 აპრილი: ცხრა საათიდან სტადიონზეა. გუნდის ფიზიოთერაპევტს დაშავებული ფეხბურთელების მდგომარეობაზე ესაუბრება. ათი საათიდან ვარჯიში იწყება და ზუსტად 104 წუთი გრძელდება. პირველიდან სამ საათამდე ინტერვიუებს იძლევა. სამიდან შვიდამდე კვლავ ჭაბუკ ფეხბურთელებს ესაუბრება. საღამოს უყურებს „შალკეს" თამაშს „ტენერიფესთან".

ოთხშაბათი, 23 აპრილი: ცხრიდან სტადიონზეა. ათზე დახურული ვარჯიში იწყება და 90 წუთში მთავრდება. თორმეტ საათზე გუნდის მენეჯერ რუდი ფიოლერს ხვდება. სამიდან შვიდამდე მოყვარულთა გუნდის ამბებს ეცნობა. რვა საათიდან მენეჯერ კალმუნდს ესაუბრება. საღამო „მანჩესტერისა" და „დორტმუნდის" მატჩის ტელერეპორტაჟით მთავრდება.

ხუთშაბათი, 24 აპრილი: პირველიდან სამის ნახევრამდე წინასწარ დაგეგმილ ინტერვიუს იძლევა. სამი საათიდან 90-წუთიანი ვარჯიშია. შემდეგ გუნდთან ერთად გულშემატკივრებისთვის ბურთებსა და მაისურებს ავტოგრაფებით ამკობს. ექვსიდან ორი საათის განმავლობაში გუნდის ფსიქოლოგს ესაუბრება. საღამოს თერთმეტის ნახევარზე კვლავ გუნდს ხვდება. თორმეტ საათამდე ფეხბურთელებს ინდივიდუალურად ესაუბრება.

პარასკევი, 25 აპრილი: იღვიძებს ცხრა საათზე. ათზე მსუბუქი ვარჯიშია, რომელიც ნახევარ საათს გრძელდება. პირველზე საუზმე და საუბრები ფეხბურთელებთან. ხუთის ნახევარზე გუნდის კრებაა. ექვსის ათ წუთზე ავტობუსით სტადიონისკენ მიემგზავრებიან. 20 საათზე თამაშია.

შაბათი, 26 აპრილი: თერთმეტ საათზე მსუბუქი ვარჯიში. შემდეგ ტელევიზიით უყურებს „მიონხენგლადბახისა" და „შტუტგარტის" მატჩს. ინიშნავს მომავალი მეტოქის, „გლადბახის" სუსტსა და ძლიერ მხარეებს. რვა საათზე კიოლნის სპორტის სასახლეში მიემგზავრება.

კვირა, 27 აპრილი: დასვენების დღეა!

**ერეკლე ძიძილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ(ი) ხარ, „ვითა“?

„ვითას“ გულშემატკივრებისთვის წელს სიხარული არ მოუკლია — გუნდმა დაუმარცხებლად განვლო საქართველოს ჩემპიონატი და ევროტურნირშიც არაერთი სასიამოვნო წუთი განაცდევინა თავის ქომაგებს. მაგრამ ყოველივე ამას განვლილი სეზონის ბოლოს სინანულიც ახლდა, რადგან გუნდი წამყვან მოთამაშეთა მთელმა ჯგუფმა დატოვა. როგორ მდგომარეობაშია დღეს ჩემპიონი? ამის შესახებ ვესაუბრეთ გუნდის გენერალურ დირექტორსა და შეთავსებით გუნდის უფროს მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს.



ზურაბ ტომარაძე დაიბადა 1962 წლის 5 ივნისს. 1979-1982 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“.
იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი
დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი
მუშაობდა მწვრთნელად „ნორჩ დინამოელში“.
„ვითას“ მეორე მწვრთნელი იყო 1992-1995 წლებში.
კლუბის გენერალური დირექტორი.
წლევანდელი სეზონიდან „ვითას“ უფროსი მწვრთნელიც იქნება.

**— ვინ დარჩა გუნდში შარშანდელი შემადგენლობიდან?**

— ძველებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორი მოთამაშეა: მიხეილ კობეშავიძე და ნოდარ კოკოლიშვილი. შესაძლოა, ჩვენთან ითამაშოს დუდუ დადიანმაც. ჯერ არ გარკვეულა კახა შენგელიას საკითხიც. დანარჩენი მოთამაშეები და გუნდის უფროსი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი გუნდიდან წავიდნენ. ბესიკი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იქნება. ამიტომ უფროსი მწვრთნელობა მე შევითავსე. დახმარებით კი დავით გაგნიძე და გელა წულაძე დამეხმარებიან.

**— ახალ მოთამაშეებზე რას გვეტყვით?**

— ჯერჯერობით გუნდი დაკომპლექტების პროცესშია და სანამ მოთამაშეებთან კონტრაქტები არ გაფორმდება, მათი დასახელებისგან თავს ვიკავებ. ჩვენთან ძალიან ცუდადაა ორგანიზებული მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის საქმე. არ არის სატრანსფერო სიები და ამიტომ ამ საქმის მოგვარება გაჭიანურდა. თუმცა, სეზონის დასაწყისისთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ ჩემპიონი წელს არ მონაწილეობს ევროტურნირში? ის, რომ გუნდიდან ერთბაშად ამდენი მოთამაშე წავიდა?**

— არამარტო ეს. ისინი რომც ყოფილიყვნენ, წელს ჩვენ, ალბათ, უარს ვიტყოდით ევროტურნირში თამაშზე, რადგან ეს ძალზე დიდ ხარჯებს მოითხოვს. ჩვენ კი მხარში არავინ გვიდგას. ვთქვათ, ჩვენს შარშანდელ მეტოქეს „რიელოს“ ოთხი უდიდესი ფირმა სპონსორობდა, ჩვენ კი დამხმარე არავინ გვყოლია.

**— თქვენზე უკეთ ვინ იცის, რა ხარჯებია საჭირო ევროტურნირებში მონაწილეობისთვის. „ვითამ“ ხომ 10 თამაში ჩაატარა. იქნებ გვითხრათ, რა თანხებზეა ლაპარაკი?**

— თავად განსაჯეთ: მარტო მონაწილეობისთვის 15 000 გერმანული მარკა უნდა შეიტანო. როდესაც გუნდს მასპინძლობ, აუცილებლად საუკეთესო სასტუმროში, ჩვენს შემთხვევაში „მეტეხში“ უნდა დააბინავო. მსაჯისა და კომისრის მიღება თითოეულ მატჩზე 7000-8000 დოლარი ჯდება, გუნდისა კი — 45 000. გარდა ამისა, უამრავი წვრილმანი ჯარიმაა, რომელთა გადახდაც ჩვენი გამოუცდელობის გამო არაერთხელ მოგვიხდა. ვთქვათ, თუ გუნდის რომელიმე მოთამაშეს განსხვავებული ფორმის სპორტული ფეხსაცმელი აცვია, 1500 დოლარია ჯარიმა. ჯარიმა გელის მაშინაც, თუ კომისრის მაგიდა მოედნიდან 2 მეტრზე მეტითაა დაშორებული. ჩვენ თანხას ვიხდიდით იმიტომაც, რომ სპორტის სასახლეში ტაბლო მწვრთნელებისთვის მოუხერხებელ ადგილზეა, მათ დროის ან ანგარიშის გასაგებად თავის მობრუნება სჭირდებათ, ამ წამებში კი მოედანზე შეიძლება ვითარება შეიცვალოს. თანაც, კალათბურთი ფეხბურთი არ არის, სადაც, ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის სოლიდურ თანხას იღებ უეფასგან, თითოეული ქულისთვისაც კი გეძლევა რაღაც. ჩვენი გუნდის მგზავრობის თანხებიც ჩვენი გადასახდელია. ერთადერთი ამონაგები ჩვენს მატჩებზე გაყიდული ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხებია, თუმცა იმის გაგებაც ჭირს, რამდენი ბილეთია გაყიდული. არადა, თავად ხედავთ, რომ სპორტის სასახლე ყოველთვის პირთამდე სავსეა. ყველაფერს ხომ ვერ გააკონტროლებ.

**— აბა, უცხოეთის საკალათბურთო გუნდები რატომ არიან დაინტერესებულნი ევროტურნირებში მონაწილეობით, ეს მარტო პრესტიჟის საქმეა?**

— რა თქმა უნდა, არა. იქ კარგადაა ორგანიზებული სარეკლამო საქმიანობა. გუნდები სოლიდურ თანხებს იღებენ რომელიმე ფირმის რეკლამისთვის, იმდენს, რომ ამით დანახარჯებსაც ინაზღაურებენ და მოგებაც რჩებათ. ჩვენს განვითარებად ქვეყანაში კი ამის მიღწევა ჯერჯერობით შეუძლებელია.

**— გასული სეზონით თითქოს ერთი ეტაპი დასრულდა. ახლა რას აპირებს გუნდი? რა პრობლემები აქვს?**

— უპირველესი ჩვენთვის ბაზის პრობლემაა. თუ ჩვენი ბაზა არ გვექნა, ვერაფრით ავალთ ოსტატობის უფრო მაღალ საფეხურზე. ბავშვთა საკუთარი სპორტსკოლაც გვაქვს. დიდ გუნდსაც ხომ უნდა ვარჯიში. ბაზის უქონლობის გამო გუნდი იძულებულია, დღეში მხოლოდ ორი საათი ივარჯიშოს, ეს კი ძალიან ცოტაა. წარმოიდგინეთ, 12 კალათბურთელს ინდივიდუალური ვარჯიშისთვის მხოლოდ 20-25 წუთი რჩება, მაშინ, როცა საათნახევარი მაინც უნდა ჰქონდეს. გუნდი კი დღეში ექვს საათს მაინც უნდა ვარჯიშობდეს. ეს პრობლემა საკუთარი ბაზის გარეშე ძნელი მოსაგვარებელია.

**— რას აკეთებთ საიმისოდ, რომ ეს საქმე მოგვარდეს?**

— რამდენიმე ბაზაზე მივედით, მაგრამ იქ თავიდანვე ეს გვესმის: მე რამდენი მერგება? მოკლედ, ჯერ არაფერი გვაქვს ხელთ. მერიასაც მივმართეთ, სპორტის დეპარტამენტსაც და კალათბურთის ფედერაციასაც. იქნებ რამე გაგვიხერხონ. ბაზის გარეშე ნორმალური მუშაობა შეუძლებელია.

**— „ვითას“ უძლიერესი მოთამაშეები დააკლდა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ „ვითა“ წელს მეორეხარისხოვან როლს შეეგუება?**

— არავითარ შემთხვევაში. მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ ამბიციებზე უარს მაინც არ ვამბობთ. ჩვენი სურვილია, იმ ახალგაზრდული გუნდიდან, ახლა რომ დავაკომპლექტებთ, 3-4 ძლიერი მოთამაშე მოვუმზადოთ საქართველოს ნაკრებს, რომლის წარმატებით გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კალათბურთის და ქართული სპორტის პრესტიჟია. თუმცა, ჩვენს ძალებს რეალურად ვაფასებთ, ამიტომ ახალი გუნდის ჩამოყალიბება სამ ეტაპად გვესახება: წელს ძალას მოვიკრებთ, მომდევნო წელს კი საკუთარი სტილი უნდა მოვნახოთ და ვითამაშოთ ქართული კალათბურთი, რომელიც ამ ბოლო ხანს თითქოს ყველას მიავიწყდა. მერე კი გვინდა, ისეთ დონეს მივაღწიოთ, თამამად შევძლოთ ევროპის ძლიერ გუნდებთან თამაში. ჩვენ გავეცანით ევროპის წამყვანი გუნდების კონცეფციებს, გვაქვს ბავშვთა კალათბურთის განვითარებისთვის შედგენილი ამერიკული კატალოგები და სერიოზულად ვიმუშავებთ, რომ ჩვენი გეგმები განხორციელდეს.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ალბათ, კალათბურთის ფედერაციაც უნდა ამოუდგეს გუნდებს მხარში...**

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, საჭიროა კალათბურთის ფედერაციის რეორგანიზაცია. ახლა ბევრი თვლის, რომ ფინანსების მოზიდვაა საჭირო, მაგრამ მარტო ეს არ იკმარებს, თუ სტრუქტურა არ შეიცვალა. ასე თუ არ მოხდა, ეს მოძიებული ფინანსები რომელიღაც საფეხურზე დაიკარგება.

**— ამბობენ, თითქოს „ვითას“ პრეზიდენტის თემურ დათიკაშვილის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენას აპირებთ...**

— ეს მართლაც ასეა. დათიკაშვილის ფედერაციის პრეზიდენტობა თვითმიზანი არ არის. ვფიქრობთ, მისი საქმიანობა მთელ ქართულ კალათბურთს წაადგება. ყოველ შემთხვევაში, ის მმართველობაში უნდა იყოს და კომერციული მხარე განაგოს. მოკლედ, ფედერაციის პრეზიდენტად თემურ დათიკაშვილი გვესახება.

**— კიდევ რა საკითხებს უნდა მიაქციოს ფედერაციამ ყურადღება?**

— მოსაგვარებელია, როგორც ვთქვი, სატრანსფერო საკითხი. მოთამაშე, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება, ტრანსფერზე უნდა წარადგინონ. სხვა კლუბებსაც ეცოდინებათ, რომელ კალათბურთელთან შეუძლიათ კონტრაქტის გაფორმება და რომელთან არა. უნდა ჩამოყალიბდეს აგენტთა სისტემაც, რომელიც მოთამაშეს გუნდის მოძებნაში დაეხმარება — ჩვენთანაც და უცხოეთშიც. ახლა ყველა თავისი გზით ცდილობს ფონს გასვლას.

**— სიტყვამ მოიტანა და, ყოფილი ვითელები რომელ გუნდებში გადავიდნენ?**

— ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა. ისე, ვიცით, რომ ნაცვლიშვილი ისრაელში მიდის, თელ ავივის „მაკაბიში“. ისრაელიდანვე ელოდება პასუხს სანაძე. უსტიაშვილი და ტურაშვილი საბერძნეთში მიდიან. ქარაბაკი, შესაძლოა, სალონიკის პაოკში გადავიდეს; თუმცა ფინეთიდანაც აქვს მიწვევა. ჩხეიძეს გერმანელები იწვევენ, ბერუაშვილი კი თავის ყოფილ გუნდს — „აზოტს“ დაუბრუნდა და წლევანდელ სეზონში, ალბათ, იქ ითამაშებს. რუსთავის გუნდი ხომ საქართველოდან წელს ერთადერთი იქნება, ვინც ევროთასებზე, კერძოდ, კორაჩის თასზე იასპარეზებს.

**— თქვენი საუბრიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „ვითას“ კვლავ სერიოზული მიზნები აქვს სამომავლოდ...**

— დიახ, ძალზე სერიოზული. ჩვენ ის ხალხი არა ვართ, ამდენი ხნის ნალვაწი წყალში გადავყაროთ და საქმე შუა გზაზე მივატოვოთ. გვინდა, ბოლომდე მივიყვანოთ ის, რაც დავიწყეთ: „ვითამ“ ევროპულ დონეზე უნდა ითამაშოს და საქართველოს ნაკრებსაც ისეთი კალათბურთელები უნდა ალვუზარდოთ, რომლებიც ევროპულ ასპარეზზე მაღალ ადგილს დაუმკვიდრებენ მას. ჩვენი სურვილია, ნელნელა, საქართველოში სიტუაციის გაუმჯობესების კვალობაზე, ვიქცეთ ფინანსურად ძლიერ საკალათბურთო კლუბად, ისეთად, როგორიც უნდა იყოს ყოველი თავმოყვარე გუნდი.

ილია მხეიძე





როცა ატლანტის ოლიმპიადაზე დათო ხახალეიშვილი [illegible] საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას და მძიმეწონოსან ძიუდოისტთა ტურნირის მთავარი [illegible] რალი დატოვეს, [illegible] ამბავი ატყდა. ზოგმა ეს ფაქტი ისე გაიგო, თითქოს ხახალეიშვილს ოლიმპიური ოქროს მედალი ჯიბიდან ამოაცალეს. კი, ბატონო, იგი დიდი სპორტსმენია, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი, ატლანტაშიც უდავოდ ითვლებოდა ოქროს უპირველეს მაძიებლად, მაგრამ, კაცმა არ იცის, დათო რომ აეწონათ, მოიგებდა კი იგი საერთოდ მედალს, ოქროზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. სპორტში ხომ პროგნოზები უსარგებლო და უხეირო რამეა — მოცლილი და სულსწრაფი ქომაგების გართობად მოგონილი. ისიც გავიხსენოთ, დათო რომ ჩემპიონი გამხდარიყო, მინიმუმ 5 შეხვედრა მაინც უნდა მოეგო მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტებისთვის. ამ ამბის გამო მავანნი მსუბუქად დაისაჯნენ. რატომღაც, ცოტამ თუ იცის, რომ ხახალეიშვილზე ნაღდი მედალი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ კობა გულიაშვილმა დაკარგა. ეს ამბავი ვიღაცამ თუ ვიღაცეებმა ჩვენებურად ქართულად მიჩქმალეს და მიაჩუმათეს, ხალხს დაუმალეს, მაგრამ, ჭირისა არ იყოს, თავად საქმემ თავი არ დამალა და მოჭიდავეთა ვიწრო წრეში დღესაც ჩურჩულებენ ამაზე. ამის შესახებ პრესაშიც დაიწერა, ოღონდ ისე, რომ კაცი ვერ გაიგებდა, რა მოხდა, ვინ იყო იმ საქმეში დამნაშავე და, ბოლოს და ბოლოს, სინამდვილეში რა დაკარგეს ოლიმპიურ მედლებს დანატრებულმა სპორტის ქართველმა ქომაგებმა. სინამდვილეში კი, აი, რა მოხდა.

# ვის ეჯდა ჯიბეში მორიელი?

კობა გულიაშვილმა ატლანტაში, ბევრს რომ არ ეგონა, ისე წარმატებულად დაიწყო ასპარეზობა. თითქმის ყველა მეტოქეს დამაჯერებლად აჯობა, მათ შორის ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ სერგეი მარტინოვს. ნახევარფინალში კობა პოლონელ ლადისლავ ზავადსკის შეხვდა. თავიდან პოლონელმა იყოჩაღა და დაწინაურდა — 3:1. შეხვედრის მიწურულს კი ჩვენმა იმარჯვა, სამქულიანზე დაატრიალა ზავადსკი, მაგრამ რუმინელმა მსაჯმა რატომღაც არ შეაფასა ეს ილეთი. შეხვედრაც დამთავრდა და მსაჯებმა პოლონელს გაამარჯვებინეს. ჭიდაობის ქომაგებმა სტვენითა და ლანძღვა-გინებით გააპროტესტეს მსაჯთა გადაწყვეტილება. არც მოჭიდავეთა ტურნირის ოლიმპიურ ზედამხედველთ დარჩენიათ შეუმჩნეველი, რუმინელმა მსაჯმა გულიაშვილს 3 ქულა რომ დაუკარგა. საღამოს საპროტესტო კომისიის სხდომაზე ოლიმპიური იდეების სიწმინდის დამცველებმა მსაჯს დისკვალიფიკაცია მისცეს და ოლიმპიადაზე მსაჯობის ლიცენზიაც ჩამოართვეს. ლადისლავ ზავადსკის კი კობა გულიაშვილთან შეხვედრაში წაგება ჩაუთვალეს, მაგრამ... ფინალში მაინც ზავადსკი გავიდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ საპროტესტო კომისიის თავკაცებმა, როცა საქართველოს დელეგაციის საპროტესტო წერილი მოიკითხეს რუმინელი მსაჯის არაობიექტურობის შესახებ, იგი კომისიის არც ერთი წევრის საქაღალდეში არ აღმოჩნდა. კომისიის წევრებიც ადგნენ და ფინალისკენ გზა ლადისლავ ზავადსკის დაულოცეს. ეს იმ დროს, როცა კობა გულიაშვილს შეეძლო, სულ ცოტა ვერცხლის მედალი მაინც ჩამოეტანა შინ. კომისიის ერთ წევრს ისიც უთქვამს: ქართველები, ეტყობა, ოლიმპიურ იდეებს მართლა ალმერთებენ, რადგან მათთვის მთავარი ოლიმპიადაში მონაწილეობაა და არა გამარჯვება. არ უნდა ამ ხალხს ოლიმპიური მედალი და რას ვერჩით, ჯიბეში ძალით ხომ არ ჩავუტენითო. ერთი ნიჭიერი სპორტსმენის ამ დრამატულ ისტორიას მსოფლიოს ხუთგზისა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ რაზანცევის სიტყვებით დავამთავრებ: ქართველებს 500 დოლარი და ქაღალდის ნაგლეჯი რომ გაემეტებინათ, კობა გულიაშვილი მედლით დაბრუნდებოდა სამშობლოშიო. დიახ, ატლანტაში, იმ საღამოს, როცა გულიაშვილს ზავადსკისთან წააგებინეს, ვიღაცას დაეზარა ჯიბეში ხელის ჩაყოფა და 500 დოლარის გადახდა, რის საფასურადაც საპროტესტო კომისია ქართველთა საჩივარს განიხილავდა. შესაძლოა, სიძუნწე აქ არაფერ შუაშია და, ხახალეიშვილისა არ იყოს, ჩვეულებრივ დაუდევრობასთან და გამოუცდელობასთან გვქონდეს საქმე. ერთი რამ ფაქტია — მავანთა სიძუნწისა თუ დაუდევრობის წყალობით კობა გულიაშვილი უმედლოდ დარჩა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, თუმცა, მტყუან-მართალის ვინაობა ჯერაც არ გარკვეულა. თავად კობა გულიაშვილი კი, როგორც ნაღდ ვაჟკაცს შეჰფერის, კარგა ხანია, აღარ მისტირის სხვისი უთავბოლობით დაკარგულ მედალს და სახვალიო მოსაგებელს ეშურება.

**— კობა, ერთი წელი არ გვეჩვენებოდი და ახლახან კიევში კარტოზიას ტურნირი მაინც დამაჯერებლად მოიგე. შენი ნიჭისა ყველას სჯერა, მაგრამ ბევრს მაინც გაუკვირდა ამგვარი ხელახალი დებიუტი. თავად თუ ელოდი ასეთ წარმატებულ დაბრუნებას?**

— როცა დავრწმუნდი, რომ ჩვეულ ფორმაში ვიყავი, მაშინ გამოვედი ხალიჩაზე. ჩემპიონობას ველოდი და კიდეც გავიმარჯვეაბა, საერთაშორისო ტურნირიც თუ ვერ მოვიგე, მაშინ ქუდი უნდა დავიხურო და წავიდე ჭიდაობიდან.

**— შენს არყოფნაში ფილამ წონითი კატეგორიები შეცვალა. ახლადდაბრუნებულს ახალი წესები, ალბათ, პრობლემებს შეგიქმნის.**

— წონის დაკლება-მომატება ყოველთვის პრობლემაა, მაგრამ მე არ გამჭირვებია. კარტოზიას ტურნირი 63-ში მოვიგე. წონის ოპტიმალურ ვარიანტს მოგვიანებით, სამსოფლიოჩემპიონატოდ შევარჩევ მწვრთნელებთან ერთად.

**— დღეს ქართველ სპორტსმენთა უმრავლესობას მეტად უჭირს. შენ თუ გაქვს რაიმე საპრეტენზიო?**

— მილიონს-მეთქი, ვერ დავიჩემებ, მაგრამ შეძლებისდაგვარად ყველა მხარში მიდგას. რა თქმა უნდა, რაღაცაზე გულნაკლული ვარ, მაგრამ, ვხედავ, რომ ქართველ სპორტსმენთაგან მარტო მე არა ვარ ასე, ამიტომ წუწუნით თავს არავის ვაბეზრებ. აუცილებლად მინდა აღვნიშნო სპორტკლუბი „დინამო“, ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ჭიდაობაში — გურამ დათიაშვილი, რომელიც ყველაფერს მიკეთებს, მეხმარება, რითაც შეუძლია.

**— ვიცი, ცოლი არ გყავს. არც აპირებ დაოჯახებას?**

— ხომ იცი, მამა დამელუპა. მისი წლისთავი რომ გავა, მაშინ იქნებ ცოლიც შევირთო. საცოლე შერჩეული არ მყავს, მაგრამ რაკი ვაპირებ, ალბათ, შევარჩევ საჩემო ქალიშვილს.

**— კობა, არ მინდოდა, მეკითხა, მაგრამ მაინც გკითხავ: ოლიმპიადაზე მედალი დაგაკარგვინეს, თუმცა, მარტო მედალი არა, მინიმუმ 30000 დოლარი, თუკი ფინალში იჭიდავებდი. ჩემპიონი რომ გამხდარიყავი, 50000 დოლარი გერგებოდა. სხვის გამო დაკარგული ამდენი ფულის საზღაურად, დავიჯერო, ქართული სპორტის თავკაცებს არაფერი მოუციათ შენთვის?**

— კი, ატლანტაში 2000 დოლარი მომცეს, ეგ იყო და ეგ, მერე ბოლიშიც არავის მოუხდია.

**— წელს რას აპირებ?**

— მართალია, ერთი წელი დავისვენე, მაგრამ ახლა თანდათან შევდივარ ფორმაში. იმედი მაქვს, პოლონეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე თავს არ შევირცხვენ. არ მიყვარს პროგნოზები, მაგრამ მედლისთვის ვიბრძოლებ.

**— ღმერთმა ქნას, მაგრამ შენს არ ყოფნაში შენი მეტოქენი წინ წავიდნენ. არ გაგიჭირდება მათთან ჭიდილი?**

— რა თქმა უნდა, მარტინოვს, ყაზახ მელნიჩენკოს და სხვებს, ჩემგან განსხვავებით, ტურნირები და ჩემპიონატები არ გამოუტოვებიათ, მაგრამ, იმედი მაქვს, მალე შევძლებ ჩვეული ფორმის დაბრუნებას და მათთან ღირსეულად ჭიდილს. აბა, თუ მათ შევეპუე, რა ფასი აქვს ჩემს დაბრუნებას.

ლევან ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საიდან გაჩნდა ლისაბონი?

ახლახან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამოცდახუთკაციანი დელეგაცია დაბრუნდა პორტუგალიიდან, სადაც ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის IV ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობდა. საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელს, სეოკ-ის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის წარმმართველს თამაზ თევზაძეს ვთხოვეთ, მოეთხრო პორტუგალიურ შთაბეჭდილებებსა და ჩვენი სპორტსმენების შედეგებზე.

— ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში 48 ქვეყანა მონაწილეობდა. ამ რანგის შეჯიბრზე საქართველო მესამედ იყო. შეჯიბრი 10 სახეობაში გაიმართა, აქედან ექვსში — ინდივიდუალურად, ოთხი სახეობა კი გუნდური იყო. ჩვენი სპორტსმენები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ძიუდოსა და ველოსპორტში ასპარეზობდნენ. სულ 36 სპორტსმენი წავიყვანეთ, დელეგაციაში ორი მსაჯიც იყო, ფეხბურთისა — ვახტანგ ჩოჩიშვილი და ძიუდოსი — მერაბ ლოსეურაშვილი. ჩვენებმა სულ ერთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ფეხბურთში ჩვენი ბიჭები შეუდარებელნი იყვნენ და პირველი ადგილიც დაიკავეს. უნდა აღვნიშნო, რომ ფეხბურთელები მარტო სათამაშო დისციპლინით როდი გამოირჩეოდნენ. ისინი ცხოვრებაშიც წესიერი, ზრდილი ახალგაზრდები არიან. სწორედ ასეთებს ძალუძთ, მიაღწიონ მაღალპროფესიულ შედეგებს. ეს მწვრთნელ ვახტანგ კოპალეიშვილის დიდი დამსახურებაცაა.

ძიუდოში ყველა წონით კატეგორიაში გვყავდა მოჭიდავე. ორი გოგონაც ვიახლეთ. დუშელი ივანე ნადირაშვილი (71 კგ) მეორე ადგილზე გავიდა, ბრინჯაოს მედლები კი ხაშურელმა გელა ბარათაშვილმა (55 კგ) და ქუთაისელმა გრიგოლ მამრიკიშვილმა (65 კგ) მოიპოვეს. არ მიყვარს წაგების მსაჯებზე გადაბრალება, მაგრამ იმდენად აშკარა იყო ნახევარფინალში ბარათაშვილის დაჩაგვრა, რომ არ შეიძლება, არ აღინიშნოს.

ველოსპორტში ქობულეთელმა ლევან მესხიძემ 87 მონაწილეს შორის 33-ე ადგილი დაიკავა. აქ დასანანი რამ მოხდა, რომლის მომსწრეც თავად გახლდით და ვიდეოფირზეც აღვბეჭდე. სტარტის დროს ლევანს სხვა სპორტსმენი დაეჯახა და ძირს დასცა. იგი ძირითად ჯგუფს ოცდაათიოდე მეტრით ჩამორჩა, მაგრამ ძალა მოიკრიბა, გაქცეულებს დაეწია და რბოლას სათავეშიც ჩაუდგა. ის დიდი პოტენციის ველომრბოლია და რომ არა წაქცევა, პირველ ექვსეულში ნამდვილად შევიდოდა. მესხიძეს აჭარის სპორტის კომიტეტი ეხმარება, უახლესი მოდელის ველოსიპედი შეუძინეს, რაც ძირითად როლს თამაშობს მაღალი დონის შეჯიბრებებში.

ძალიან ცუდად იასპარეზეს მძლეოსნებმა. ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიმეორა, არა თუ გააუმჯობესა, ეროვნულ დონეზე ნაჩვენები შედეგი.

ფედერაციამ არ გაითვალისწინა წინა თამაშებისთვის სპორტსმენთა მომზადებაში დაშვებული შეცდომები და ამის გამო ქართველ მძლეოსანთა გამოსვლა აქაც ფიასკოთი დასრულდა.

ჩემი აზრით, საჭიროა, აქცენტი გაკეთდეს 2-3 სპორტსმენზე, რომელთაც ყველანაირი მხარდაჭერა ექნებათ. საჭიროა სპონსორებთან მუშაობა და თანხების მოზიდვა, რაც ფედერაციის პრეროგატივაა. სახელმწიფო ყველაფერს ვერც გასწვდება. მხოლოდ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ შეჯიბრებებზე გამოსვლა სპორტსმენს ვერ გაზრდის, ამიტომ ფედერაციებმა უნდა შეცვალონ მუშაობის სტილი — ფინანსურად დამოუკიდებელნი გახდნენ. ეს მათ საშუალებას მისცემთ, სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებებზე მიავლინონ.

ახლა ის დრო აღარ არის, როცა ოლიმპიადებზე მხოლოდ მონაწილეობა იყო სასურველი. შედეგებზეც უნდა ვიფიქროთ და ასეთი მაღალი დონის ასპარეზობებზე ის სპორტსმენები წავიყვანოთ, რომელნიც გვასახელებენ.

მედლების რაოდენობით საქართველო მე-16 ადგილზე გავიდა, მედლების ხარისხობრივი თვალსაზრისით — მე-20-ზე. უნდა აღვნიშნო, რომ გავუსწარით სამივე ბალტიისპირეთის რესპუბლიკას, სომხეთს, აზერბაიჯანს. ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან — შვეიცარიას, თურქეთს, პოლონეთს, იუგოსლავიას, ისრაელს, ნორვეგიას და მასპინძელ პორტუგალიელებს.



საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ბომბარდირის ლაშა ჯაკობიას მეურვეობა პორტუგალიელებს გაუჭირდათ

დიდი დახმარება გაგვიწია განათლების სამინისტრომ და სპორტის დეპარტამენტმა. გერმანიის კონსულმა ლუჩია გრიუნლიხმა მთელი დელეგაციის ვიზები უფასოდ გაგვიფორმა. ორგანიზაციული თვალსაზრისით კარგად იმუშავეს ფედერაციებმა.

ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებს ევროპაში დიდი ყურადღება ეთმობა და ოლიმპიური თამაშების შემდეგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად ითვლება. ამჟამად პორტუგალიაში 2500 ახალგაზრდა სპორტსმენი გამოდიოდა. გახსნას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი და პორტუგალიის პრეზიდენტი დაესწრნენ. ოლიმპიური სოფელი სამ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში იყო განლაგებული. შეჯიბრი ძირითადად საუნივერსიტეტო კომპლექსში ტარდებოდა, სახეობათა ნაწილს კი „ბენფიკას“ სპორტული ბაზა მასპინძლობდა.

საქართველოს გამოსვლა ოლიმპიურ დღეებზე ძირითადად დადებითად შეიძლება შეფასდეს. ჩვენ აქამდე მხოლოდ ძიუდოში გვქონდა მოპოვებული ყველა სინჯის მედალი. ახლა კი მათ ფეხბურთიც დაემატა.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა — პორტუგალიელები თავიანთ დედაქალაქს ლიშბოას ეძახიან და ასეც წერენ. საიდან გაჩნდა სხვა ენებში ლისაბონი, ჩემთვის გაუგებრად დარჩა.

ერეკლე ძიძილაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი (ფოტო)




ძიუდოისტთა ტურნირის პრიზიორები: ივანე ნადირაშვილი, გელა ბარათაშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილი



# გზის მაშვრალნი

უცნაური რამ არის „ტურ დე ფრანსი“. 200 გაოფლილი კაცი გამწარებული ატრიალებს პედლებს, მერე ერთი წინ გაიქცევა და 199 ჩამორჩენილი სულმოუთქმელად მისდევს. თითოეულ გუნდს თავისი ფავორიტი ჰყავს — გუნდის ლიდერად წოდებული. ამის თანაგუნდელები თავს ევლებიან, წინ და უკან უდგებიან და ცივ ნიავს არ აკარებენ, რათა გადამწყვეტი მომენტისთვის მათზე მეტი ძალა შერჩეს და ეტაპი მაინც მოიგოს. ჰყავთ სპრინტერებიც, რომლებიც მთიან ეტაპებზე ნახევარ საათს აგებენ, სწორ ადგილებზე კი თითო წამით იგებენ და სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობენ.

„ტურ დე ფრანსის“ ყურება თითქოს რა სახეირო საქმეა, მაგრამ 2500-მილიანი დისტანცია ხალხითაა სავსე. ესენი ტაშის დაკვრას არ კმარობენ და ხშირად ტრასაზეც გადახტებიან ხოლმე მრბოლელებს ვითომცდა გასამხნევებლად მხრებსა და ზურგზე უთათუნებენ ხელს, სინამდვილეში კი წინ წასაწევ გზას არ უტოვებენ დაქანცულ სპორტსმენებს. ამათ გარდა ფაუსტად გამოწყობილი, ქათმის ბუმბულებიანი, ხანაც სულაშიც შიშველი ფანებიც გადმოუხტებიან ხოლმე და კივილით მისდევენ. ზოგიერთის თავხედობა უფრო შორსაც მიდის — რბოლის ლიდერებისთვის ქუდების წართმევასაც არ თაკილობენ. ამა, რომელი ველოსიპედისტი დაედევნება ამათ და ძვირფას წამებს დაკარგავს, ისევ დასიცხვა ურჩევნიათ.



ტურს გიჟმაჟი მაყურებლებიც ჰყავს

მთელს ამ გიჟურ ვითარებაში ტური მაინც გრძელდება. გრძელდება თავისი დაუწერელი კანონებით, ქიშპობითა და ვერაგობითაც კი. წლევანდელი რბოლა კი ამ მხრივ მართლაც გამორჩეული გამოდგა დამაბულობამ მე-6 ეტაპზე აპოგეას მიაღწია. ჯერ იყო და, ბელგიელმა ტომ სტილზმა ფინიშის სწორზე ერთ-ერთ მეტოქეს წყლიანი ბოთლი უთავაზა თავში, მერე გამარჯვებულს — გერმანელ ერიკ ცაბელს პირველობა ჩამოართვეს სახიფათო რბოლისთვის, ბოლოს კი „ტაშკენტურ ექსპრესად“ წოდებული ჯამოლიდინ აბდუჯაფაროვი — ქულათა ჩათვლის სამგზის გამარჯვებული გამოიჭირეს დოპინგის ხმარებაში. დისკვალიფიკაციებით წლევანდელმა ტურმა ყველა რეკორდი მოხსნა: ხუთი მრბოლი საერთოდ მოიკვეთეს, სამს კი ეტაპზე გამარჯვება ჩამოართვეს მეტოქეთათვის გზის გადაღობვის გამო. უხვი იყო ტრავმებიც. დასაწყისში მასობრივმა დაცემებმა რამდენიმე ფავორიტი იმსხვერპლა — თავისი უანასკნელი ტური ლავიწის მოტეხილობით დაამთავრა შვეიცარიელმა ტონი რომინგერმა, იგივე დაემართა რუს ევგენი ბერზინს. დაშავდა წლევანდელი „ჯიროს“ გამარჯვებული იტალიელი ივან გოტი, კიდევ ერთი შვეიცარიელი ალექს ცულე. შუამდეც ვერ მიატანა სპრინტის მეფე მარიო ჩიპოლინიმ, ბრიტანელმა ქრის ბორდმანმა.

თუმცა წელს მომავლის გმირებიც გამოიკვეთნენ. იან ულრიხი პირველი გერმანელი გახდა, ვინაც მსოფლიოს უპირველესი რბოლის მოგება მოახერხა. თანაც 1984 წლის შემდეგ ყველაზე დიდი უპირატესობით —9 წუთითა და 9 წამით. მასვე უწინასწარმეტყველებენ მიგელ ინდურაინის რეკორდის — ზედიზედ ხუთჯერ ჩემპიონობის მოხსნასაც.

თუმცა სხვა მრბოლებს ამაზე თავიანთი შეხედულება გააჩნიათ. „მთის მეფის“ ტიტულის უკვე ოთხგზის მფლობელი — წლევანდელი მეორეადგილოსანი რიშარ ვირანკი საფრანგეთის იმედად ითვლება და გაისად პირველობას იქადნება. ტრიუმფით დაუბრუნდა სპორტს იტალიელი მარკო პანტანი — ფეხის რამდენიმე მოტეხილობის შემდეგ ორი ურთულესი სამთო ეტაპის მოგება მოახერხა. ზემოთ ნახსენები ვირანკის გუნდმა — „ფესტინამ“ სამომავლოდ ალექს ცულე გადაიბირა და „ტელეკომის“ უძლეველ გუნდს პირველობის წართმევას უპირებს.



მიკი მაუსი პანტანის ეამბორა

იყო დიდი იმედგაცრუებანიც. ინდურაინის მემკვიდრედ შერაცხულმა აბრაამ ოლანომ ერთადერთი ეტაპის მოგება მოახერხა და საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილს დასჯერდა. შარშანდელი ჩემპიონი ბიარნე რიისი არაერთხელ დაშავებისა და ათასგვარი უიღბლო დამთხვევის შედეგად მე-7 ადგილზე აღმოჩნდა და ალბათ საბოლოოდ ჩამოიწერა.

რაც შეეხება ტურის სხვა ჯილდოებს, პრეტენდენტებად იქაც ძველები დარჩებიან. ქულათა ჩათვლის გამარჯვებული, 27 წლის გერმანელი ერიკ ცაბელი სარეკორდო, ოთხგზის ჩემპიონობას აპირებს. „მთის მეფე“ რიშარ ვირანკი სიჩაუქის გამოცდასა და სპრინტში ვერაფრით დაიკვეხნის, მაგრამ აღმართზე მისი სწორი არ ჩანს.

მომდევნო „ტურ დე ფრანსის“ დაწყება ორგანიზატორებს რატომღაც დუბლინში გადაუწყვეტიათ, თუმცა მოიტანს თუ არა ეს წამოწყება რაიმე სიახლეს, კაცმა არ იცის.



გამარჯვებულთა ტრიუმვირატი: ვირანკი, ულრიხი და ცაბელი

# მოკრძალებული უცხოპლანეტელი




იან ულრიხი გერმანელთა ახალი კერპია

„ბორის ბეკერი კარიერას ამთავრებს, მიხაელ შტიხი საერთოდ წავიდა, არავინ იცის, შტეფი გრაფის მუხლი ორ-სამ თვეში რა მდგომარეობაში იქნება. აღარავინაა დარჩენილი გაავებული ფეხბურთელებისა და შუმახერთა კლანის გარდა“ — წერდა გერმანული პრესა ეროვნული სპორტის კრიზისულ მდგომარეობაზე. მაგრა „ტურ დე ფრანსის“ დაწყების შემდეგ ქვეყანამ ახალი გმირი აღმოაჩინა — 23 წლის ოქროს საყურიანი იან ულრიხი — „უცხოპლანეტელი“.

იან ულრიხი 1973 წლის 2 დეკემბერს დაიბადა აღმოსავლეთ გერმანიის ბალტიის ზღვისპირა ქალაქ როსტოკში. მომავალი ჩემპიონი 3 წლისა იყო, როდესაც მამამ სახლი მიატოვა და ოჯახში კაციც და ქალიც დედა — მარიანა გახდა. თავისი პირველი რბოლა იანმა 9 წლისამ მოიგო. მაშინ იგი შავ-თეთრ ტელევიზორში უყურებდა ტურ დე ფრანსს და ყვითელი მაისურის მოგებაზე ოცნებობდა.

1986-ში ულრიხი ველოსპორტის ცნობილმა სპეციალისტმა პეტერ ბეკერმა აღმოაჩინა და აღმოსავლეთ გერმანიის ეროვნულ სპორტულ სკოლაში მოაწყო, მომდევნო წელს კი თავის გუნდში — ბერლინის „დინამოში“ აიყვანა. ტურის ტრიუმფატორი იმ დროის დიდი სიხარულით ნამდვილად არ იგონებს: „იქამდე გვავარჯიშებდნენ, სანამ ტკივილის გარდა აღარაფერს ვგრძნობდი. ძნელი წარმოსადგენი იყო, რაში გამომადგებოდა ამდენი გარჯა, რადგანაც ბერლინის კედელი ჯერაც არსებობდა და პროფესიონალად გახდომის პერსპექტივა სრულიად არარეალური ჩანდა“.

ულრიხის შრომამ შედეგი მაინც მოიტანა: 1993 წელს 19 წლისამ ოსლოში მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. სწორედ მაშინ დაადგა თვალი ახალგაზრდა მრბოლს „ტელეკომის“ ბელგიელმა თავკაცმა ვალტერ გოდეფრუტმა. მოლაპარაკებები პეტერ ბეკერის შუამავლობით დიდხანს არ გაგრძელებულა და ულრიხი პროფესიონალი გახდა. 1994 წელს სიჩაუქის გამოცდის მსოფლიო ჩემპიონატზე სიცილიაში გერმანელი მრბოლი მესამე იყო და ბრიტანელ ქრის ბორდმანს მცირედით ჩამორჩა. კარგა ხანი უცხო გარემოსთან მიჩვევასა და ახალ ყაიდაზე წვრთნას დასჭირდა, 1995-მა შეუმჩნევლად ჩაიარა. გასული წლის დამდეგს, დუნკერკის 4-დღიან რბოლაში წარმატებული გამოსვლის შემდეგ მეტოქე გუნდის მენეჯერები რომ დაინტერესდნენ, გოდეფრუტი მიხვდა, რა სარფიანი ჯეელიც ჰყავდა გადმობირებული. ამას მოჰყვა მშვენიერი გამოსვლა შვეიცარიის ტურში და ბელგიელსაც დარჩენილი სეზონისთვის გეგმების შეცვლა მოუხდა: ულრიხი წესით ოლიმპიადაზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ატლანტაში გამგზავრებას ტურ დე ფრანსზე გამოსვლა არჩიეს და არც შემცდარან.

ულრიხმა დიდი წვლილი შეიტანა თანაგუნდელ ბიარნე რიისის გაჩემპიონებაში. თავისი პოტენციალი კი დისნეილენდის სიჩაუქის გამოცდაში გამოავლინა, როცა ტურის ხუთგზის ჩემპიონ, ლეგენდარულ მიგელ ინდურაინს ერთი წუთით აჯობა, რიის კი — ორით. საერთო ჩათვლაში გერმანელი მეორე ადგილზე გავიდა. მაშინ იყო, ინდურაინმა რომ უწინასწარმეტყველა დიდი გამარჯვებები.

ულრიხი ორიოდე კვირაში მთელი გერმანიის კერპი გახდა, მაგრამ დიდებას ხათაბალა მოჰყვა. „შარშან საკუთარი ფოსტალიონიც კი ვერ მცნობდა, ახლა კი პრესცენტრში სპეციალური განყოფილებაა ჩემი წერილებისა და ზარებისთვის, ზოგჯერ კი საერთოდ არანორმალურ თხოვნებს ვიღებ“ — აღიარებს ტურის ახალგამომცხვარი ჩემპიონი. ულრიხის პირადი ცხოვრებაც ყურადღების ცენტრში მოექცა. უკვე ყველამ იცის, რომ მეგობარი გოგონა გაბი პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა და ოქროს ყურსაკიდიც, რომელსაც არსად იშორებს, მისი ნაჩუქარია. პრესის გადაჭარბებულმა მზრუნველობამ ტურის მიმდინარეობისასვე იჩინა თავი: გათენებისთანავე ულრიხის კართან ჟურნალისტების ჯგრო იდგა, იგივე ხდებოდა საღამოსაც, როდესაც გადაღლილ მრბოლს ყველაზე მეტად ესაჭიროება დასვენება. „მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა. იანს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეტაპის მიმდინარეობისას უხდებოდა, რადგან დაწყებამდე ამის შესაძლებლობას არ აძლევდნენ“ — ამბობს გოლეფრუტი. ერთხელ მასთან ინტერვიუს ასაღებად თავმოყრილმა ჟურნალისტებმა ბიარნე რიისის ველოსიპედიც გადათელეს.

„ტელეკომი“ მომავალი ტურისთვის აბეზართაგან უფრო ეფექტურ დაცვას აპირებს, თავად ულრიხთან დაკავშირებით კი შორს მიმავალი, დიდი გეგმები აქვთ. „მომავალ სეზონებში მთელ ყურადღებას ულრიხის ტურებზე გავამახვილებთ. იანი აღარ გამოვა ერთდღიან რბოლებში, არც სან სებასტიანის მსოფლიო ჩემპიონატზე. ზედმეტმა დატვირთვებმა, შესაძლოა, მისი მომავალი საფრთხეში ჩააგდოს“ — აცხადებს „ტელეკომის“ თავკაცი. მაგალითად რამდენიმე ადრეულ ასაკში „გადამწვარ“ მრბოლს ასახელებს — იტალიელი ფელიჩე ჯიმონდი, რომელმაც ტურ დე ფრანსი 22 წლისამ მოიგო, მერე კი ველარაფერს მიაღწია, ჯიროს 1994 წლის ჩემპიონი, რუსი ევგენი ბერზინი, მას შემდეგ საუკეთესო ფორმის დაბრუნება რომ ვერ მოახერხა. თანაც გუნდის ლიდერად ულრიხი ჯერაც არ ჩამოყალიბებულა, მას კვლავ ზედმეტად მოკრძალებული ხასიათი აქვს — „ეტყობა, ჯერაც ვერ შეუცვნია, რას მიაღწია“.

ასეა თუ ისე ულრიხის სახელი ტურის ისტორიაში ჩაიწერა და მის თავზე ჯერჯერობით მაინც, ერთი პატარა ღრუბელიც არ ჩანს. თუმცა, როგორც დედამისი ამბობს, ყველაფერი ძველებურად როდია ხოლმე.

ლევან ჩხეიძე

# პრიმო ნებიოლოს არმიის მეძღვსნე აღლუში

მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვლა: დაიშალა სსრკ, დაიწყო შიდსის ეპიდემია, გადავარდა აპარტჰეიდი, არაბები და ებრაელები დაზავდნენ, ანტარქტიდის თავზე ოზონის ხვრელი მეტისმეტად გაფართოვდა, დიდ სპორტს კი კვლავინდებურად ხამი მაფიოზო მართავს. სამივე ლათინია: ოლიმპიური ოჯახის „მამა და მარჩენალი" ხუანი (-ანტონიო სამარანჩი), ფეხბურთის „ოღრაში" ჟოაო (ავალანჟი) და მძლეოსნობის „რამკიანი ქურდი" პრიმო (ნებიოლო).

აკადემიური ტიტული — დოქტორობა არცერთს აკლია. ფხასა და გამავლობას ხომ ნუღარ იკითხავთ. ჭკუაც საკმაოდ მოდგამთ და თუმც დაბერებულან, ჯანიც ძველებურად მოდევთ. ჰოდა, მარჯვედ უძღვებიან სრულიად სპორტსა და ცალკე მის მეფე ფეხბურთს და დედოფალ მძლეოსნობას.

ლათინთა ალიანსი ცხადზე უცხადესია. აველანჟისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ დღეებში ნებიოლოს რომა აქვს დანიშნული აღლუმი — მძლეოსნობის მსოფლიო პირველობა, იმავდროულად სამარანჩის საქმეც კეთდება. თუ როგორ, ამას ქვემოთ ვიტყვით.



## პრიმო — ნოვატორი და მხსნელი

დიახ, გუშინ ათენში VI მსოფლიო პირველობის გახსნა იყო. ზეიმი თანამედროვეობის პირველი — 1896 წლის ოლიმპიადის ასპარეზზე, ჩამარმარილოებულ „პანათინაიკონზე" გაიმართებოდა, დღეიდან კი ახალ ოლიმპიურ სტადიონზე შეჯიბრი გაჩაღდება და ზედიზედ ცხრა დღეს — იქეთა კვირის ბოლომდე გატანს.

მსოფლიო ჩემპიონატი დოქტორ პრიმოს მოგონილია. მანამდე მძლეოსანთა უმთავრესი შეჯიბრი ოლიმპიადა იყო. ნებიოლომ სწორად განსაჯა, ჩემი სპორტი სხვებთან შედარებით იჩაგრებაო და სამართალი განაჩინა. სამი ჩემპიონატი ოთხი წლის ინტერვალით გაამართვინა: 1983 წელს ჰელსინკში, 1987 წელს რომში, 1991 წელს — ტოკიოში. მერე იტალიელ დოქტორს მოეჩვენა, რომ ოთხწლიან ციკლი მეტისმეტად გაწელილი იყო და ორწლიანამდე შეაკვეცინა. ამ სიახლის გამოისობით შტუტგარტს 1993 წელს უწია რიგმა, გეტებორგს — 1995 წელს, ათენს კი — 1997-ში. შემდეგი, VII პირველობა 1999 წელს სევილიაში გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატი პრიმოს არათუ მოუგონია, ხშირად მისი მთავარი კანონმდებელი და გადამრჩენიც ყოფილა. ასე მაგალითად, როცა შეატყო, რომ ჩემპიონთათვის მარტო „მერსედესების" ჩამორიგება არა კმაროდა, ფულადი ჯილდოებიც დააწესებინა, წელს კი ჩემპიონთა რაღაც ნაწილმა შეჯიბრისთვის თავის არიდება რომ დააპირა, მიდგა, მოდგა, ზოგს დაუყვავა, ზოგი დატუქსა, ზოგის სასარგებლოდ კი კანონებიც შეაცვლევინა და იმას მიაღწია, რომ ვარსკვლავები პირველობას არ მოესაკლისებინა, თორემ დღესასწაული ჩაეშლებოდა და სპონსორებიც უკმაყოფილონი დაურჩებოდნენ.

## შვიდნი არიან

ახლა ამათ არ იკითხავთ? სულ შვიდნი არიან.

TDK
mita FAX COPIERS
adidas
Carlsberg Beer
Coca-Cola
EPSON
SEIKO

ელექტრო-მაგნიტური საქონლის მწარმოებელი TDK ნებიოლოსთან პირველი პირველობიდან მოყოლებული თანამშრომლობს. შემთხვევითი როდია, რომ უკლებლივ ყველა პირველობაზე მონაწილეთა სამკერდე ნომრებს ამ ფირმის ლოგო ამშვენებდა.

ამოტოლა შეჯიბრი უოქმებოდ როგორ გაიმართება და ასლის გადამღები მანქანების მწარმოებელ „მიტას" აბა ვინ შეცვლის. მოსეირეებს ყელის ჩასველება რომ მოუნდებათ, წვრილფეხობა „კოკა-კოლას" გეახლებათ, სხვანი კი „კარლსბერგის" ლუდს. „ადიდასი" ხომ სპორტული აღჭურვილობის მთავარი მომმარაგებელია, „ეპსონის" კომპიუტერები კი საინფორმაციო სისტემის გონი იქნება. დაბოლოს, შედეგების გაზომვა „სეიკოს" აპარატურით იწარმოებს.

## ლაზერსაც გამოიყენებენ

ამ საქმეში დიდი სიახლეა მოსალოდნელი. სპრინტი თუმც მძლეოსნობის თვალია და მაყურებელსაც სხვა სახეობებზე მეტად უყვარს, მაგრამ ერთი, რომ გაელვებასავითაა, და მეორეც, ხალხს ყოველთვის აინტერესებს, თუ რა სიჩქარით გარბიან მონაწილეები.

ალელვებთ ისიც, თუ ვინაა მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი. მის გამოსავლენად საჭირო სულაც არ იყო ჯონსონისა და ბეილის 150 მეტრზე გაჯიბრება. თურმე საკმარისი ყოფილა მათი სარეკორდო გარბენების გაანალიზება, მაგრამ ამ საქმეს აქამდე ჩანაწერთა განხილვით აკეთებდნენ.

ახლა მძლეოსნობის მოყვარულებს ეშველათ. ათენში დამონტაჟებული იქნება ლაზერული მოწყობილობა, რომლის მეშვეობით მორბენალთა სიჩქარე მყის გაიზომება. ჰოდა, ხალხიც აქაც ისე გაიხარებს, როგორც ჩოგბურთზე — ეისის მოწოდებისას უმალ ტაბლოს რომ მიაჩერდება ხოლმე.

## დილა-საღამოს

როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა სპრინტი დღისთვისაა დანიშნული. განრიგი კლასიკურია: ისეა შედგენილი, რომ უპოპულარულესი ნომრები უქმეებზე გაიმართოს, რადგან სწორედ მაშინაა მოსალოდნელი მოსეირეთა მოზღვავება.

შეჯიბრი ყოველდღე ორ სესიად გაიმართება. პირველი ადგილობრივი დროით დილის 8 საათზე დაიწყება, მეორე — საღამოს 6 საათის მიდამოში. საქმე ისაა, რომ ელადა საკმაოდ ცხელი ქვეყანაა და ორგანიზატორებიც მონაწილეებს უფრთხილდებიან. ისე კი, ჩემპიონატის ათი დღის მანძილზე წვიმა მაქსიმუმ ერთხელაა მოსალოდნელი, ნისლი თურმე საერთოდ არ ჩამოწვება, ჰაერის საშუალო ტემპერატურა 27 გრადუსი იქნება, ტენიანობა კი 48 პროცენტი. არა გვგონია, ამის გამო მძლეოსნებს რაიმე საწუწუნო ქონდეთ.

მედლების გათამაშების მეორე პიკი ბოლო ვიქენდისთვისაა დანიშნული. ბოლოსწინა დღე მანდილოსნებს ეძლვნებათ — იმ დღეს ვაჟთა ერთი ფინალი რაა, ისიც არ გაიმართება. ესტაფეტები ტრადიციულად ბოლო დღესაა, ქალთა და ვაჟთა მარათონები კი დიდი, ტრადიციული მარათონებისგან განსხვავებით ცალ-ცალკე მოეწყობა.

## ნატურალური მარათონი

ბერძნული მარათონი ნაღდი და უძნელესი იქნება. საქმე ისაა, რომ დაბა მარათონიდან ათენისაკენ მიმავალი გზა საკმაოდ აღმართიანია, დაღმართი კი 35-ე კილომეტრის შემდეგღა დაიწყება, რაც მონაწილეთა უმეტესობისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს. ამ მარათონის ტელე-გადაცემას სამი შვეულმფრენი, ორი მოტოციკლი, 27 კამერა და 90 მეტრა კოშკურა მოემსახურება.

ზემოთ ვახსენეთ, ნებიოლომ იმდენი იჩალიჩა, რომ ვარსკვლავთა მონაწილეობა დაიბევაო. დიახ, გრძელ მანძილებზე სირბილის ეთიოპ „იმპერატორ" ჰაილე გაბრესილასიეს ისეთი წაღები შეუკერეს, რომ ათენის ატლანტურმა, ხისტმა საფარმა ფეხები ველარ დაუწყლულოს. ფრანგ მორბენალ ქალ მარი-ჟოზე პერეკს შებერტყილმა დოქტორმა ყური აუწია, თუ დაღლილობის გამო არ აპირებ ათენში სირბილს, მაშ სეზონის ბოლოს ფულიანი გრან-პრის ფინალში რაღა გესაქმებაო, და იოლად დაიყოლია. რაც შეეხება ამერიკელებს — მაიქლ ჯონსონსა და გეილ დივერსს, ვითაც ტრავმის გამო ვერ იასპარეზეს ეროვნულ ჩემპიონატში და თავისი ქვეყნის მკაცრი შესარჩევი წესებით გუნდში ვერ მოხვდნენ, მათ სახსნელად პრიმომ ჩოგბურთისა და გოლფის ანალოგიით ვაილდ-ქარდის პრინციპი შემოაღებინა: საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ალმასკომმა დაადგინა, რომ მსოფლიო პირველობებზე მონაწილეობის უფლება ამიერიდან პერსონალურად მიენიჭება წინა პირველობის ყველა გამარჯვებულს, თუ იგი, რა თქმა უნდა, დისკვალიფიცირებული არაა.






## სასჯელი გაანახევრეს

დისკვალიფიკაციათა გამო დიდი აურზაური იყო. 1991 წელს იააფ-მა სტეროიდების ხმარებისთვის ოთხწლიანი სასჯელი შემოიღო, მაგრამ ვერ დაამკვიდრა, რადგან უმეტესი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა მუშაკის ამ ხნით უსაქმოდ დატოვებას კრძალავს. გარდა ამისა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) რჩევითაც მაქსიმალური დისკვალიფიკაცია ორ წელზე მეტი არ უნდა იყოს.

მსოფლიო პირველობას წინ იააფ-ის კონგრესი უძღვის ხოლმე. 1993 და 1995 წლებში სასჯელის განახევრების წინადადება ჩაფლავდა, ახლა კი ბრიტანელი პიტერ რადფორდი და მისი დარი პურისტები რომ მოიცილა ნებიოლომ, ოთხშაბათს თავისი გაიტანა და კენჭისყრა 112-56 (3 თავშეკავებული) მოიგო. ერთი სიტყვით, ამიერიდან დამწყებ მესტეროიდეებს ორი წლით დაითხოვენ, მეორედ ჩავარდნისთვის კი ძველებურად სამუდამო დისკვალიფიკაციაა დაწესებული.

## ლათინთა მუხთალი გეგმები

ბოლოს ისიცა ვთქვათ, თუ ნებიოლო ამ შეჯიბრიდან ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერასა და ლათინთა საქმის გაკეთებას როგორ ფიქრობს. როგორა და ბერძნები კავკასიელთა დარად უწესრიგო და ფუქსავატი ხალხია. ამხელა საქმეს კი შეჭიდებიან, მაგრამ სტადიონის რემონტს ზედ სტარტის წინ თუ მორჩებიან. რაკი ნებიოლომ ყველა ვარსკვლავი შეკრიბა, შეჯიბრი უთუოდ კარგი გამოუვა, ყველა სხვა ხინჯი კი ათენელებს დაბრალდებათ. მაშინ ცხადი შეიქნება, რომ საბერძნეთის დედაქალაქი 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის ღირსი ვერაა.

ამ თამაშების გამართვა ნებიოლოს მშობლიურ რომსაც სურს. კონკურსში გამარჯვების კიდევ ორი რეალური კანდიდატი სტოკჰოლმი და ქეიფთაუნი არიან. ამათგან ლათინური ქალაქი მხოლოდ რომია. ჰოდა, ნებიოლოცა და სამარანჩიც იმის ცდაში არიან, რომ საქმე მძლეოსნობისა და თანატომელთა სასიკეთოდ გაკეთდეს.

**რეზო ნემსაძე**

ათენის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის სურვილი 199 ქვეყნის სპორტსმენებმა გამოთქვეს. ამ ქვეყნების სპორტის თავკაცებმა შესაბამისი თხოვნითაც მიმართეს პრიმო ნებიოლოს — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ბოსთა ბოსს. ამდენ ქვეყანაში საქართველო თავიდან არ იყო, რადგან ჩვენ სპორტსმენებს სამსოფლიოჩემპიონატო ლიცენზიებზე ხელი ვერ მიუწვდათ, მაგრამ ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მაია აზარაშვილმა, რომ იტყვიან, ქვეყანა შეძრა, თავისი უცხოელი ნა-

# ნაბიჯი ავუწყოთ მსოფლიოს

ცნობ-მეგობრებიც შეაწუხა და ორ ჩვენებურს გაუხერხა ათენში წასვლა.

საქმე ისაა, რომ ჩვენმა სპრინტერებმა რუსლან რუსიძემ და თამრიკო შანიძემ წელს მხოლოდ ერთ სალიცენზიო ტურნირში იასპარეზეს — ტულაში და იქედანაც ხელმოცარული დაბრუნდნენ. არადა, საქართველოს ჩემპიონატზე ორივემ სალიცენზიოდ საკმარ დროში გაირბინა 100 მეტრი: შანიძემ 11,4 წამში, რუსიძემ — 10,3-ში. აზარაშვილის წყალობით იააფ-ის თავკაცებმა შინაურ ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგები ჩაუთვალეს ქართველებს და ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაუშვეს.

სამსოფლიოჩემპიონატოდ პრიმო ნებიოლომ დიდი მოწყალება გაიღო. აზარაშვილს ამაგი წყალში როგორ ჩავუყაროთ, მაგრამ, ალბათ, ქართველ სპორტსმენებს მაინც დაუშვებდნენ ამ შეჯიბრზე, რადგან იააფ-ს განვითარებადი ქვეყნების სპორტსმენებისთვის კვოტები გამოყოფილი ისედაც ჰქონდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ათენში იმ ქვეყნების მძლეოსნებიც იასპარეზებენ, სადაც სპრინტი უთუოდ ორღობეში გაქცევის ტოლფასია, რაკი მეტი არც უნახავთ.

ანტიგუა და ბარბუდა, ბანგლადეში, ბურკინა-ფასო, ფიჯი, ირანი, მალავი, მონღოლეთი, ნორფოლკის კუნძულები, პალაუ (იგივე ბელაუ), პაპუასეთი, თერქსი და ქაიოსი — აი, ამ ქვეყნების მძლეოსნები „დაამშვენებენ" ათენის მსოფლიო ჩემპიონატს. აბა, ამის მერე რა გასაკვირია, რომ საბერძნეთში ორმა ქართველმაც ირბინოს.

რუსლანისა და თამრიკოს გარდა გუშინ ათენს კიდევ ერთი ჩვენიანი, ნინო ბაგაშვილიც გაემგზავრა. თუმც იგი საბერძნეთში არ იასპარეზებს, იააფ-მა თავისი ხარჯით მაინც მიიწვია ჩემპიონატის საცქერლად. ეს პატივი ნინოს თბილისში სირბილის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ გარბენში გამარჯვებით ერგო.

**ლევან ჯაჯახიშვილი**




ათენს მივლენილი ქართველები — რუსლან რუსიძე და თამრიკო შანიძე

## ფინალთა განრიგი

(ვ ვაჟები; ქ ქალები; დაწყების დრო ყველგან საქართველოსია; მრავალჭიდებში მითითებულია ბოლო დისციპლინის დაწყება)

| დრო | | დისციპლინა |
|---|---|---|
| **შაბ, 2.VIII (2 სახეობა)** | | |
| 21:05 | ვ | 20 ხიარ |
| 21:10 | ვ | ბირთვი |
| **კვი, 3.VIII (3)** | | |
| 19:30 | ვ | ური |
| 24:00 | ქ | 100 |
| 24:15 | ვ | 100 |
| **ორ, 4.VIII (4)** | | |
| 21:30 | ქ | ხამხტომი |
| 22:05 | ქ | 400 |
| 23:10 | ვ | 400 თარჯ |
| 23:30 | ქ | შვიდჭიდი |
| **სამ, 5.VIII (5)** | | |
| 20:40 | ვ | შუბი |
| 21:00 | ვ | ხიგრძე |
| 21:40 | ქ | 1500 |
| 21:55 | ქ | 10000 |
| 23:05 | ვ | 400 |
| **ოთხ, 6.VIII (5)** | | |
| 20:10 | ვ | ხიმაღლე |
| 21:30 | ვ | 3000 ხტიპლ |
| 22:15 | ვ | 1500 |
| 22:35 | ვ | 10000 |
| 23:15 | ვ | ათჭიდი |
| **ხუთ, 7.VIII (5)** | | |
| 12:25 | ვ | 50 ხიარ |
| 20:00 | ქ | 10 ხიარ |
| 20:10 | ქ | ბადრო |
| 20:30 | ქ | ბირთვი |
| 23:15 | ვ | 110 თარჯ |
| **პარ, 8.VIII (5)** | | |
| 20:45 | ვ | ხამხტომი |
| 21:05 | ქ | 200 |
| 21:20 | ვ | 200 |
| 21:40 | ვ | 800 |
| 22:00 | ქ | 400 თარჯ |
| **შაბ, 9.VIII (6)** | | |
| 10:05 | ქ | მარათონი |
| 20:10 | ქ | 800 |
| 20:25 | ქ | ხიგრძე |
| 21:10 | ქ | შუბი |
| 22:15 | ქ | 5000 |
| 23:05 | ქ | 4X100 |
| **კვი, 10.VIII (9)** | | |
| 10:05 | ვ | მარათონი |
| 19:30 | ვ | ჭოკი |
| 20:00 | ქ | ხიმაღლე |
| 20:30 | ვ | ბადრო |
| 21:25 | ვ | 5000 |
| 21:55 | ვ | 4X100 |
| 22:15 | ქ | 4X400 |
| 22:35 | ქ | 100 თარჯ |
| 22:50 | ვ | 4X400 |

# ქვიროფასი სათამაშო

## ბერნი ეკლსტოუნი ფორმულა 1-ს ჰყიდის

გარეგნული სიმშვიდისა და მოწესრიგებულობის მიუხედავად, ფორმულა 1-ის სამყაროს პრობლემები არ აკლია. ამ პრობლემათა ნაწილი ორგანიზატორებისა და მონაწილეთა საერთო საფიქრალია, ნაწილიც გუნდებს აწევთ ტვირთად. განვლილმა ეტაპებმაც ზოგი რამ შეცვალა, ვის ამოსუნთქვის საშუალება მიეცა, ვის პირიქით, საზრუნავი გაუჩნდა. ყველაზე საინტერესო საკითხი კი გახლავთ ის, რომ ფორმულა 1 იყიდება. დიახ, ბერნი ეკლსტოუნმა, რომელმაც ფორმულა 1-ისგან საკმაოდ შემოსავლიანი „საწარმო“ შექმნა, გადაწყვიტა, უფრო გაისქელოს ჯიბე. საამისოდ მან ფორმულა 1-ის აქციონირება ვანიზრახა. აქციების ნახევარი თავისუფლად გაიყიდება ლონდონის, ნიუ იორკის და სხვა დიდ ბირჟებზე. ფასიანი ქაღალდების ნაწილი ფია-ს, გუნდებისა და ავტოდრომების მფლობელთა შორის განაწილდება. იმისათვის, რათა ეკლსტოუნმა ხელიდან არ გაუშვას ავტოსპორტის ამ ყველაზე პოპულარული სახეობის მართვის სადავეები, იგი საგანგებო კომპანიას „ფორმულა უან ჰოლდინგზს“ ქმნის. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი თავად იქნება და აქციათა 30%-იან პაკეტს შენარჩუნებს.





პრეზიდენტის თანამდებობას „დაიმლერ-ბენცის“ ყოფილი შეფი ვერნერი დაიკავებს. სხვა ხელმძღვანელთა შორის ასახელებენ მარკო პიჩინინის („ფერარის“ სპორტულ დირექტორს), ვალტერ ტომას („ფილიპ მორისის“ ევროპული განყოფილების ერთ-ერთ შეფს) და რობერტ როულის (სააგენტო „როიტერის“ ფინანსურ დირექტორს). ეს ყოველივე გუნდების მფლობელთა გარკვეულ უნდობლობასა და უკმაყოფილებას იწვევს. უმეტესმა მათგანმა შარშან ხელი მოაწერა ეკლსტოუნის მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებას „თანხმობის შესახებ“, რომელსაც გუნდების ფინანსური მდგომარეობა უნდა გამოეკეთებინა. ტელეტრანსლაციებისგან შემოსულ თანხას უნდა შეეცვალა თამბაქოს მეწარმეთაგან ბოძებული ფული, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ფია-მ უპირატესობა ეგრეთ წოდებულ ციფრულ ტელევიზიას მიანიჭა, მაგრამ ამ საკაბელო სისტემის დეკოდერების შეძენის მხოლოდ 30 ათასი მსურველი გამოჩნდა. ამ სიახლის დანერგვას კი ფია-მ 105 მილიონი დოლარი შეალია, ყოველ ეტაპზე აპარატურის ტრანსპორტირება და მონტაჟი კი 1,5 მილიონ დოლარამდე ჯდება. ამ სისტემის პიონერის — ტელეკომპანია ვა 1-ის ზარალმა კვირაში 11 მილიონს მიუკაკუნა. ამას დაერთო ის, რომ ბევრ ქვეყანაში თამბაქოს რეკლამა აიკრძალა, არადა, მეთამბაქოე სპონსორები 110 მილიონ გირვანქას აძლევდნენ ფორმულას. ფია-მ ამ ხელშეკრულების კიდევ ერთი პუნქტის შესრულება ვერ შეძლო: იგი კისრულობდა ხელმოკლე გუნდების ფინანსურ დახმარებას. მიუხედავად ამისა, ფინანსური პრობლემების გამო „ფორტიმ“ ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა რბოლაზე უარი, დებიუტანტმა „ლოლამ“ კი მხოლოდ ერთ ეტაპში მონაწილეობა შეძლო. ბერნი ეკლსტოუნმა არ ინდომა 6 მილიონი დოლარის გამოძებნა ამ „საჯინიბოს“ გადასარჩენად. ცნობისათვის: ბერნი, რომლის შემოსავლის ძირითად წყაროს ფორმულა წარმოადგენს, ბრიტანეთის უმდიდრეს ადამიანთა შორის 275 მილიონი გირვანქით 58-ე გახლავთ (შეადარეთ ეს ფრენკ უილიამსის 50 და რონ დენისის 45 მილიონს. ყოფილ და მოქმედ ბრიტანელ პილოტთა შორის კი უმდიდრესი ნაიჯელ მენსელია - 35 მილიონი გირვანქა).

გუნდების მფლობელთა ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალი მომავალი სეზონისთვის ბოლიდების მომზადებაა — უკვე შექმნილი გამოცდილება აღარ წაადგებათ და მანქანების ახლებურად კონსტრუირება მოუწევთ. ბოლიდები 20 სმ-ით ვიწრო უნდა იყოს და პროტექტორიანი საბურავებით უნდა აღიჭურვოს, ეს კი ძირფესვიანად ცვლის აეროდინამიკურ და სხვა ტექნიკურ მონაცემებს. კონსტრუქტორებს საკმაო ტვინის ჭყლეტა დასჭირდებათ აგრეგატების უფრო კომპაქტურად განსალაგებლად და ბოლიდების სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მხოლოდ ჟაკ ვილნევმა ამოიღო ხმა ამ ცვლილებების წინააღმდეგ და ეს ფია-სგან ყურის აწევად დაუჯდა. ეტყობა, სწორედ ამ მიზეზით სხვები კომენტარს თავს არიდებენ, თუმცა... „უილიამსის“ ტესტ-პილოტმა ბუიონმა, რომელიც ახალი მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ მოდელს ცდის, განაცხადა, რომ ამგვარად მომზადებული მანქანებით ძირითადმა პილოტებმა უნდა იასპარეზონ და აზრიც იმათ მოეკითხებათო. მაგრამ, სხვათა შორის ისაც დასძინა, უკეთესი მაინც არ იქნებაო. ბარიჩელომ, რომელიც ასევე საგაისო საბურავებით ვარჯიშობდა და ტრასიდანაც „გაფრინდა“, გაბრაზებულმა თქვა, არ მესმის, რისთვისაა ეს საჭირო. სიჩქარე არ მცირდება, მანქანა კი უფრო რთული დასამორჩილებელი ხდებაო. ფია-ს პრეზიდენტ მაქს მოსლის კი არაფრის გაგონება არ სურს.

ამ საერთო პრობლემების გარდა ყველა გუნდს თავისი შინაური საქმეებიც აქვს მოსაგვარებელი სეზონის ღირსეულად დასამთავრებლად. განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია გერჰარდ ბერგერის გერმანიის დიდ პრიზზე გამარჯვებამ და ბოლო თვეების განმავლობაში „უილიამსის“ პილოტების არასტაბილურმა გამოსვლამ.

ფრენკ უილიამსის „მხედრებმა“ სან მარინოს დიდი პრიზის შემდეგ მხოლოდ 39 ქულის მოპოვება შეძლეს, მიხაელ შუმახერმა კი მარტომ მოაგროვა 42. გუნდის ტექნიკური დირექტორი პატრიკ ჰედი არაფერს ამბობს ამ წარუმატებლობის შესახებ და აცხადებს, რომ „უილიამსს“ ძალუძს დაამარცხოს შუმახერი. ფაქტი კი ისაა, რომ „რკინის ფრენკის“ ბიჭებს ძალიან ძნელი ამოცანა უძევთ.

უგუნებო უილიამსელებს მთლად წაუხდინა ხასიათი „ფერარის“ ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა, მე მგონი, ჩვენ უფრო „ბენეტონთან“ მოგვიწევს ბრძოლა, ვიდრე „უილიამსთანო“. თუმცა ნათქვამი ბოლოს ცოტა შეარბილა და დასძინა, ეს ალბათ ხანმოკლე უიღბლობა იყო და სეზონის ბოლომდე არ გასტანსო.

„ფერარის“ თავკაცთ კი იმედი მიეცათ, რომ მათი გუნდი 1979 წლის შემდეგ კვლავ მოიპოვებს ჩემპიონატის ტიტულს. მართლაც უხეიროდ ჩატარებული სეზონისწინა ტესტების შემდეგ „ფერარი“ აშკარად უმატებს. როს ბრაუნმა ამჯერადაც შეძლო შუმის მართვის მანერას მორგებული ბოლიდის შექმნა (მიხაელმა სწორედ ბრაუნის შექმნილი „ბენეტონით“ მოიპოვა ორი ტიტული), ახლებური ძრავი კი მძლავრი და საიმედო გამოდგა.

გერმანიაში გამარჯვებით ფრთაშესხმული „ბენეტონი“ კი იმედოვნებს, რომ სეზონის ბოლომდე ერთხელაც გაიმარჯვებს და ყველასთვის ანგარიშგასაწევ მეტოქედ იქცევა.

უძლიერესთა კიდევ ერთი წარმომადგენელი — „მაკლარენი“ ნელ-ნელა „მომჯობინდა“ და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველადაც გაიმარჯვა. ახალი, „მერსედესის“ ძრავაც 30 ცხენის ძალით უფრო ღონიერია და პილოტებიც უსწრაფესთა შორის არიან რბოლისას, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის ვერ ხერხდება ბოლიდის ზუსტად დარეგულირება. ახალ კონსტრუქტორს, „უილიამსიდან“ „გამოქცეულ“ ნიკის კი ნამდვილად ძალუძს მომავალი სეზონისთვის კონკურენტუნარიანი ბოლიდის შექმნა.

შედარებით გამოუცდელი, ახალგზრდა პილოტების ყოლის მიუხედავად, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება „ჯორდანი“. ფინანსურმა სტაბილურობამ თავისი ქნა, სრულფასოვანი ტესტების წყალობით მოხერხდა „პეჟოს“ მძლავრი ძრავისა და შასის კარგად შერწყმა. ირლანდიური გუნდის პილოტებს იმედიც აქვთ, რომ ამ სეზონში გამარჯვებასაც მოახერხებენ.

„ჯორდანის“ ძირითადი კონკურენტი ხუთეულში ადგილის მოსაპოვებლად „პროსტი“ გახლავთ. ფრანგი „პროფესორის“ გუნდმა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სრულფასოვანი პილოტის ამარა (ოლივიე პანი) ასპარეზობდა, მშვენივრად ჩაამთავრა სეზონის პირველი ნახევარი, მაგრამ ოლივეს ავარიამ საფიქრალი გაუჩინა გუნდის სახელოვან შეფს და საეჭვოც გახადა ხუთეულში დამკვიდრება. მართალია, პანი სეზონის ბოლოს კვლავ აპირებს რბოლებში მონაწილეობას, მაგრამ სათუოა, მძიმე ტრავმის შემდეგ მოწინავე პილოტებისთვის კონკურენციის გაწევა შეძლოს.

მომდევნო „ზაუბერის“ გუნდია. შვეიცარიელები დიდ იმედს ამყარებდნენ „ფერარის“ ძრავაზე. ეს მოტორი მართლაც „ფორდისაზე“ უკეთესი გამოდგა, მაგრამ ეტყობა, გუნდი ყოველთვის ვერ ახერხებს ბოლიდის სათანადოდ მომზადებას, კარგ შედეგებს ვარჯიშზე, კვალიფიკაციისას და რბოლებში წარუმატებლობა მოსდევს. ეს კი შასის ხარვეზებზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ჰერბერტი (პირველი პილოტი) მაინც შარშანდელზე უკეთ გამოიყურება და სეზონის ბოლომდე ალბათ კიდევ მოახერხებს ქულების მოპოვებას. მომავალი სეზონისთვის კი საკუთარი ძრავის მომზადებას აპირებს, საკუთარი მოტორის შექმნა კი მისი და შასის უკეთ მოგებას წაადგება.

ტომ უოკინშოუს სატკივარს კი „იამაჰას“ სუსტი ძრავა და უხეირო შასი წარმოადგენს. „ეროუზში“ მოასპარეზე დეიმონ ჰილს დიდი იმედი ჰქონდა, რომ სეზონის განმავლობაში ბოლიდის სრულყოფაც მოხერხდებოდა და ქულების მოპოვებასაც შეძლებდა. მაგრამ, სეზონის პირველი ნახევარი ისე გაილია, ჰილი მოწინავეებს ვერც კი მიუახლოვდა. ერთი სიტყვით, ეს სეზონი ჰილისა და „ეროუზისთვის“ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს.

წლევანდელი ჩემპიონატის დებიუტანტის „სტიუარტის“ შეფმა ჯეკ სტიუარტმა ჯერ ფინანსური სტაბილურობის გარანტიები და „ფორდის“ პერსპექტიული ძრავი მოიპოვა და მერელა შეუდგა საქმეს. მაგრამ სწორედ „ფორდმა“ უმტყუნა — ვერ მოახერხა მისთვის საიმედო მოტორების მიწოდება და ამ მიზეზით ქათქათა, თეთრი ბოლიდები თითქმის ყოველ რბოლას ნაადრევად ამთავრებენ. გუნდის პირველი პილოტი ბარიჩელო ვარჯიშებზე და კვალიფიკაციაზე ათეულში მოხვედრას ახერხებს და სენსაციური მეორე ადგილიც მოიპოვა მონაკოში, მეორე პილოტი იან მაგნუსენი კი აშკარად სუსტად გამოიყურება, არადა, მას ბრიტანეთის ფორმულა 3-ში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ სენას მემკვიდრედაც თვლიდნენ.

მოსალოდნელი იყო და აუტსაიდერთა შორის „ტირელი“ და „მინარდი“ აღმოჩნდნენ. „ტირელის“ შეფი იმედოვნებდა, რომ სუსტი ძრავის მიუხედავად გუნდი მაინც მიაღწევდა სტაბილურობას და ამის ხარჯზე ქულებსაც მოიპოვებდა. შეჭიდულობის გასაუმჯობესებლად ბოლიდებზე დამატებით ფრთებიც დაამონტაჟეს და ამით მოსახვევებში მდგრადობის გაზრდას ეცადნენ, მაგრამ მალე თავი ანებეს ამ ექსპერიმენტებს. გუნდის პრობლემა ფულია, გუნდის შეფი კი ჯიუტად თავს არიდებს სხვა სპონსორების ძიებას და ერთი-ორი დამფინანსებლის ხარჯზე აპირებს იოლად გასვლას.

„მინარდის“ ფინანსური მდგომარეობის ოდნავ გამოსწორება ფლავიო ბრიატორემ კი შეძლო, მაგრამ იტალიელებმა კვლავ ვერ მოახერხეს ავტომობილის სრულყოფილად მომზადება. „ჰარტის“ ძრავაც ყველაზე სუსტი გამოდგა და „მინარდი“ კვლავ ფორმულა 1-ის მაჩანჩალად რჩება. პილოტებად ისინი აჰყავთ, ვინც მეტ ფულს შეიტანს, თანაც იმედისმომცემი იარნო ტრული „პროსტში“ გადაბარდა და დაამტკიცა, რომ მისი წარუმატებლობა მთლიანად უხეირო მანქანის ბრალი იყო.

**ალეკო ჩაგუძიანი**



# მუსტერი საფარს ეძებს



მუსტერი ისევ გავარდა, ამჯერად ჰარდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამსტერდამი. „ჰოლანდ ოუფენ“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 375 ათასი დოლარი**

**მეორე წრე:** კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:3; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ემილიო ალვარესი (ესპანეთი) 6:1, 2:6, 6:4; მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:4, 6:4; კრისტიან რუუდი (ნორვეგია) — ჰენდრიკ დრეეკმანი (გერმანია) 7:5, 6:4; ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — ერნან გუმი (არგენტინა) 4:6, 6:4, 7:6; მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:3, 3:6, 6:0; სლავა დოსედელი (ჩეხეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:5, 7:6; იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 6:0,7:6.

მერვედფინალებში თანამემამულეთა რამდენიმე დუელი შედგა. თიხნარის ტურნირებზე ესპანელებისთვის ეს ჩვეული მოვლენაა. კარლოს მოიამ ფერნანდო ვისენტე დაიბრიყვა, შარშანდელ ჩემპიონ ფრანსისკო კლავეტს კი ემილიო ალვარესის მოსაგებად 3 სეთი დასჭირდა — 6:1, 2:6, 6:4. „გიგანტთა მკვლელმა“ მაგნუს ნორმანმა არც თანამემამულე, სეხნია გუსტაფსონი დაინდო — 6:4, 6:4; უსახელო ჰოლანდიელების — ლოტუმისა და შეპინგენის მატჩში კი ორი განსხვავებული სეთი ჩატარდა, თუმცა ორივე პირველის გამარჯვებით დასრულდა — 6:0, 7:6 (7:5).

**მონრეალი. კანადის ღია ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 2,3 მილიონი დოლარი.**

ოთხშაბათს მეორე წრის დარჩენილი შეხვედრები გაიმართა. პირველად განთესილმა მაიქლ ჩანგმა ავსტრალიელ სენდონ სთოლს პირველი სეთი 6:1 მოუგო, მეორეშიც კარგა ბლომად არბენინა და ისე შეაწუხა, თამაშის გაგრძელებაზე უარი ათქმევინა. მძიმე პირველი წრის შეხვედრის შემდეგ გაილაღა ვეინ ფერერამ (13). სამხრეთაფრიკელმა იტალიელ კრისტიანო კარატის სძლია — 6:1, 6:2. სამაგიეროდ, სხვა განთესილებმა მოგებისთვის საკმაო ოფლი ღვარეს. ავსტრიელმა ტომას მუსტერმა (3) მსოფლიოს 152-ე ჩოგანთან, მასსავით ცაცია ამერიკელ ჯეფ ზალცენშტაინთან პირველ სეთში ვერაფერი გააწყო — 4:6, მეორეში კი ნერვები მოიშალა, რაკილა ყველა საეჭვო სიტუაციას მსაჯი მისი მეტოქის სასარგებლოდ წყვეტდა. მუსტერმა ბოლმა თამ-ბრეიქზე გადმოანთხია, რომელიც 7:1 მოიგო. ამის მერე იყო, მანამდე შესანიშნავად მოთამაშე ზალცენშტაინს მუხლი რომ ასტკივდა და ყინულებისა და აბების წყალობით-თღა იდგა ფეხზე. ამიტომ ღირსეული წინააღმდეგობა ველარ გასწია — 4:6, 7:6, 6:3. გერმანელთა 19 წლის იმედმა ტომი ჰაასმა დიდი ბრძოლა გაუმართა შვედ ტომას ენკვისტს (5). თამაში ჰარდისთვის უჩვეულოდ, უკანა ხაზზე მიმდინარეობდა და ჰაასი უკეთაც გამოიყურებოდა, მაგრამ მესამე სეთში ამასაც ფეხი ასტკივდა და ერთმა დაკარგულმა მოწოდებამ მთელი მატჩი წააგებინა — 6:7, 6:4, 6:4. ძლივს გადარჩა ხორვატი გორან ივანიშევიჩი. მეორე ხელში მან რამდენიმე მატჩ-ფოინთი უნიჭოდ გაანიავა, თაი-ბრეიქზე ყველა მნიშვნელოვან მომენტში შეცდა, მესამე სეთში კი 0:3-ს და 0:40-საც აგებდა, მაგრამ... „ვიცოდი, რომ თუ კარგად მოვაწვებოდი, დაკარგული არაფერი იყო“ — თქვა მატჩის შემდეგ ხორვატმა. მან ზედიზედ 3 ეისი მიითვალა, მეტოქე აანერვიულა და მატჩის ბედიც შემოაბრუნა — 6:3, 6:7, 6:4. ბობოლათაგან ამ დღეს მარტო ავსტრალიელი ფატრიქ რაფთერი (11) გავარდა. მას თანამემამულე მაიქლ თებუთმა მოუგო — 6:7, 6:4, 6:4. 1985 წლის შემდეგ მონრეალის ტურნირზე პირველად მოხდა, რომ პირველმა რვა განთესილმა მესამე წრეს უდანაკარგოდ მიაღწია.

**მეორე წრის შედეგები:** მარკ ფილიპუსისი (7, ავსტრალია) — ხოაკ ქემფბელი (აშშ) 6:2, 6:4; ჯასთინ გიმელსთობი (აშშ) — სქოთ დრეიფერი (ავსტრალია) 6:2, 6:1; ალექს ობრაიენი (აშშ) — მარკოს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ჯეფ გრანთი (აშშ) 6:2, 6:1; გიიომ რაუ (საფრანგეთი) — სებასტიან ლებლანი (კანადა) 6:1, 6:4.

**სან დიეგო. „ტოშიბა ოუფენ“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი.**

სიტყვა და საქმე რომ ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, სამაგალითოდ დაამტკიცა 17 წლის ამერიკელმა ვინუს ვილიამსმა. ეს შავკანიანი მანდილოსანი ბევრს ტრაბახობდა მარტინა ჰინგისთან შეხვედრის წინ, მეტოქეს არაფერს დავუთმობო, მაგრამ მაყურებელი კორტზე კიდევ ერთი ცალკარა თამაშის მომსწრე გახდა — ჰინგისმა 50 წუთში 6:2, 6:1 მოიგო. ბელარუსმა ნატაშა ზვერევამ მერვედ განთესილი რუმინელი ირინა სპირლეა გაანადგურა — 6:2, 6:0. ტურნირმა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დანაკარგებიც განიცადა. ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელმა არანჩა სანჩესმა ფრანგ სანდრინ



ჩანგი ხისტ საფარზე მეხუთე ტიტულს უმიზნებს

ტესტიუს წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია — 1:6, 2:6. წლეულს გალაღებულმა ინდონეზიელმა იაუკ ბაზუკიმ კი გერმანელთა ოდენ მოციმციმე ვარსკვლავი — ანკე ჰუბერი იმსხვერპლა — 6:2, 2:6, 6:2.

**მეორე წრე:** მონიკა სელეში (2, აშშ) — აი სიგიამა (იაპონია) 6:4, 6:4; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ანა გელ სიდო 6:2, 6:4; მარი პირსი (6, საფრანგეთი) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:2, 6:1; კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 3:6, 6:1.

**ბაიოზ ბერიძე**

## ხუთშაბათს მონრეალში

**მესამე წრე:** მაიქლ ჩანგი (აშშ, 1) — ალექს ობრაიენი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3; რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 8) — ჯასთინ გიმელსთობი (აშშ) 6:2, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ტომას მუსტერი (ავსტრია, 3) 6:2, 2:6, 6:4; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 6) — მაიქლ თებუთი (აშშ) 5:7, 6:4, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) — ვეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა, 13, შარშანდელი გამარჯვებული) 7:5, 6:3; ტომას ენკვისტი (შვედეთი, 5) — იონას ბიორკმანი (შვედეთი, 12) 6:3, 6:2; მარკ ფილიპუსისი (7, ავსტრალია) — გიიომ რაუ (საფრანგეთი) 7:5, 6:3; ქრის ვუდრაფი (აშშ) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 2) 7:6, 6:2



კუერტენი მსაჯის განაჩენის ანალიზით გართულა

სანტორომ მუსტერი ზედიზედ მეოთხედ ძლია. ავსტრიელი აქამდე თიხაზე თამაშის ოსტატად ითვლებოდა, მაგრამ წელს ჰარდს გაუშინაურდა და ორი შეჯიბრიც მოიგო. ახლა ეტყობა ვერც ამგვარ საფარზე აქვს საქმე კარგად.

## საქართველოს პირველობა

„ა“ ჯგუფი

30. 07. ქუთაისი. აია-პეი 3 (3) (ს: ხამაშურიძე) — რუსთავის აზოტი 13 (3) (ლ: ხუციშვილი; გ, ს და ა: ე. ძაგნიძე). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | გ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 11 | 10 | 1 | 0 | 238:109 | 26- 9 | 21 |
| აზოტი (რ) | 12 | 10 | 1 | 1 | 251:104 | 32- 5 | 20 |
| აია-პეი (ქ) | 10 | 6 | 0 | 4 | 184:131 | 23-10 | 12 |
| ქორები | 11 | 6 | 0 | 5 | 225:147 | 25-13 | 12 |
| ასკ | 12 | 3 | 0 | 9 | 144:324 | 18-50 | 6 |
| გუმარი | 12 | 4 | 0 | 8 | 196:212 | 23-22 | 6 |

## ლელო დემირს გაუტანია

წინა „სარბიელში“ თურმე შეცდომით გვეწერა, „ყოჩებს“ ბოლო ლელო „ქორმა“ მიხეილ წეველიძემ გაუტანაო. როგორც შეგვისწორეს, გადასარევი სოლო სინამდვილეში დემირ ძნელაძეს განუხორციელებია.

ამ უზუსტობისთვის ორივე მოთამაშესა და მკითხველსაც ბოდიშს ვუხდით. ეტყობა, ფრიადი ბურთაობით ისე გავერთეთ და ეშხიანმა რეიდმაც იმდენად ალგვაფრთოვანა, რომ მარცხენა და მარჯვენა გარემარბები, შორიდან ერთმანეთს ერთობ რომ ჩამოგავენ, აგვერივნენ.

აია ხვალ მასპინძლობს „ქორებს“, ხუთშაბათს, 7 აგვისტოს კი თბილისში ეწვევა „ყოჩებს“. ამით პირველობის პირველი ეტაპი დასრულდება, შემოდგომაზე კი ექვსეული კიდევ ორ წრესა და პლეი-ოფს გამართავს.

# ყონცეს ახპერჯან, ცაპატანემ

## კუბლაშვილმა გულბაზიანი დააკვალიანა

საქართველო რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ) 1992 წელს რომ მიიღეს, პრეს-რელიზში ეწერა, რაგბი ამით კავკასიაშიც გავრცელდებაო.

ჩეჩნეთიდან, ყარაბაღიდან, ვლადიკავკაზის ოსეთიდან, აზერბაიჯანიდან სანუგეშო ჭერჭერობით არაფერი ისმის. აი, სომხეთში კი ოვალური ბურთისადმი ინტერესს ისევ გაუღვივია.

ამ ორი წლის წინ საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურ მდივან გია კუბლაშვილს ტელეფონით შეეხმიანა თბილისში თავის სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული მავანი ერევნელი და აცნობა, თქვენთან თამაში გვსურს, ოღონდაც ჭაბუკთა გუნდითო. მერე სამხრეთელი სტუმარი დაიკარგა და ახლახან გამოჩნდა, რასაც თავის ასაკში (1981-82) საქართველოს ჩემპიონის — „აკადემიის“ გუნდის ერევანში სტუმრობა მოჰყვა.

მასპინძელი ძველი მორაგბე ლევონ გულბაზიანი გამოდგა. ერევანს 60-იან, 70-იანსა და 80-იან წლებშიც კი ჰყავდა რამდენიმე გუნდი. ჩვენებს სხვებზე მეტად იქაური „სპარტაკი“, მისი „შუტარა-შუტარა“ მარაოები და საკალათბურთო ანგარიშებით გამარჯვებები ახსოვთ. სომხეთის გუნდი სსრკ-ის პირველობის უმცროს ჯგუფში თამაშობდა და დღენიადაგ გასავარდნად ქონდა საქმე.

ბოლო ათი წელი სომხური რაგბი ფაქტობრივად მკვდარი იყო — მცირე პოტენციალმა და სპორტის მოხელეთა უგულობამ მოაშთო. მერე იყო და პოსტ-საბჭოურ ხანაში საფრანგეთის სომხობამ წინაპართა სამშობლო ფირა-ს წევრად თუმც მიაღებინა, ახლა საწევროს აღარ უხდის და სომხეთს იქედანაც რიცხავენ.

საქმე კარგად ვერც შინ ყოფილა: გულბაზიანის ჭაბუკთა გუნდი ამერიკული ბურთაობის (!) სომხეთის ფედერაციასაა შეკედლებული. ამ 11-კაცა თამაშს ლოს-ანჯელესელთა ხათრით ერევანში თურმე რაგბზე მეტად ეტანებიან, კაც მორაგბეთა გუნდი კი ქვეყანაში ერთიც აღარა ყოლიათ. არადა, 1991 წელს რომ ესტუმრნენ ქართველი ბებრები ერევანს, იქ ორი გუნდი კიდევ დახვედრიათ.

ქართველ და სომეხ ჭაბუკთა შაბათის თამაში ფეხბურთის მოედანზე გაიმართა. რაგბის კარები ფეხბურთისაზე მიედგათ. „აკადემიამ“ 24:0 გაიმარჯვა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ სამეზობლოში ამიერიდან მარტონი აღარ ვიქნებით.

კუბლაშვილს გულბაზიანი კიდეც დაუკვალიანებია: ირბ-ს მიმართეო და ისიც უსწავლებია, რომ ფრიადი დონის საერთაშორისო რაგბს „სთარ თი-ვი“ მთელ აზიაში გადმოცემს.

ზაზა ფხაკაძე

## სამეულის სერიალი



# სმითის მალაყები ნოქსის გამო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიელ „ვოლაბებსა“ და აფრიკელ „ქურციკებს“ უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ. რაკი შინ ორივემ წააგო ზელანდიის „ოლ ბლექსთან“, დღეს რომ გადაეყრებიან ერთმანეთს ბრისბენის „სანკორპზე“, უნდა გაიმარჯვონ, თორემ მაჩანჩალობა ვერ აცდებათ. და კიდევ, ისიც აშკარაა, რომ დღევანდელი მარცხი ერთ-ერთ მწვრთნელს — მასპინძელ გრეგ სმითს ან სტუმარ კარელ დიუპლესის სეზონის ბოლოს სამუშაოს დაკარგვად დაუჯდება.

„ქურციკები“ ავსტრალიაში წინა პარასკევს ჩავიდნენ და ზღვისრეთული ტურნეს სამზადისი ბრისბენში უხმაუროდ გაახალეს. მაშინ მათთვის არავის ცხელოდა, რადგან შაბათს მელბურნში „ვოლაბები“ „ოლ ბლექსს“ 100 ათასი მოსეირის თვალწინ უნდა შებმოდნენ.

ავსტრალიამ ის ისტორიული, პირველი ვიქტორიული ტესტი უსიტყვოდ წააგო, მაგრამ სმითს იხტიბარი არ გაუტეხავს და მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ზელანდია სულ ცოტათი გვჯობს, ამიტომ თუ უკეთ შევთამაშდებით, 16 აგვისტოს დანიდინში რევანშს ავიღებთო.

ამაზე „ოლ ბლექსის“ ბებერმა კაპიტანმა შონ ფითსპატრიქმა ერთი ჩაიფხუკუნა და თავი მკლავებში ჩარგო, გამარჯვებულთა მწვრთნელმა ჯონ ჰარტმა კი დიპლომატიურად უპასუხა, მსაჯს წარამარა რომ არ ვეჯარიმებინეთ, ავსტრალია ეგრე ვერ გაგვიძალიანდებოდაო.

ჰართს რომ კითხეს, ავსტრალიას ვინ ან რა უშველისო, მიუგო, დევიდ ნოქსიო. ეს კანბერელი 10 ნომერი ერთ კვირაში 34 წლისა მოიყრება, მაგრამ რაკი მორაგბეობა დიდი დამრტყმელის — მაიქლ ლაინაფის ხანაში მოუწია, 1985-96 წლებში „ვოლაბის“ მხოლოდ 8 კეპი მოიხვეჭა.

წელს კანბერამ ზე-12-ში მეორე ადგილი დაიჭირა, ნოქსი კი ზელანდიის ყოველკვირეულმა „რაგბი ნიუზმა“ პირველობის საუკეთესო „პივოტად“ ცნო. ამან სმითზე საკადრისი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და შარშანდელისგან განსხვავებით ნოქსი ნაკრებში აღარ აიყვანა, რადგან მიაჩნია, რომ დაცვაში სუსტია. ნოქსმაც აფრიკიდან ნატალის სარფიანი წინადადება მიიღო და იქ გადაბარგდა, თუმც კი კონტრაქტში ჩააწერინა, ნაკრებში დაძახებისთანავე შინ უნდა გამიშვათო.

ამის დრო ნოქსს ახლა დაუდგა, თუმც კი ერთობ მოულოდნელად. საქმე ისაა, რომ მელბურნის თამაშში ცერი მოიტეხა ქვინზლენდელმა შუამარბმა თიმ ჰორანმა, ვის გამოც სმითმა ბრძანა, ფრიადი მბოჭავი და დაცვის ხაზის გამრღვევია, ამიტომ 10 ნომრობას რომ აითვისებს, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაუყეფსო.

ჰორანმა პივოტად ოთხნახევარი ტესტი ითამაშა, მაგრამ უკანა ხაზი ვერ ააბურთავა. სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ თუ ნოქსი გუნდის ერთი იერიშის მანძილზე ოთხჯერ ახერხებს ბურთის მიღებას, ჰორანის ანალოგიური მაჩვენებელი ორის ტოლია. ერთი სიტყვით, ჰორანს ნოქსთან შედარებით ალღო აკლია, ვერც პასი აქვს სხარტი, გარემარბებამდე ბურთი ვერ მიაქვს და ვერც ფეხს ხმარობს ხეირიანად.

სთარ თი-ვი სამეულის სერიალის დღევანდელი მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს საქართველოს დროით 15 საათზე იწყებს.

ნაკრები უჰორანოდ რომ დარჩა, ავსტრა-
ლიის რაგბის კავშირის მთავარმა მოხე[…]
ჯონ ონილმა სელექტორები დაიბარა და გ[…]
აფრთხილა, თიმის შემცვლელის ძებნაში […]
ან არ გაერთოთ და არც ერთმანეთს და[…]
დუროთ. ნუ ნოქსის დაძახებას ფიქრობ[…]
დროზე მაცნობეთ, კაცს აფრიკიდან ჩამო[…]
სვლა რომ არ დაუგვიანდესო.

სმითს მედიამ ენა შეაჩვია. ძველმა მორ[…]
კინალმა საიმონ პოიდევინმა, ახლა ტელ[…]
კომენტატორად რომ მუშაობს, თქვა, „ვო[…]
ლაბები“ რიგითი კლუბის დონეზე თამაშო[…]
ბენ; ნაკრების უსახურობაც მწვრთნელ[…]
ბრალიაო. სხვებმაც შენიშნეს, კანბერ[…]
თუნდაც იმით ჯობს „ვოლაბებს“, რო[…]
მწვრთნელის ხელი აშკარად ეტყობაო.

სმითს კრიტიკა არ ეამა. ნოქსის გამო ორ[…]
დღის წინაც ებრძანებინა, რომ დავაყენო[…]
დიდი რისკი იქნებაო, მაგრამ ორშაბათს სა[…]
მოსვე სულ სხვა ჰანგზე ამღერდა, პივოტ[…]
დურბანში თავად შეეხმიანა, დაუყვავა დ[…]
სანაკრებოდ დაიყაბულა, მერე კი საჯარო[…]
ურცხვად განაცხადა, ნოქსის ხმობა ჩემ[…]
აზრია, შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გა[…]
მოსავალიცაა და თუ თავს არ შეირცხვენ[…]
გუნდში კიდევ კარგა ხანს დავიტოვებო.

ამის შემდეგ აღარავის გაკვირვებია[…]
მედიამ უხეირო სმითს ორპირობაც რო[…]
დააბრალა და დაწერა, გრეგმა ისეთ[…]
მალაყი გააკეთა, ოლიმპიადაზე ტანვარჯი[…]
შის ოქროს მოიგებდაო.

ლუკა ჯორჯიაშვილი

## აქეთურ-იქითური, ნაირ-ნაირი, ქიციცა და ქიცმაცური

# დიდი ბენის აღსასრული

ბოლფის სამყარომ სამშაბათს თავისი პელე მიაბარა მიწას.

წინა პარასკევს 84 წლისა აღესრულა უდიდესი მოთამაშე და სიცოცხლეშივე ლეგენდად შერაცხული ბენ ჰოგანი — ნატანჯი კაცი, რომელიც ტრავმებს და ავადმყოფობას არ უპუებოდა და ყველა დროის ერთი უკეთესი მეგოლფის ტიტული სამართლიანად დაიგდო.

ჰოგანი 1912 წლის 13 აგვისტოს დუბლინში (ტეხასი, აშშ) დაიბადა. ბიჭი იყო, მამამისმა თავი რომ მოიკლა. ოჯახმა ბინა გამოიცვალა და ფორტ-ვერსში დასახლდა. ბენი იქაურ გოლფ-კლუბში ხელის ბიჭად დადგა და თამაშიც კარგად ისწავლა.

პროფესიონალი 20 წლისა გახდა. პირველი ტურნირი 1938 წელს მოიგო. თამაშს თავი 1971 წელსღა მიანება. ამ ხნის მანძილზე პროფ-ტურზე 63 გამარჯვება მოიპოვა. ამ მაჩვენებლით იგი მხოლოდ სემ სნიდს და ჯეკ ნიკლაუსს ჩამორჩება. ამათი მონაგარი 81 და 70 ტიტულია.

გადიოდა წლები, ჰოგანი კი უმთავრეს — ე. წ. მეიჯორ ტურნირებს ვერ იგებდა. ამასობაში დიდი თავდადება გამოავლინა და რუდუნებით დახვეწა თამაშის ტექნიკა. ამბობენ, გოლფის სამყაროში თამაშსა და ვარჯიშზე მასსავით შეყვარებული პიროვნება არავინ ყოფილაო.

ბენმა 1940-42 წლებში 15 ტურნირი მოიგო. მერე იყო მსოფლიო ომი, რომელიც ჰოგანმა მფრინავად გალია. მშვიდობა რომ დამყარდა, ჰოგანის წინსვლაც განახლდა. 1946 წელს 13 ტიტული მოიხვეჭა, 1947 წელს — 7, 1948 წელს — 11. იმ წელსვე პირველად მოიგო აშშ-ის ღია პირველობა.





მერე იყო და 1949 წელს ბენი ცოლითურთ საავტომობილო კატასტროფაში მოყვა — მათ მანქანას ავტობუსი დაეჯახა. მეგოლფეს ბევრი რამ მოტყდა. ექიმები ეუბნებოდნენ, გოლფის თამაში კი არა, სიარული რომ შეძლო, განგების მადლობელი უნდა იყოო.

ბენმა თავისი მაინც გაიტანა. ავარიიდან 14 თვის თავზე სარბიელს დაუბრუნდა, მაგრამ სეზონში შვიდი ტურნირის მეტს ველარ თამაშობდა. მიუხედავად ამისა, „მეიჯორები“ კიდევ ხუთჯერ მოიგო, რის შემდეგაც მონაგარში ცხრა დიდი ტიტული მოუგროვდა: ორი საოსტატო (1951, 53), ოთხი აშშ-ის ღია (1948, 50, 51, 53), ერთი ბრიტანეთის ღია (1953) და ორიც ამერიკის პროფ-ასოციაცია (1946, 48). ჰოგანს 1953 წელს უმაგალითო დიდი სლემის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ მეოთხე „მეიჯორში“ აღარ ჩაბმულა.

1951 წელს ბენის თავგადასავალზე მხატვრული ფილმი გადაიღეს. რაკი ტანჩია იყო, „ქორს“, „მამლაყინწასა“ და „პატარა ყინულ-კაცს“ ეძახნენ.

ბოლოს იყო და დიდი მოთამაშე სიბერეში სხვადასხვა მძიმე სნეულებამ გატანჯა.

რეზო ნემსაძე

## უდაბნოა?

ბერლინელები 14 აგვისტოს უცხო სანახაობას მიადევნებენ თვალს — პირველად მოეწყობა აქლემთა დოღი. უდაბნოს ხომალდები გერმანელებს არაბთა გაერთიანებული საამიროების მეთაურმა, შეიხ ზაიდ ბინ სულთან ალ ნაჰაიანმა ათხოვა. ივლისში ცხოველებს მოასინჯინეს ჰოპენგარტენის ასპარეზი.

ფარიკაობის ტელე-იმიჯი გასაუმჯობესებელიაო და საერთაშორისო ფედერაციაც გაისიდან დიდი პრიზის ტურნირებში ახლებური ჩაფხუტების გამოცდას აპირებს. ისინი მავან ამერიკულ ფირმას დაუმზადებია და ტრადიციულისგან იმით განირჩევა, რომ ლითანი ბადისა კი არა აქვს, არამედ ორგანული მინისა, რისი წყალობითაც ტელემაყურებელს მოასპარეზის სახის გამომეტყველების თვალის მიდევნება შეეძლება.

## ყოველი დაფარული გაცხადდეს

ებრაელმა ექსპერტებმა გამოიძიეს მაკაბიადის გახსნისას ხიდის ჩაქცევის მიზეზი. გაირკვა, რომ ეგზომ განათლებულ და შრომისმოყვარე ერშიც მოიძებნებიან ინჟინრები და მუშები, საქმეს უგულოდ რომ ეკიდებიან.

დადგინდა, რომ ხიდი უჭკუოდ იყო დაპროექტებული და მისი მალებიც ხალტურაზე შეედუღებინათ. დარღვეული ყოფილა ყოველგვარი სტანდარტი. და კიდევ, პესტიციდებით, ნავთობითა და სხვა შხამებით დაბინძურებულიყო მდინარე იარქონი, რამათ-განის სტადიონთან, თელ-ავივის უდიდეს ბაღში რომ მიედინება.

ჰოდა, ვაი-ხიდმა ავსტრალიელთა სიმძიმეს რომ ვერ გაუძლო და ჩაიქცა, 3 კაცი დაიღუპა, 60 კი დაშავდა ან დაიწამლა.

## 1:2; დარჩა ორი

ავსტრალიას ინგლისი ბოლოჟამ ყველაფერში დაბრიყვებული ყავს. გამონაკლისი არც კრიკეტია.

„ოზები“ მაისიდან ბრიტანეთში არიან. ინგლისმა ივნისში I ტესტი ეჯბასთონში (ბირმინგემი) 9 ბჯით მოუგო, II ტესტი კი, ჩოგბურთის უიმბლდონს რომ დაემთხვა, ლორდზე (ლონდონი) წვიმამ გააყაიმა.



ივლისში ავსტრალიამ ორივე ტესტში გაიმარჯვა: ოლდტრეფორდზე (მანჩესტერი) 268 გარბენით, ჰედინგლიზე (ლიდსი) — შესვლითა და 61 გარბენით. ამის მერე იყო, „სლეჯერმა“ შეინ ვორნმა შამპანურით რომ იწუწავა.

აგვისტოში ბოლო ორი ტესტიც გაიმართება და „ფერფლის სერია“ დასრულდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29